საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
12 თებერვალი **შაბათი** 2011
№034 (13331) ფასი 60 თეთრი



რიჩი დიქსონი:
## დავიჭიროთ მომენტი
13
დღეს: საქართველო VS ესპანეთი

# ესპან-ერთიც მოვიგოთ!



# დაგვეწყო...



2-4

მეორე ეტაპი, მოლოდინი, ღელვა, იქნება გახარება, წყენაც, პრიზები და სიურპრიზები...

მოკლედ, ჩვენი ცხოვრებადაუღალავებელი ფეხბურთი ისევ შემოვა ჩვენს დაულაგებელ ცხოვრებაში და თითქოს რაღაც მოწესრიგდება: **ჩვენ ხომ ჯერაც ფეხბურთის ხალხი ვართ!**

ინგლისი. პრემიერლიგა. ტურის წინ
**საქმის გარჩევა მანჩესტერში** 6

გერმანია. ბუნდესლიგა. ტურის წინ
**ლიდერი ფრიც ვალტერის ჯოჯოხეთში** 7

იტალია. სერია A ტურის წინ
**დიდი იტალიური დერბი** 8

ესპანეთი. ლა ლიგა. ტურის წინ
**ექვეების ტური** 9

ქართველები სატასო ბატალიებში



**მეოთხედფინალი ოთხმა გაიარა**

სუპერლიგა



**არმია ქუთაისამაც ვერ გააჩერა** 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიწყებთ მეორე განყოფილებას...

ორთვიანი პაუზის შემდეგ საქართველოს XXII ჩემპიონატის გადამწყვეტი, მეორე ეტაპი დღეს განახლდება. III წრის საწყისი ტური სამ დღეზე იქნება „გაწერილი" და ასეთი რამ ჩვენი ჩემპიონატისათვის არახალია; ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე მსგავსი სიტუაცია უკვე გვქონდა და აღარაფერს ვამბობთ „ორდღიან ტურებზე", უკვე ჩვეულებრივ ამბად რომ მიგვაჩნია. თუმცა, მეორე ეტაპიდან საქართველოს ჩემპიონატის კალენდარი... უჩვეულოდ „სტაბილური" იქნება: ზემოთნახსენები საწყისი ტურის გარდა, ყველა სხვა დანარჩენი ტური ერთ დღეს ჩატარდება! ჩემპიონატის დასკვნითი ორი ტური ერთი და იგივე დროს და ერთ დღეს რომ უნდა გაიმართოს, ამას დიდი ხანია მივეჩვიეთ და, საერთოდაც, ყველგან ასეა; აი, ისეთ შემთხვევას კი საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ნამდვილად ვერ ვიხსენებთ, როცა ყველა ტური ერთ დღეს ჩატარდება. კარგია თუ ცუდი მსგავსი პრეცედენტი? სხვისი რა მოგახსენოთ და, ჩვენი აზრით, უფრო დადებით მოვლენასთან გვაქვს საქმე, ვიდრე — უარყოფითთან: ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ შემთხვევაში, არც ერთი გუნდის ხელმძღვანელი ვერ დაიჩივლებს, მეტოქეებთან შედარებით არათანაბარ პირობებში ვიმყოფებითო; აბა, გაიხსენეთ, რამდენჯერ მომხდარა, როც ამა თუ იმ გუნდის წარმომადგენლისგან მოგვისმენია: კონკრეტული მატჩის მზადებისთვის მოწინააღმდეგეს, ჩვენთან შედარებით, ერთი ან ორი დღით მეტი ჰქონია და ამიტომ ჩვენც არ გვაწყენდა შეხვედრის უფრო გვიან გადატანაო. ამას გარდა, ათივე გუნდის მწვრთნელებსაც უნდა აწყობდეთ ასეთი „სტაბილური" კალენდარი: საწვრთნელ პროცესს ახლა ბევრად უფრო საფუძვლიანად და, რაც მთავარია, „სტაბილურ გარემოში" დაგეგმავენ. თუმცა, მეორე ეტაპზე კალენდრის მართლაც დახვეწამ, შესაძლოა, გარკვეული უკუეფექტიც გამოიწვიოს: სანაკრებო მატჩებისა და სათასო დაპირისპირებების გამო, ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებს, ცოტა არ იყოს, შემჭიდროებულ გრაფიკში მოუწევთ ასპარეზობა; ანუ, ჩემპიონატის შეხვედრები, ფაქტობრივად, ყოველ მეოთხე-მეხუთე დღეს უნდა ჩატარდეს. ჰოდა, როგორ გგონიათ, გაუძლებენ კი საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები თავიანთთვის „მიუჩვეველ", ევროპაში კი „ჩვეულებრივად" მიჩნეულ გრაფიკს?..

... ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი გულშემატკივრებს საკმარისზე მეტ ინტრიგას გვპირდება; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ოქროს მედლებისათვის ხომ უშელავათო ბრძოლაა მოსალოდნელი, — თანაც, წინა წლებისგან განსხვავებით, ამჟამად სამ გუნდს რეალურად შეუძლია ტიტულის მოპოვება; ნურც სიურპრიზებს გამოვრიცხავთ, და იმასაც, რომ შესაძლოა, ზოგიერთი გუნდის ქომაგისათვის ეს სიურპრიზი სასიამოვნო აღმოჩნდეს, ზოგისთვის კი — უსიამოვნო; არანაკლებ ინტრიგას ველოდებით ცხრილის ქვედა ნაწილშიც; შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის რეგლამენტის მიხედვით, უმაღლესი ლიგიდან „ავტომატურად" 2 გუნდი ვარდება, ბოლოდან მესამეადგილოსანს კი უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად „პლეი-ოფის" შეხვედრის ჩატარება მოუწევს. დღესდღეობით სატურნირო ცხრილში ისეთი სიტუაციაა, რომ ათიდან, სულ მცირე... შვიდ გუნდს „მძიმე" ფინიში რომ ელოდება. რა თქმა უნდა, ამ შვიდიდან ერთი-ორი გუნდის დაქვეითება, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენლადაც მიგვაჩნია, მაგრამ ამ ჩემპიონატის პირველ ეტაპზეც საკმარისზე მეტი იყო სენსაციები და ვფიქრობთ, გაზაფხულზეც არაერთხელ ვნახავთ. ოღონდ, ისიც ვისურვოთ, XXII ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპის მატჩების უმრავლესობა... პატიოსანი თამაშის პრინციპით რომ ჩაივლის; იმის იმედადაც ვიყოთ, ჩემპიონატში მონაწილე ათი გუნდი... ორ-სამგუნდიან „ბლოკებად" თუ „კოალიციებად" რომ არ გადაიქცევა, თორემ თუ ადრინდელივით მრავლად იქნება უნიჭოდ დადგმული „საფეხბურთო სპექტაკლები", ჩემპიონატის დონის ამაღლებაზე აღარც უნდა ვიფიქროთ.

### ზესტაფონი

ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპს ცხრილის სათავეში მყოფი „ზესტაფონი" არცთუ ერთგვაროვან „ხასიათზე" ხვდება; **გია გეგუჩაძის** გუნდმა ნაყოფიერი ზამთრის შეკრება გაიარა და ესპანეთიდანაც (სადაც პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობდა) სულ ახლახან დაბრუნდა. თუმცა, იმავე ესპანურ შეკრებაზე გუნდში, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ სასიამოვნო ფაქტი მოხდა: სამშობლოში ვადაზე ადრე (და, რაც მთავარია, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ) გამომგზავრება მოუხდათ „ზესტაფონის" გამორჩეულ ფეხბურთელებს **გიორგი ხიდეშელსა** და **ნიკოლოზ გელაშვილს**; ჩემპიონატის ლიდერი მეორე ეტაპს, კონკურენტებისგან განსხვავებით, ყველაზე გვიან იწყებს და, ალბათ, ორშაბათამდე გარკვეული იქნება კიდეც, თუ რა ბედი ელის გუნდის ორ უდავო ლიდერს; ახალი რა უნდა ვთქვათ: ხიდეშელი, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, გამოცდილ მოთამაშედ შეგვიძლია მივიჩნიოთ და ჩვენი აზრით, ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზეც უნდა ჰქონდეს პრეტენზია; გელაშვილი კი არა მხოლოდ თავისი გუნდის, არამედ ბოლო წლების ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდი და ბომბარდირია და ამ შემთხვევაში მართლაც ძნელი სათქმელია, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტ გუნდში.

ზამთრის სატრანსფერო პერიოდის დროს „ზესტაფონში" მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. გუნდმა იჯარით რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გაასხვისა, ძირითად შემადგენლობაში რომ ვერ ხვდებოდა; რაც შეეხება მატებას, ამჯერად გუნდში მხოლოდ ორი პოტენციური ახალწვეულია: ხორვატი მცველი **გრუიცა** და გამოცდილი უნივერსალი **ზურაბ მენთეშაშვილი.** ფაქტია, რომ ამ უკანასკნელის დამატებით „ზესტაფონი" სერიოზულად გაძლიერდება და თავად მენთეშაშვილსაც საკმარისზე მეტი მოტივაცია უნდა ჰქონდეს: ეროვნულ ჩემპიონატში ხანგრძლივი პაუზის მერე დაბრუნებულ ნახევარმცველს, წესითა და რიგით, საქართველოს ნაკრებში ერთ დროს „დაჯავშნილი" ადგილის კვლავაც დაბრუნება რომ ენდომება, ფაქტია. ისე, „ზესტაფონისთვის" თებერვალში ჩასატარებელ ოთხივე მატჩს უდიდესი მნიშვნელობა ექნება: გია გეგუჩაძის გუნდის მეტოქეები უშუალო კონკურენტები („ოლიმპი", „დინამი"), ევროტურნირების საგზურის კანდიდატი („ტორპედო") და საკმაოდ მოძლიერებული და ამბიციური „სპარტაკი" იქნებიან...

### ოლიმპი

ჩემპიონი რომ ტიტულის შენარჩუნებისათვის იბრძოლებს, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება; ყოველ შემთხვევაში, რუსთავის კლუბის ხელმძღვანელობას რომ კვლავაც ამბიციური მიზნები აქვს, „ოლიმპის" უცხოურ შეკრებაზე ყოფნის ფაქტიც მოწმობს. ჰო, მსგავსი რამ ამ კლუბის ექვსწლიან ისტორიაში ხომ მხოლოდ ერთხელ იყო, როცა დსთ-ის თასის წინ გუნდი ყირიმში ემზადებოდა; ახლა კი „ოლიმპმა", როგორც ამბიციურ გუნდს ეკადრება, შეკრება ანთალიაში გაიარა და ისიც ალსანიშნავი ფაქტია, რომ ახალგაზრდა მწვრთნელის, **თორნიკე მაისურაძის** ხელმძღვანელობით რუსთაველებმა ხუთივე საკონტროლო მატჩი (ხუთივე უცხოურ კლუბებთან) მოიგეს. ეს ზამთრის მოსამზადებელი პერიოდი „ოლიმპის" ისტორიაში სხვა მხრივაც არის განსაკუთრებული: აქამდე ხომ ყველა „მიჩვეული" ვიყავით ყოველ ექვს თვეში გუნდში მომხდარ რადიკალურ ცვლილებებს; არადა, მართლაც უცნაური სიტუაცია იყო ხოლმე: ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მოასპარეზე შემადგენლობიდან 15-16 ფეხბურთელი სხვადასხვა გუნდს მიაშურებდა, მათ ნაცვლად კი გუნდში ამავე რაოდენობის ახალწვეული მოდიოდა. თუმცა, უფრო მეტად „უცნაური" ის იყო, ასეთი „ტრადიციული" საკადრო ცვლილებები გუნდის შედეგზე უარყოფითად რომ არ აისახებოდა. აი, ამჟამად კი, როგორც უკვე ალვნიშნეთ, მსგავსი აღარაფერი მომხდარა: „ოლიმპიდან" მხოლოდ ვეტერანი მეკარე **გრიგოლ ჭანტურია,** მარჯვენა მცველი **თემურ ლონლაძე** და თავდამსხმელი **გიორგი ბერიაშვილი** წავიდნენ, პოტენციურ ახალწვეულთა უმრავლესობაც ბევრისთვის უცნობი ახალგაზრდაა (ერთადერთი, ვინც მეტნაკლებად გამოცდილი ფეხბურთელია, „სამტრედიის" ან უკვე ყოფილი ნახევარმცველი **ვაკო ტყემალაძე** გახლავთ). ამჟამად, „ოლიმპი" ცხრილის მეორე ადგილზეა და „ზესტაფონს" მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლით ჩამორჩება; თანაც, ჩემპიონობისათვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტის მსგავსად „ოლიმპსაც" საკმაოდ რთული თებერვალი ელოდება - თორნიკე მაისურაძის გუნდს უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ოთხი ურთულესი მატჩი ექნება („ვიტ ჯორჯიასთან", „ტორპედოსთან", „დინამოსთან", „ზესტაფონთან")...

### დინამო

ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში ყველაზე დიდ ინტერესს „დინამოში" მიმდინარე პროცესები იწვევდა და, ერთი შეხედვით, ეს ფაქტი მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო. შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპი ახალი დასრულებული იყო, საფეხბურთო საზოგადოებამ „დინამოს" ახალი პოტენციური მეპატრონის ვინაობა რომ გაიგო - **რომან ფიფიას** გამოჩენამ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ქომაგთა შორის, უპირველესად, უკეთესი მომავლის იმედი დააბრუნა. საერთოდაც, ამ ბოლო ორ თვეში „დინამოში" სწორედაც რომ ... დაბრუნების ტენდენცია შეინიშნებოდა: კლუბშიც და გუნდშიც ამჟამად არაერთი ყოფილი დინამოელია! ეგ კი არა, აღარც ვიცით, საიდან დავიწყოთ: მთავარ მწვრთნელად კვლავაც კახა კაჭარავა იმუშავებს, მის ასისტენტად - **ზაურ სვანაძე**, დუბლების თავკაცად - **რამაზ მუმლაძე**. კლუბში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დაინიშნენ **მურთაზ შელია** და **მიხეილ ჯიშკარიანი,** ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ კვლავაც „დინამოს" მაისურით იასპარეზებს **შოთა კაშია,** უფრო დიდი შესვენების შემდეგ ისევ ეროვნულ ჩემპიონატში ვიხილავთ **დიმიტრი ტატანაშვილს** და ასე შემდეგ. საერთოდაც, ამ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ყველაზე მეტად „დინამომ" იაქტიურა და ზუგდიდის „ბაიადან" ორი პერსპექტიული ახალგაზრდის (**ნიკა კვეკვესკირი, თორნიკე ზარქუა**) გარდა, ერთდროულად რამდენიმე უცხოელითაც გაძლიერდა. **მარკო მაროვიჩი, ირჟი ჰომოლა, სემირ ჰაჯიბულიჩი, პეტარ ელიჩი, ბორუტ სემლერი,** - ამ უცხოელებიდან ყველას თუ არა, ერთი-ორს მაინც გუნდის ლიდერობაზე პრეტენზიაც უნდა ჰქონდეს; ისე როგორც „დინამოს" კიდევ ერთ ახალწვეულს, წლების განმავლობაში რუსეთში მოასპარეზე ახალგაზრდა უნივერსალს **ზურაბ არზიანს**. აი, დანაკლისს რაც შეეხება, არა გვგონია, **დონალდ ჯუისის** ტრანსფერზე დაყენებას გუნდი დაესუსტებინოს, თუმცა „დინამოს" ერთგული ქომაგები **მათე ვაწაძესა და დავით მუჯირს** რომ მოისაკლისებენ, ფაქტია.

როცა გუნდში (გნებავთ, კლუბში) ასეთი მასშტაბური ცვლილებები ხდება, იმ გუნდისგან რაღაც „განსაკუთრებულს" რომ უნდა ელოდოს ყველა, ბუნებრივიც არის; მით უფრო, რომ ამჯერად გუნდის სამწვრთნელო შტაბსა თუ ფეხბურთელებს „გარეშე ფაქტორებზე" სალაპარაკო აღარაფერი უნდა ჰქონდეთ. ანუ, „დინამო" რომ ჩემპიონობისათვის იბრძოლებს, ყველასათვის ცხადია, მაგრამ გუნდის უამრავი ახალწვეული ერთმანეთში რამდენად მალე გამონახავს საერთო ენას, ეს უკვე სხვა საკითხია...

### ვიტ ჯორჯია

ათგუნდიანი ჩემპიონატის ხიბლი ისიც არის, როცა გადამწყვეტი ეტაპის წინ მეოთხე ადგილზე მყოფ გუნდს მედლებისათვის ბრძოლის ნაცვლად... უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე ფიქრი მოუწევს! „ვიტ ჯორჯიაზე" მოგახსენებთ, ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ქართულ კლუბზე, ამ ჩემპიონატში ბევრად მოკრძალებული მიზნები რომ ექნება.

>> მე-3 გვერდზე

დინამო. პრესკონფერენცია და პრეზენტაცია

# დინამო წარმოგიდგენთ: ძველებსაც, ახლებსაც...

...ვეღარც ვიხსენებთ, როდის იყო „დინამოში" მიმდინარე პროცესები ისეთი აქტუალური, როგორიც ამ ბოლო ორი თვის განმავლობაშია; იმის გახსენებაც არ იქნება ადვილი, როცა კონკრეტული სატრანსფერო პერიოდის დროს „დინამოში" ერთდროულად ამდენი ახალწვეული ჩარიცხულიყო. სწორედ ახალწვეულთა წარდგენას და გუნდის სამომავლო გეგმებს მიეძღვნა კიდეც დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ჩატარებული პრესკონფერენცია. ჟურნალისტების წინაშე კლუბის მმართველი დირექტორი **ბუბა ტყავაძე,** სპორტული დირექტორი **მურთაზ შელია,** ტექნიკური დირექტორი **მიხეილ ჯიშკარიანი** და „დინამოს" მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** წარდგნენ.

ბუბა ტყავაძემ საინტერესო სიახლე გვამცნო: ჩემპიონატის დასრულებამდე დიღმის საწვრთნელ ბაზას სერიოზული რეკონსტრუქცია ჩაუტარდება, შეიცვლება სავარჯიშო მოედნების საფარი და საერთოდაც, ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბს ისეთი მოსამზადებელი პირობები ექნება, როგორიც „დინამოს" ეკადრება.

კახა კაჭარავამ გუნდის მზადების შესახებ ისაუბრა და კმაყოფილება გამოთქვა თურქული შეკრებით, სადაც „დინამომ" არცთუ სუსტ მეტოქეებთან ხუთი სპარინგმატჩი ჩაატარა. „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა უმთავრესი მიზანიც გააჟღერა (ჩემპიონობისათვის ბრძოლა) და ამის წინაპირობა გუნდში შექმნილი სერიოზული კონკურენციაც უნდა იყოს. არადა, „დინამოს" ერთგული ქომაგები ალბათ დაგვეთანხმებიან, რომ ბოლო პერიოდში ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ძირითად შემადგენლობაში კონკურენცია, ფაქტობრივად, არც არსებობდა...

ვიდრე „დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძე** იქ დამსწრე ახალწვეულებს წარმოგვიდგენდა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ლევან ხმალაძესთან** დაკავშირებითაც ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ ბოლო წლების „დინამოს" ერთ-ერთი ლიდერი უცხოეთში, კერძოდ, უკრაინულ „ზარიაში" აპირებდა კარიერის გაგრძელებას, თუმცა ხმალაძე ამჯერად თბილისშია და კვლავაც „დინამოში" ითამაშებს. სხვათა შორის, კახა კაჭარავამ საინტერესო მოსაზრებაც გაგვიზიარა: ამის მერე, „დინამოდან" სხვა გუნდში გასასინჯად არავინ წავა, მხოლოდ და მხოლოდ, გამზადებულ კონტრაქტს თუ დაახვედრებენ, მარტო იმ შემთხვევაში გავუშვებთ ამა თუ იმ ფეხბურთელსო...



დინამოს ახალწვეულთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან: დიმიტრი ტატანაშვილი, ირჟი ჰომოლა, თორნიკე ზარქუა, ლევან კვეკვესკირი

>> მე-3 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# საქართველოს ჩემპიონატი

## გუნდების წარდგენა

მე-2 გვერდიდან

თავად განსაჯეთ: **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი ხომ მხოლოდ და მხოლოდ 3 ქულით არის დაშორებული სახიფათო ზონას! თუმცა, ქულათა მწირი მარაგის მიუხედავად, მაინც არა გვგონია, „ვეტერინარებს" მეორე ეტაპის ბოლოსკენ გადარჩენისთვის ბრძოლამ მოუწიოთ. არადა, ვერავინ იტყვის, ზამთრის პაუზის დროს გუნდი გაძლიერდაო, - უფრო პირიქით არის, რადგანაც ძალიან დიდი ალბათობით რუსეთში გააგრძელებს კარიერას „ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში შემორჩენილი ორი გამოცდილი ფეხბურთელი (**დავით ლომაია, ირაკლი კლიმიაშვილი**); რაც შეეხება „ვეტერინართა" უპირობო ლიდერს **ჯაბა ლიპარტიას**, ამ შემთხვევაში კი ყველაფერი გარკვეულია: საქართველოს XXII ჩემპიონატის პირველი ეტაპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ამიერიდან უკრაინული გუნდის , ლუგანსკის „ზარიას" ღირსებას დაიცავს. ყოველივე ზემოთქმული კი იმას ნიშნავს, რომ მეორე ეტაპზე მერაბ კოჭლაშვილს ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ეყოლება; თუმცა, „ვეტერინართა" ძირითად ბირთვს, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის საკმარისი გამოცდილება დაუგროვდა და, აქედან გამომდინარე, ძნელადაც წარმოგვიდგენია, გუნდს პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე რომ დაემუქროს. მით უფრო, რომ „ვიტ ჯორჯიამ" ჯერ თბილისში გაიარა შეკრება, შემდეგ კი მზადება თურქეთში გააგრძელა. ნაყოფიერი შეკრება კი გუნდს აუცილებლად სჭირდებოდა: ჩემპიონატის გარდა „ვიტ ჯორჯია" ხომ თასზეც აგრძელებს ასპარეზობას და ფინალამდე ერთი ნაბიჯი აშორებს. არადა, ევროტურნირებზე მოსახვედრად, „ვეტერინარებს" სწორედ თასზე წარმატებული თამაში მოეთხოვებათ, თანაც, თასის მოქმედ მფლობელს ნახევარფინალში მეტოქედ პირველი ლიგის წარმომადგენელი „გაგრა" ეყოლება, მაგრამ რანგთა შორის სხვაობის მიუხედავად, ამ წყვილში ფავორიტობას ვერც ერთ გუნდს მივანიჭებთ...

### ბაია

ჩემპიონატის დაწყების წინ ზუგდიდურ კლუბში ისეთი ცვლილებები მოხდა, ბევრმა (მათ შორის, ჩვენც) მიიჩნია, რომ „ბაიას" თავისუფლად შეეძლო მედლებისათვის ებრძოლა. თუმცა, სეზონის სტარტიდან ბევრი დრო არ იყო გასული, როცა „ბაიას" ფინანსური კრიზისი „გახმოვანდა". ყოველივე ამან კი ის გამოიწვია, რომ გუნდის გამოცდილ ახალწვეულთა თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ (**ალექსანდრე გოგობერიშვილი, გიორგი მეგრელაძე, დავით ჭიჭვეიშვილი, კახა ჩხეტიანი, გრიგოლ დოლიძე, გიორგი ხიდეშელი, გელა ხუბუა, ლადო ახალაია**) „ბაია" დატოვა და ზუგდიდელთა მთავარ მწვრთნელს **ელგუჯა ქომეთიანს** მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელებს პლუს ერთი-ორი ვეტერანი მოთამაშე (**რონ ონიანი, ლევან აკობია**) შერჩა. სამწუხაროდ, ფინანსური კრიზისი პირველი ეტაპის ბოლომდე გაგრძელდა და არც ახლაა დამაიმედებელი სიტუაცია. მით უფრო, რომ „ბაია" კიდევ უფრო დასუსტდა: ლევან აკობიამ კვლავაც სომხეთში არჩია კარიერის გაგრძელება, გუნდის ორი პერსპექტიული ფეხბურთელი (**თორნიკე ზარქუა, ნიკა კვეკვესკირი**) თბილისის „დინამომ" მიიწვია, ახალგაზრდა შემტევი **ლუკა გუგუჩია** კი ქუთაისის „ტორპედოში" იასპარეზებს. ასეთი სოლიდური დანაკლისის მიუხედავად, მაინც გვგონია, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის მებრძოლ გუნდებს შორის „ბაიას" მცირედი უპირატესობა ექნება; ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს კი ზუგდიდურ გუნდში დარჩენილი ფეხბურთელების კვალიფიკაცია გვაძლევს, - „ბაიას" შემადგენლობაში რამდენიმე ისეთი მოთამაშეა, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე საინტერესოდ რომ მიგვაჩნია. იმის იმედიც დავიტოვოთ, რომ სამეგრელოს გუბერნატორი **ზაზა გოროზია** ზუგდიდურ გუნდს ბედის ანაბარა არ მიატოვებს და „ბაიას" მწვრთნელ-ფეხბურთელებს ზღაპრულ თუ არა, ელემენტარულ პირობებს მაინც შეუქმნის. არადა შესუსტებული და ერთიანად გაახალგაზრდავებული შემადგენლობით მოასპარეზე „ბაიამ" პირველ ეტაპზე არაერთი სიურპრიზი შემოგვთავაზა და დარწმუნებული ვართ, მსგავსი სენსაციები მეორე ეტაპისთვისაც ექნება „შემონახული"...

### ტორპედო

ჩემპიონატის დაწყებამდე ყველაზე დიდ ინტერესს, რაღა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში ქუთაისის „ტორპედოს" დაბრუნება იწვევდა. დაიწყო პირველი ეტაპი და სეზონის ლამის მთავარი... იმედგაცრუებაც სწორედ „ტორპედოსთან" ასოცირდებოდა: ფინანსურად ნელში გამართული და კვალიფიციური მწვრთნელის ხელმძღვანელობით მოასპარეზე ქუთაისური გუნდი ტურიდან ტურამდე ცხრილის ფსკერისკენ ეშვებოდა! რაღა თქმა უნდა, ასეთი წარუმატებელი ასპარეზობის ერთ-ერთ მთავარი მიზეზი გუნდის ახალწვეულთა ერთმანეთთან შეუთამაშებლობა იყო; მოკლედ, დროის ფაქტორი „ტორპედოსთვის" ერთობ აქტუალური გამოდგა და ჩვენთან კი, მოგეხსენებათ, „ლოდინი" არ უყვართ, - მოკლედ, სამწვრთნელო ცვლილებამაც არ დაახანა და... გამარჯვებებიც „წამოვიდა"! იმის მიუხედავად, რომ პირველი ეტაპის ბოლოსკენ „ტორპედომ" სატურნირო ცხრილის ფსკერს თავი დააღწია, არავის ეპარებოდა ეჭვი გუნდში სერიოზული ცვლილებების მოხდენაში. ბოლოს და ბოლოს, კლუბის ამბიციური ხელმძღვანელობა ნამდვილად ვერ შეეგუებოდა იმ ფაქტს, რომ ყველანაირ პირობაშექმნილი „ტორპედო" მხოლოდ მოკრძალებული მიზნებით დაკმაყოფილებულიყო. ამიტომაც, გუნდმა მეტად და მეტად აქტიური სატრანსფერო კამპანია აწარმოა და, ფაქტობრივად, მასშტაბურობით მხოლოდ თბილისის „დინამოს" ჩამორჩა. ოღონდ, ძველი და პრინციპული მეტოქისაგან განსხვავებით, ქუთათურებმა მხოლოდ ადგილობრივი „ბაზარი" აითვისეს და საკმაოდ კვალიფიციური კადრებიც დაიმატეს. ეგ კი არა, ამჟამად, ფაქტობრივად, ისეთი სიტუაციაა, რომ ქუთაისელთა დებიუტანტ მწვრთნელ **გია გიგატაძეს** (პირველ ეტაპზე მხოლოდ დადებითი კუთხით რომ წარმოჩნდა) ორი სრულფასოვანი შემადგენლობა ჰყავს. ეს კი იმის წინაპირობას იძლევა, რომ მიუხედავად სოლიდური ჩამორჩენისა, „ტორპედოს" მედლებისათვის ბრძოლაც რეალურად ხელეწიფება; თუმცა, ქუთაისში უკვე დღესვე... 19 აპრილის მოლოდინში არიან: საქართველოს თასის ნახევარფინალში ხომ „დიდი იმერული დერბი" გველოდება „ტორპედოსა" და „ზესტაფონის" მონაწილეობით!

### სიონი

ზედიზედ მეხუთე სეზონია, ბოლნისური კლუბი ერთ-ერთ ყველაზე უცნაურ გუნდად რომ შეიძლება მივიჩნიოთ; ანუ, „სიონის" საჩემპიონო სეზონის შემდეგ გუნდს, თითქოსდა მოტივაცია დაეკარგაო: არც საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდა და არც გავარდნის საფრთხე ემუქრებოდა. თუმცა, სეზონი არ გავიდოდა, გუნდს ერთ-ორი სიურპრიზი არ შემოეთავაზებინა: თავისზე ბევრად ძლიერ გუნდს გაამწარებდა და ამ დროს, თავისზე ბევრად სუსტებთან ქულებს ანიავებდა. თითქმის იგივე „სურათი" ვიხილეთ პირველ ეტაპზეც, როცა დებიუტანტი მწვრთნელის, **გიორგი ყიფიანის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სიონმა" ჩემპიონობის ფავორიტები „დინამო" და „ოლიმპი" ბოლნისიდან უქულოდ გამოუშვა! სამაგიეროდ, ისეთი მატჩების გახსენებაც შეგვიძლია, „სიონს" აშკარად უკეთ რომ მართებდა თამაში, თუმცა ის კი ფაქტია, რომ გუნდში არსებული რესურსის გათვალისწინებით, ბოლნისელებს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეთ. რა თქმა უნდა, გარკვეულ დანაკლისად უნდა მივიჩნიოთ **ვლადიმერ უგრეხელიძის, მურმან ქურასბედიანის, ლაშა ჭელიძისა** და **რევაზ გოცირიძის** გუნდიდან წასვლა; თუმცა, შევსებაც არანაკლებ სოლიდურია და „სიონის" ყველა ახალწვეულსაც გამოცდილება თუ ოსტატობა არ დაეწუნება: **ალექსანდრე გოგობერიშვილს, რევაზ ჯიქიას, ირაკლი ჩირიკაშვილს, ნიკა კვასხვაძეს**; გარკვეულ ინტერესს იწვევს „სიონის" შემადგენლობაში ორი ახალი სახის გამოჩენაც: **გიორგი რეხვიაშვილი** და **გიორგი ქუცურუა** წლების წინ პერსპექტიულ ფეხბურთელებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ მიზეზთა გამო დიდი დრო გაუცდათ და ახლა ბოლნისურ გუნდში შეეცდებიან საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენას. ერთ-ერთი ძველ-ახალი ამბავი ბოლნისური კლუბიდან კი, ალბათ ყველამ იცის: მეორე ეტაპისათვის გუნდს ადგილობრივი ფეხბურთის მართლაც კოლორიტი **გიორგი ყიფშიძე** წარუძღვება, ვისაც თავკაცობას ყოველთვის გუნდის ექსტრემალურ სიტუაციაში ყოფნისას სთავაზობდნენ...

### კოლხეთი

„ტორპედოს" მსგავსად ჩემპიონატის დაწყების წინ არანაკლებ გვიხაროდა კიდევ ერთი ტრადიციული გუნდის ელიტაში დაბრუნება - ფოთის „კოლხეთის" აღზევებას ვგულისხმობთ, თანაც **ბესიკ შეროზიას** გუნდმა ეს დაწინაურება სპორტული პრინციპებით მოახერხა და არა... გეოგრაფიული თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებებით. ოპტიმისტური განწყობა ჩემპიონატის მსვლელობისასაც გაგრძელდა - „კოლხეთი" იყო ერთადერთი გუნდი, სეზონის პირველი თვე დაუმარცხებლად რომ ჩაატარა! ეგ კი არა, ფოთელთა გუნდი ასევე ერთადერთი იყო, აგვისტოში საკუთარ კარში გოლი რომ არ ჰქონდა გაშვებული და როცა „კოლხეთის" ამბიციებზე ვსაუბრობდით, ვერაფრით წარმოვიდგენდით, თუ რა სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა საქართველოს ერთ-ერთ უძველეს კლუბს. თუმცა, „სერიოზული პრობლემები" კიდევ რბილად ნათქვამია: მეორე წრიდან მოყოლებული „კოლხეთი", ფაქტობრივად, დუბლშემადგენლობით ასპარეზობდა და ყოველივე ეს რომ გუნდის ასპარეზობაზე ნეგატიურად აისახებოდა, სატურნირო ცხრილიც მოწმობს. მოკლედ, „კოლხეთი" თამაშს-თამაშზე აგებდა და კიდევ კარგი, სეზონის დასაწყისში გუნდმა გარკვეული რაოდენობის ქულები დააგროვა, თორემ გამოკვეთილი აუტსაიდერობა არ ასცდებოდა...

ჯერ კიდევ პირველი ეტაპის მსვლელობისას გუნდი წამყვანმა ფეხბურთელებმა (**დათა სიჭინავა, ვლადიმერ ჯოჯუა, ოლეგ გველესიანი, მიხეილ მახვილაძე, ალექსანდრე ინწკირველი, დავით ციცხვაია, გიორგი სილაგავა, რევაზ ჯიქია, გიზო შენგელია**) დატოვეს; თუმცა, ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში ამათგან ორი გამოცდილი მოთამაშის (მახვილაძე, ინწკირველი) დაბრუნება მოხერხდა; რაც მთავარია, გუნდში დარჩა მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია და რამდენიმე მეტ-ნაკლებად ცნობილი ახალწვეულის დახმარებით „კოლხეთს" მეორე ეტაპზე ერთადერთი მიზანი ექნება - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება!

### სამტრედია

მეორე სეზონია „სამტრედია" უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა და ამ ხნის განმავლობაში გუნდი პატარ-პატარა კი არა, ბევრად უფრო მასშტაბური სენსაციებით ანებივრებდა თავის ერთგულ გულშემატკივარს; სხვანაირად ვერც იქნებოდა: სამტრედიაში ნებისმიერი მატჩის დროს ხომ სტადიონზე ანშლაგი გარანტირებული იყო და მოდი ამის მერე... მონდომებულად ნუ ითამაშებ! ასე იყო წინა სეზონშიც და იგივე გაგრძელდა ამ ჩემპიონატშიც, როცა უკიდურესად მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, „სამტრედიამ" რამდენიმე მართლაც შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა (და არა მხოლოდ ჩემპიონატის ფავორიტებთან). არადა, [illegible], როცა უხელფასო და უპრემიო ფეხბურთელი მოედანზე გადის და თავისზე ბევრად უზრუნველყოფილ და უპრობლემო (გნებავთ, სახელიანსაც) მეტოქეს ამარცხებს, თანაც იცის, რომ მდგომარეობა... არც ხვალ და არც ზეგ არ გამოსწორდება.

აი, ასეთ „საფეხბურთო" სიტუაციაში უხდებოდა მუშაობა პირველ ეტაპზე უკვე პერსპექტიულ სპეციალისტად მიჩნეულ ახალგაზრდა მწვრთნელს **გელა სანაიას**, ვინც, სამწუხაროდ, ზამთრის პაუზის დაწყებამდე გუნდს დაემშვიდობა. არა, გუნდი არც დაშლილა და შეძლებისდაგვარად, ვისაც ევალება, ყველაფერს აკეთებენ კიდეც, მაგრამ ზემოთქმულის არ იყოს, უხელფასო და უპრემიო ფეხბურთელ(ებ)ს როგორ უნდა მოსთხოვო ყველა მატჩში მაქსიმალური მოტივაციით ასპარეზობა? თანაც, მთავარი მწვრთნელის მსგავსად გუნდიდან რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელიც (**ლაშა ქებაძე, ლევან ბაკურაძე, ვაკო ტყემალაძე, ლაშა ძაგანია, დავით კირკიტაძე**) წავიდა და „სამტრედიის" ახალ თავკაცს, ასევე ახალგაზრდა სპეციალისტს **ლევან ანჯაფარიძეს** სერიოზულზე სერიოზული საფიქრალი ექნება, კვალიფიციური ფეხბურთელებით გუნდი რომ დააკომპლექტოს. რა თქმა უნდა, ნამდვილად არ არის პატარა ამბავი, კვლავაც მშობლიური გუნდის ღირსებას რომ დაიცავს პირველი ეტაპის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი **შოთა ჩომახიძე**, მაგრამ გუნდის მთავარი მიზნის მისაღწევად იქნება კი ეს საკმარისი?

### სპარტაკი

აი, ამ შემთხვევაში კი მართლაც პარადოქსულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე: ჩემპიონატის სტარტამდეც ვვარაუდობდით, რომ „სპარტაკის" პროგრამა მაქსიმუმიცა და მინიმუმიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნებოდა. ასეც მოხდა: პირველი ეტაპის შემდეგ სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზე სწორედ „სპარტაკი" იმყოფება, მაგრამ ზემოთ ნახსენები პარადოქსული სიტუაცია კი იმაში მდგომარეობს, რომ უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნების ყველაზე საუკეთესო შანსი სწორედ ამჟამინდელ... ბოლოადგილოსანს აქვს! ასეთი ოპტიმისტური დასკვნის გაკეთების საფუძველს კი ჯერ კიდევ პირველი ეტაპის მიწურულს გუნდის გაუმჯობესებული თამაშიც გვაძლევს: **ბადრი კვარაცხელიას** ხელმძღვანელობით „სპარტაკმა" საჭიროზე საჭირო ქულების მოგროვებაც დაიწყო და თავიდან თუ ყველა განწირულ გუნდად მიიჩნევდა, ამჟამად სულ სხვაგვარი სიტუაციაა. თანაც, საქმე მხოლოდ კონკურენტებთან სამქულიან ჩამორჩენაში არ არის: „სპარტაკს" არც ფინანსური პრობლემები აწუხებს, ზამთრის მოსამზადებელი პერიოდიც ნაყოფიერად ჩაატარა და, რაც მთავარია, ისეთი ფეხბურთელებიც ჰყავს, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება რომ არ უნდა გაუჭირდეს. რა თქმა უნდა, გამოცდილი **შოთა კაშიას** წასვლა გუნდისთვის სერიოზული დანაკლისია, მაგრამ შევსებაც არანაკლებ სოლიდურია, მით უფრო, რომ **ვლადიმერ უგრეხელიძეს, მურმან ქურასბედიანს, ზვიად მეტრეველსა** და **გიორგი მამუჩიშვილს** უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის საკმაო გამოცდილება აქვთ. „სპარტაკის" დადებით მხარეებზე ვსაუბრობთ და გუნდის ორი ლიდერიც უნდა ვახსენოთ: გამოცდილზე გამოცდილი მეკარე **სოსო გრიშიკაშვილი** და ნიჭიერი გამთამაშებელი **ვალერი ბოლქვაძე**; სწორედ ამ ორი ფეხბურთელის ოსტატობაზეა დიდად დამოკიდებული „სპარტაკის" წარმატებული ასპარეზობა ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე.

---

დინამო. პრესკონფერენცია და პრეზენტაცია

# დინამო წარმოგიდგენთ: ძველებსაც, ახლებსაც...

მე-2 გვერდიდან

ამასობაში კი ახალწვეულთა წარდგენის დროც დადგა, რომლებსაც კლუბის და გუნდის ხელმძღვანელობისგან მუდმივნომრიანი მაისურები გადაეცათ. იმედია, „დინამოს" უცხოელი ახალწვეულები არ გვიწყენენ, ჯერ ჩვენებურებს თუ ვახსენებთ...

**დიმიტრი ტატანაშვილი** ჩვენს ჩემპიონატში სამწლიანი პაუზის მერე ბრუნდება: საქართველოს ნაკრებისა და „ამერის" ყოფილი ფორვარდი თავის ახალ კლუბში 18-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს (კონტრაქტი: 6 თვე პლუს 2 წელი); რუსული პრემიერლიგიდან (მახაჩყალის „ანჟიდან") „დინამოში" ექვსთვიანი იჯარით გადმოვიდა 23 წლის შემტევი ნახევარმცველი **ზურაბ არზიანი**, ვინც თავის ახალ გუნდში 55-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელია 27 წლის **გიორგი ციმაკურიძე** — ამ უნივერსალ მცველს სხვადასხვა დროს არაერთ უცხოურ კლუბში უთამაშია და „დინამოსთან" მისი კონტრაქტი 6 თვეს პლუს 1 წელია (ციმაკურიძე 28-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს); აი, ორ ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელთან კი „დინამომ" საკმაოდ ხანგრძლივი, ხუთწლიანი ხელშეკრულებები გააფორმა: 20 წლის მეკარე **თორნიკე ზარქუა** 32-ე ნომრით იასპარეზებს, 18 წლის უნივერსალს (დაცვასა და ნახევარდაცვაში ერთნაირი წარმატებით მოასპარეზე) **ნიკა კვეკვესკირს** კი 30-ნომრიანი მაისურა გადასცეს.

ახლა კი უცხოელებზეც ვთქვათ და, პირველ ყოვლისა, ბოსნიური წარმოშობის **პეტარ ელიჩი** უნდა ვახსენოთ — 24 წლის ათლეტური აღნაგობის ფორვარდი „დინამოში" ექვსთვიანი იჯარის წესით იასპარეზებს (ბოლოს რუსულ „ვოლგაში" ასპარეზობდა). სხვათა შორის, ელიჩზე რომ „დინამოს" ხელმძღვანელობა სერიოზული იმედს ამყარებს, ის ფაქტიც მოწმობს, რომ ბოსნიელ თავდამსხმელს პრესტიჟულზე-პრესტიჟული 10-ნომრიანი მაისურა გადასცეს. იმავეს თქმა შეიძლება 30 წლის ჩეხ ცენტრალურ მცველზე, **ირჟი ჰომოლაზეც**, — „სპარტასა" და „იაბლონეცის" ყოფილი ფეხბურთელი „დინამოში" 4-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს და მასთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაფორმდა. ბევრად უფრო ხანგრძლივი ხელშეკრულება გაუფორმეს **სემ ჰაჯიბულიჩს** — 24 წლის ნახევარმცველი ბოლოს ალბანურ „ბესაში" თამაშობდა, ამიერიდან კი სამწელინადნახევრის განმავლობაში „დინამოში" 26-ე ნომრით ითამაშებს. სერბი მარცხენა მცველი **მარკო მაროვიჩი** „დინამოში" 14-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს — მასთან კონტრაქტი ექვსი თვე პლუს 2 წელი იქნება. ამათ გარდა, „დინამოში" ისინჯება სლოვენიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 25 წლის შემტევი ნახევარმცველი **ბორუტ სემლერი.**



პეტარ ელიჩი და კახა კაჭარავა

დაბოლოს, ისევ „ქართულ" სიახლეებზეც: ექვსთვიანი პაუზის შემდეგ მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა „ძირძველი" დინამოელი **შოთა კაშია**; მთავარი მწვრთნელის ასისტენტად ასევე ყოფილი დინამოელი **ზაურ სვანაძე** იმუშავებს, დუბლშემადგენლობის მთავარ მწვრთნელად ცნობილი სპეციალისტი **რამაზ მუმლაძე** დაინიშნა, ამავე გუნდშია ასევე ყოფილ დინამოელი **ბესიკ ბერაძეც.**

კლუბის განახლებულ სამედიცინო კორპუსს ლუდუშაურის სახელობის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს ასაკობრივი ნაკრები გუნდების ექიმი-ტრავმატოლოგი **მერაბ ვარძუკაშვილი** უხელმძღვანელებს.

გვერდები მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

XIX ტური

| კოლხეთი–სამტრედია | ოლიმპი–ვიტ ჯორჯია | ბაია–სიონი | დინამო–სპარტაკი | ზესტაფონი–ტორპედო |
|---|---|---|---|---|
| 12.02. ფოთი. ფაზისი | 13.02. რუსთავი. ფოლადი | 13.02. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე | 13.02. თბილისი. ბ. პაიჭაძე | 14.02. ზესტაფონი. დ. აბაშიძე |
| 14:00 | 14:00 | 14:00 | 17:00 | 16:00 |
| არბიტრი: ა. კრიჭაშვილი | არბიტრი: თ. გვანცელაძე | არბიტრი: ხ. გაგნიძე | არბიტრი: ლ. სილაგავა | არბიტრი: გ. ვადაჭკორია |
| ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, კ. ტეფნაძე | ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, გ. ჩიგოგიძე | ასისტენტები: კ. გაბრიაძე, ი. მაჩიტიძე | ასისტენტები: ზ. ფიფია, გ. ყრუაშვილი | ასისტენტები: ი. უკლება, ზ. ბერულავა |
| მეოთხე მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი | მეოთხე მსაჯი: ჯ. ხორავა | მეოთხე მსაჯი: ბ. ნინუა | მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი | მეოთხე მსაჯი: შ. ქუხილავა |

ოლიმპი


თორნიკე მაისურაძე

# ოლიმპი ისევ გამეტალურგდება

## რუსთაველები კვლავ ჩემპიონობას უმიზნებენ

საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის დაწყებამდე, "ოლიმპის" მწვრთნელ-კონსულტანტმა **თორნიკე მაისურაძემ** პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც ახალი პრესატაშე და ტრანსფერების მენეჯერი **შოთა შერმადინი** უძღვებოდა.

შოთა შერმადინი: *"თორნიკე მაისურაძე გენერალურ დირექტორად და მწვრთნელ-სელექციონერად დაინიშნა, მთავარ მწვრთნელად არმაზ ჯელაძე იმუშავებს, მის თანაშემწედ - ბორის გონჩაროვი, მეკარეების მწვრთნელად - გიორგი ბაბუაძე. ადმინისტრატორად გიორგი ლაბაური დარჩა, მთავარი ექიმი კვლავ დიმიტრი ზაალიშვილი იქნება, ფიზიოთერაპევტი ბექა ბერაძეა, ახალგაზრდული პროგრამის განვითარების მენეჯერი - თეიმურაზ ლორია, ლიცენზირების მენეჯერი - თამაზ კოსალაშვილი, გულშემატკივრებთან კავშირზე პასუხისმგებელი მაკა კვარაცხელიაა, უსაფრთხოების ოფიცერი კი - სულხან ნინიძე".*

თორნიკე მაისურაძე: *"პირველი ეტაპის შემდეგ "ოლიმპი" დატოვეს ჭანტურიამ, ბერიაშვილმა და ლონლაძემ. შეკრებაზე შვიდი ფეხბურთელი შევიმატეთ. ორი კვირა ინტენსიურად ვვარჯიშობდით, რაშიც შვეიცარიელმა ფიზმომზადების მწვრთნელმა ოლდრიხ შვაბმა დიდი სამსახური გაგვიწია. სასიამოვნოა, რომ საკმაოდ ძლიერ ევროპულ კლუბებთან გავიმარჯვეთ. ჩვენი მიზანი ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება და საერთაშორისო არენაზე წარმატებული გამოსვლაა. ფეხბურთელებს გავუფორმეთ გრძელვადიანი კონტრაქტები, რაც იმის გარანტია იქნება, რომ "ოლიმპი" ექვსთვიანი გუნდი აღარ იქნება.*

*მაისიდან კლუბს გადაერქმევა სახელი და კვლავ "მეტალურგი" იქნება. აღდგა ფანკლუბი, რომელთან დაკავშირებითაც სერიოზული მიზნები გვაქვს. ჩვენ მას ფორმებით მოვამარაგებთ და გასვლითი შეხვედრებისას ტრანსპორტირებაში დავეხმარებით.*

*გუნდის შესათამაშებლად დრო კიდევ გვჭირდება, მაგრამ თურქულ შეკრებაზე ნაჩვენები შედეგები გვარწმუნებს, რომ ბიჭები ერთმანეთს უკვე საკმაოდ კარგად უგებენ".*

მაისურაძემ წარადგინა ის შვიდი ფეხბურთელი, რომლებთანაც გრძელვადიანი კონტრაქტები გაფორმდა და მათ მუდმივნომრიანი მაისურები გადასცა: წარდგენილთა უმრავლესობა საფეხბურთო საზოგადოებისთვის უცნობია. 18 ნომრით ითამაშებს **ზურაბ ქურდობაძე**, 19 წლის ფლანგის ნახევარმცველი, რომელიც დაუჯერებელ სისწრაფეს ფლობს - როგორც გუნდში გვითხრეს, 30 მეტრს 3,55 წამში გარბის.

უკრაინული და საბჭოთა ფეხბურთის ვარსკვლავი **ოლეგ ბლოხინი** ანალოგიურ მონაკვეთს 3,6 წამში ფარავდა, საქართველოს ნაკრებში სისწრაფით გამორჩეული **ზაზა რევიშვილი** კი - 3,7 წამში.

ქურდობაძის თამაში არ გვინახავს და ვერ გეტყვით, როგორი ფეხბურთელია, მაგრამ რუსთაველებს მისი ეიმედებათ. ზურაბი გასულ წელს თურქულ კლუბ "ანთალიაში" ირიცხებოდა, შემოდგომაზე წამოვიდა და "სამტრედიას" დუბლებში სამჯერ ითამაშა. შარშან შემოდგომაზე "სამტრედია 2"-მა "ოლიმპი 2" დაამარცხა და ქურდობაძე რუსთაველებმა სწორედ მაშინ შენიშნეს და გასინჯვაზე მიიწვიეს.

"სამტრედიას" ლიდერი, 23 წლის ნახევარმცველი **ბაკურ ტყემალაძე** ბევრი კლუბის ინტერესს იწვევდა, მაგრამ აუტსაიდერიდან ფეხბურთელის მიწვევას ვერ რისკავდნენ. "ოლიმპის" მწვრთნელმა გარისკა და, ვფიქრობთ, არ შემცდარა, რადგან ტყემალაძე თავის პოზიციაზე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა და თუ "სამტრედია" ბოლო ორი წელი სენსაციებით გვანებივრებდა, ეს ტყემალაძის დამსახურებაც იყო - მას 20-ნომრიანი მაისურა ერგო.

**გიორგი მურველაშვილი** მარჯვენა მცველია, ბოლო ნახევარი წელი არსად უთამაშია, მანამდე კი რეგიონული ლიგის თელავის "კახეთში" გამოდიოდა: *"უგუნდოდ დარჩენილი მაინც ვემზადებოდი, რადგან იმედი მქონდა, რომელიმე კლუბში გამსინჯავდნენ. ამ დროს გავიგე, რომ "ოლიმპში" ტესტირებები დაიწყეს და ბედი ვცადე. გამიმართლა, რადგან მომზადებულმა დიდ დატვირთვებს გავუძელი, ჩემპიონის გუნდის მწვრთნელს მოვეწონე და კონტრაქტი გამიფორმა".*

19 წლის შემტევი ნახევარმცველი **ლევან სეთურიძე** 23 ნომრით ითამაშებს. მან "ზესტაფონი 2" გაზაფხულზე დატოვა და მას შემდეგ უგუნდოდ იყო: *"ძალიან კარგ კლუბში ვიყავი, მაგრამ "ოლიმპში" ჩარიცხვამ არანაკლებ გამახარა. სერიოზული და ახალგაზრდული კლუბია და მწვრთნელი მენდობა, რაც ჩემთვის ბევრს ნიშნავს".*

თავდამსხმელი **თორნიკე ბახტაძე**, რომელიც თბილისის "ლოკომოტივში" ირიცხებოდა, 9 ნომრით ითამაშებს, "ოლიმპში" რეგიონული ლიგის "იმედიდან" დაბრუნებული ნახევარმცველი **გიორგი გორდეზიანი** კი - 6 ნომრით.

ბელარუსიდან წამოსულმა **ირაკლი მაისურაძემ** "ოლიმპთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და შემტევი ნახევარმცველისთვის უჩვეულო 3 ნომერი მიიღო.

"ოლიმპთან" ერთად შეკრებაზე ტალინის "ფლორაში" მოთამაშე **ზაქარია ბეგლარიშვილი** იმყოფებოდა, მაგრამ ის ამჟამად ესტონეთშია და იმედოვნებს, რომ კლუბის ხელმძღვანელობა "ოლიმპში" იჯარით გაუშვებს. **ირაკლი კლიმიაშვილი** კი "ანჟის" მეორე შეკრებაზე გაჰყვა და, სავარაუდოდ, მახაჩყალურ კლუბში დარჩება.

"ოლიმპი" მეორე ეტაპს 13 თებერვალს "ვიტ ჯორჯიასთან" საშინაო შეხვედრით გახსნის.

**მერაბ მამულაშვილი**

პრესკონფერენცია

სპარტაკი

# უფრო ძლიერი და ამბიციური

## ახალი გუნდი და ახალი მოტივაცია

**გუშინ ცხინვალის "სპარტაკის" ოფისში გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბადრი კვარაცხელიამ პრესკონფერენცია გამართა. მის გარდა, მასმედიის წინაშე წარდგნენ "სპარტაკის" ორი ახალწვეული, ზვიად მეტრეველი, გიორგი მამუჩიშვილი და კლუბის პრესატაშე დავით ცაბაძე. კლუბმა რამდენიმე დღის წინ მოგებული "ბენდელას თასიც" წარმოგვიდგინა.**

**მართალია, "სპარტაკი" უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში დღეისთვის ბოლო ადგილზეა, მაგრამ მისი რამდენიმე კონკურენტის არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობას და თვით "სპარტაკის" შემადგენლობის გაძლიერებას თუ გავითვალისწინებთ, წესით, კვარაცხელიას გუნდს უძლიერესთა შორის დარჩენა არ უნდა გაუჭირდეს. 13 თებერვალს "სპარტაკი" თბილისის "დინამოს" სტუმრობს.**

**როგორც ამგვარ შემთხვევებში ხდება, ძირითადად გუნდის თავკაცმა ილაპარაკა.**

**ბადრი კვარაცხელია:**

- სეზონის განახლებამდე აღარაფერი დარჩა და მოხარული ვარ, რომ ჩვენი გუნდი ამ მნიშვნელოვან პერიოდს კარგი კონდიციებითა და გაძლიერებული შემადგენლობით ხვდება. მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარებულმა ამხანაგურმა მატჩებმა დაგვანახვა, რომ "სპარტაკს" საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, რაც ჩვენს ასპარეზობაში აუცილებლად უნდა აისახოს. როგორც იცით, ჩავატარეთ ორი შეკრება – თბილისსა და ურეკში. საკუთარი მზადყოფნა "ბენდელას თასზეც" შევამოწმეთ და ამ ტურნირის მოგებამ საკუთარი ძალების რწმენა გაგვიძლიერა.

**- რა იქნება "სპარტაკის" მიზანი მიმდინარე სეზონში?**

- ჩვენი პროგრამა-მინიმუმი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, პროგრამა-მაქსიმუმი კი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა.

**- მომავალი სეზონისთვისაც ანალოგიურ ამოცანებს დაისახავთ თუ უფრო ამბიციური გუნდი გეყოლებათ?**

- შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ახალ სეზონში უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ბრძოლას არ დავჯერდებით და ევროტურნირებზე გასვლის შანსიც გვექნება.

**- საინტერესოა, როგორ პროგრესირებენ "სპარტაკის" ახალგაზრდები?**

- ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელები გვყავს, რომლებიც ძალიან სწრაფად აუმჯობესებენ თამაშის ხარისხს. სეზონის პირველ ნახევარში ჭაბუკებს თამამად ვენდობოდით და ისინი ნელ-ნელა იძენენ გამოცდილებას. ამ პოლიტიკას მომავალშიც გავაგრძელებთ და ძირითად გუნდში დამკვიდრების შანსს სხვა ახალგაზრდებსაც მივცემთ. თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ მხოლოდ ჭაბუკებით ფონს ვერ გავალთ და რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე იმისთვის გვყავს, რომ ახალბედებს საფეხბურთო ოსტატობის ამაღლებაში დაეხმარონ.

**- როგორც ვიცით, "სპარტაკის" არაერთ ფეხბურთელს მაღალი ტემპერატურა აქვს და უახლოეს მატჩში მათი თამაში**


მარცხნიდან: ბადრი კვარაცხელია, ზვიად მეტრეველი, გიორგი მამუჩიშვილი

**საეჭვოა. კონკრეტულად, რომელი მოთამაშეები არიან ავად?**

- თქვენი ნებართვით, მათი ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ, ეს პრობლემა კი ნამდვილად გვაწუხებს. დაზუსტებით ისაა ცნობილი, რომ თბილისის "დინამოსთან" მატჩს დისკვალიფიკაციის გამო ვალერი ბოლქვაძე გამოტოვებს, მამუჩიშვილი კი "დინამოს" საკუთრებაა და მის წინააღმდეგ თამაშის უფლება არ აქვს.

**- გუნდის ახალწვეულებზე რას გვეტყვით?**

- თქვენ წინაშე მსხდომ ორ ფეხბურთელს თბილისის "დინამოდან" ქართველი გულშემატკივარი კარგად იცნობს. ზვიად მეტრეველი "დინამოსგან" გამოვისყიდეთ, გიორგი მამუჩიშვილი კი ჩვენთან სეზონის ბოლომდე იჯარით ითამაშებს. ორივე კარგ ფორმაშია და მათი დიდი იმედი გვაქვს. როგორც იცით, ბოლნისის "სიონიდან" დავიმატეთ მურმან ქურასბედიანი და ვლადიმერ უგრეხელიძე, რომლებიც ასევე სასარგებლო ფეხბურთელები არიან. აქტიურ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ კიდევ ორ მოთამაშესთან, რომელთა ვინაობასაც მოგვიანებით შეიტყობთ. მათი "სპარტაკში" ჩარიცხვის შანსი საკმაოდ დიდია.

**- რამდენიმე დღის წინ ბელგიაში იმყოფებოდით, სადაც მწვრთნელთა საერთაშორისო სემინარს დაესწარით...**

- ქალაქ გენტში გამართულ სემინარს საქართველოდან შვიდი მწვრთნელი დავესწარით და იქიდან შთაბეჭდილებებით აღვსილნი დავბრუნდით. გავიარეთ 36-საათიანი პროგრამა, დავესწარით როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს. სწავლების პრაქტიკული ნაწილი კლუბ "გენტის" ბაზაზე გაიმართა. სასიამოვნოა, რომ ქართველ სპეციალისტებს ასეთ ღონისძიებებზე მოხვედრის საშუალება გვაქვს. მე და ჩემი რამდენიმე კოლეგა ამ პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა უცხოურ სემინარს უახლოესი სამი წლის განმავლობაში სისტემატურად დავესწრებით და ამით პრო-ლიცენზიის ასაღებად სერიოზულ საფუძველს შევიქმნით.

*კომენტარი "სპარტაკის" ახალწვეულებმაც გააკეთეს.*

**ზვიად მეტრეველი:** იმის მიუხედავად, რომ "დინამოს" დატოვებამ მომიწია, მოტივაციის ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდი და ყველანაირად ვეცდები, "სპარტაკისთვის" სასარგებლო ფეხბურთელი გავხდე.

**გიორგი მამუჩიშვილი:** "სპარტაკში" ჩინებული ატმოსფერო დამხვდა, რაც საბრძოლველად განმაწყობს. ახალი გუნდის შემადგენლობაში თამაშს მოუთმენლად და დიდი იმედით ველი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ოთხი ვოლგელი დინამოში გამოირიცხა

## გიორგი ნავალოვსკი: გაზაევთან, ალანიაშია


გიორგი ნავალოვსკი

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თბილისის "დინამომ" ანთალიაში შეკრება დაიწყო, "ლელო" წერდა, რომ საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგადან" ფეხბურთელებს დაიმატებდა. თავდამსხმელი **პეტარ ელიჩი** კლუბს შეუერთდა და საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ითამაშებს. ჩვენი ინფორმაციით, თბილისელები ნიჟნინოვგოროდელთა კიდევ სამი ფეხბურთელის დამატებას აპირებდნენ, მათ შორის, **ედიკ საჯაიასი** და **გიორგი ნავალოვსკისა.**

საერთოდაც, როგორც შევიტყვეთ, "ვოლგას" და თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელებმა თანამშრომლობა გადაწყვიტეს. ეს "ვოლგას" გენერალური მენეჯერის, **მამუკა ჯულელის** ფაქტორითაა განპირობებული.

თუმცა ნავალოვსკის ჩამოყვანა უკვე გამოირიცხა - 24 წლის მცველი "ალანიაში" ჩაირიცხა. "სპორტ-ექპრესის" ინფორმაციით, გიორგი **ვალერი გაზაევის** კლუბის წევრი გუშინ გახდა.

აქვე ვიტყვით, რომ "ალანიაში" ვარჯიშობს ზუგდიდის "ბაიას" ყოფილი ფეხბურთელი **ივანე კანდელაკი**, რომელიც მანამდე ჰოლანდიურ "ვიტესში" ისინჯებოდა. კანდელაკმა უკვე რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა გამართა.

რაც შეეხება **ედიკ საჯაიას**, ის ჰაიფას "მაქაბიში" ვერ ჩაირიცხა, კვლავ "ვოლგაში" დაბრუნდა და დღემდე ამ კლუბში ვარჯიშობს, მაგრამ დროებით. მართალია, საჯაიას ნიჟნი ნოვგოროდის კლუბთან კონტრაქტი წლის ბოლოს ეწურება, მაგრამ იძულებულია, „ვოლგა" დატოვოს. ის დღემდე რუსეთში დარჩენას იმედოვნებს.

სხვათა შორის, **მამუკა ჯულელის** მეშვეობით მოხვდა თბილისის "დინამოში" მახაჩყალის "ანჟის" ნახევარმცველ **ზურაბ არზიანის** ჩამოყვანაც.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პირველი უცხოელი ჰოლანდიაში


მერაბ ჟორდანია და ბურგომისტრი, ქალბატონი კრიკკე „ვიტესის“ მატჩზე

# მერაბ ჟორდანია ყველგან საქართველოსთანაა

**ვალერი ჩოლარიას კარგად იცნობენ საქართველოში და საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებში. წლების განმავლობაში იგი სფფ-ის გენერალური მდივანი იყო მერაბ ჟორდანიას დროს. რამდენიმე წელიწადია, „სახალისო ფეხბურთის“ მსოფლიო ორგანიზაციის კოორდინატორის მოვალეობას ასრულებს საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებში. დღემდე ახლო ურთიერთობა აქვს მერაბ ჟორდანიასთან.**

**- ამას წინათ ჰოლანდიაში სტუმრობდით მერაბ ჟორდანიას. რა იყო ეს - პირადი სტუმრობა თუ საქმიანი შეხვედრა?**

- ეს იყო საქმიანი ვიზიტი „სახალისო ფეხბურთის“ საერთაშორისო პროექტის დირექტორ ანდერსონ ლევინსონთან ერთად.

ცხადია, ვისაუბრეთ სიტუაციაზე საფეხბურთო კლუბ „ვიტესში“, რომლის მფლობელი და პრეზიდენტი მერაბია.

**- მერაბ ჟორდანია პირველი და სადღეისოდ ერთადერთი უცხოელია, რომელიც ჰოლანდიური კლუბის მფლობელი და პრეზიდენტი გახდა. როგორ გრძნობს თავს მერაბი ახალ გარემოში?**

- ჩინებულად. დღეს მსოფლიო ფეხბურთში ალბათ, ბევრს არ გააჩნია მერაბის სადარი საქმიანი და ცხოვრებისეული გამოცდილება. მერაბი იყო ფეხბურთელი, სკ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი, სფფ-ის პრეზიდენტი, უეფას კომიტეტის წევრი, ახლა კი ქალაქ არნემის სკ „ვიტესის“ თავკაცია. ასე რომ, მისთვის არ არსებობს რაიმე პრობლემა. მისი დამსახურებაა, რომ არნემი საფეხბურთო ქალაქად იქცა. მერაბს ცნობენ ქუჩაში, მადლობას უხდიან, მასთან სურათებს იღებენ. სრული მხარდაჭერა აქვს ქალაქის მთავრობისგან, სპონსორებისგან, რომლებიც ყველა საშინაო მატჩს ესწრებიან. ამგვარი ყურადღება მე შევნიშნე ყველგან სტუმრობის მთელი კვირის განმავლობაში, მათ შორის ოფიციალურ და მეგობრულ შეხვედრებზე.

**- ერთი კვირა იყავით არნემში, ალბათ, დაესწარით ქვეყნის ჩემპიონატში კლუბის საშინაო მატჩებს. რა შთაბეჭდილება დატოვა ჟორდანიას გუნდმა?**

- დიახ, დავესწარი. ერთი შეხვედრა „ვიტესმა“ 5:2 მოიგო, მეორეში 1:1 დაფიქსირდა. გუნდი აღმავლობის გზაზეა, გაძლიერდა, დაემატა უნიჭიერესი ცენტრფორვარდი პრალას „სპარტადან“ ფილფრიდი. გაძლიერების პროცესი გრძელდება და მომავალ სეზონში მათი ამოცანა იქნება პლეი ოფის მატჩებიდან ევროტურნირზე მოხვედრა.

განსაკუთრებით გამახარა გურამ კაშიას საიმედო თამაშმა. ორივე მატჩში, რომელიც მე ვნახე, ქართველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე.

სასიამოვნო იყო ამ მატჩებისას კუმანთან, საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილ მწვრთნელ ბოსკამპთან შეხვედრები. მერაბ ჟორდანიას პირადი მიწვევით ისინი ხშირად ესწრებიან „ვიტესის“ თამაშებს.

**- მერაბ ჟორდანიას უახლოეს გეგმებზე თუ იცით რამე?**

- ვიცი, რომ მერაბის მთავარი საზრუნავია „ვიტესის“ შემადგენლობის გაძლიერება, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება, უახლოეს ორ წელიწადში ევროტურნირში მონაწილეობა. მიმდინარეობს მუხლჩაუხრელი მუშაობა, რომელიც დღეს შეიძლება მკაფიოდ არ ჩანს, მაგრამ მომავალში ნაყოფს უეჭველად გამოიღებს.

მერაბი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინფრასტრუქტურას. დასრულების სტადიაშია პროექტირება კლუბის ტექნიკური ცენტრისა შვიდი მოედნით, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ევროპაში. სხვათა შორის, საფეხბურთო მოედნებზე ბუნებრივ საფარს აგებს ცნობილი ფირმა, რომელმაც წარმატებით შეასრულა „არსენალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაკვეთა.

მინდა გითხრათ, რომ საქართველოში მალე დარეგისტრირდება ან მისი სახელობის, ან ჟორდანიების საგვარეულო ფონდი, რომლის ძირითადი ამოცანა იქნება ტურნირებისა და მატჩების ორგანიზება; ახალგაზრდა მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ევროპის კლუბებში სტაჟირებით; ფეხბურთის ბიზნესში მენეჯმენტის მომზადება; ჭაბუკთა სელექცია და მათი შემდგომი დაოსტატება; სფფ-სთან მჭიდრო თანამშრომლობა, ქვეყანაში ფეხბურთის შემდგომი განვითარების მიზნით. გავიგე, რომ ფონდის პრეზენტაციაზე „ვიტესის“ სპონსორებთან ერთად დასწრებას გეგმავს კრუიფის აკადემიის დირექტორი. ივარაუდება, რომ ეს აკადემია თბილისში ფილიალის გახსნითაცაა დაინტერესებული. ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციებს „ლელო“ უწყვეტად მიიღებს, ამასთან, ფონდს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ავტორიტეტული და გავლენიანი თქვენი გაზეთის საინფორმაციო მხარდაჭერის იმედიც აქვს.

**- რა თქმა უნდა, მერაბს ვუსურვებთ, „ვიტესმა“ იგივე გზა გაიაროს, რაც „აიაქსმა“. თავად რას ფიქრობს?**

- როგორც კი ფონდი დარეგისტრირდება, პრეზენტაციაზე მერაბი პასუხს გასცემს ყველა საინტერესო კითხვას. ფიქრობს, ფონდის მუშაობაში ძირითადად დაეყრდნოს ქართული ფეხბურთის ვეტერანებს. მათ წინაშე მერაბის დამსახურება და ავტორიტეტი იძლევა გარანტს, რომ მხარში დაუდგებიან ფონდის ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ.

**- როგორ ფიქრობთ, მერაბი თვალყურს ადევნებს და იცის ყველაფერი, რა ხდება ქართულ ფეხბურთში?**

- აბსოლუტურად ყველაფერი იცის. იწონებს იმ ძირითად მიმართულებებს, რასაც სფფ ახორციელებს.

**- შევახსენოთ მკითხველს ეს მიმართულებები...**

- ესაა ჭაბუკთა ფეხბურთი; ინფრასტრუქტურა; ეროვნული ჩემპიონატი; ნაკრები გუნდებისა და კლუბების გამოსვლა საერთაშორისო სარბიელზე; მენეჯმენტი. მერაბს სჯერა, რომ ამ პრობლემების გადაჭრა ქართულ ფეხბურთს ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს მსოფლიოს საფეხბურთო ოჯახში. ამბობს, რომ დღეს საქმე ჩვენთან პროფესიონალების ხელშია. მერაბმა, როგორც ვიცი, პირადად მიულოცა ფედერაციის პრეზიდენტად არჩევა ზვიად სიჭინავას. იმედება, რომ ჩვენი ფედერაცია და „ვიტესი“ მჭიდროდ ითანამშრომლებენ.

**- ბარემ ისიც ვთქვათ, როგორია დღეს მერაბის ურთიერთობა ფიფა-უეფასთან და თუნდაც აბრამოვიჩთან?**

- შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ მერაბს ფიფა-უეფას პრეზიდენტებთან აკავშირებს როგორც საქმიანი, ისე მეგობრული ურთიერთობები. ჟორდანიას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისას ჩამოვიდნენ საქართველოში პირველად ბლატერი და პლატინი. ჩვენი ქვეყანა რომ არჩევნებში მხარს დაუჭერდა, მათ ეს კარგად იცოდნენ. ასეც მოხდა.

მერაბს დიდი ავტორიტეტი აქვს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მისგან იღებენ რჩევებს, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან. რაც შეეხება აბრამოვიჩს, ჟორდანია და იგი არასდროს ყოფილან პარტნიორები ბიზნესში. მათ აკავშირებთ პირადი მეგობრობა და საფეხბურთო ინტერესები. პრაქტიკულად, ყოველკვირეულად იღებენ ერთმანეთისგან კონსულტაციებს საფეხბურთო საკითხებში. უპირველესად, თავიანთ კლუბებთან დაკავშირებით.

**- ზემოთ ახსენეთ „სახალისო ფეხბურთის“ პროექტის დირექტორი. მერაბთან ერთად თუ განიხილეთ რაიმე საკითხი?**

- განვიხილეთ 2012 წლისთვის პროექტის გაგრძელების შესაძლებლობა. ჩვენი ფედერაციის დახმარებით პროექტი წლეულს წარმატებით ხორციელდება. უკრაინას, აზერბაიჯანს, ბალკანეთის ქვეყნებს საგაისო პრობლემები გადაჭრილი აქვთ. იმედია, საერთო ძალისხმევით ამას ჩვენც შევძლებთ.

**- ბოლოს გკითხავთ, როგორი იქნება თქვენი ურთიერთობა ჟორდანიას ფონდთან.**

- ახლა მთავარია, „სახალისო ფეხბურთის“ პროექტი შევინარჩუნოთ. სხვა საკითხებზე კი დამატებით მოვილაპარაკებთ მას შემდეგ, რაც ფონდი ოფიციალურად დაფუძნდება.

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**

● ახალი მწვრთნელი

# ჰოჯსონი დაინიშნა

„ვესტ ბრომვიჩის“ მთავარ მწვრთნელად **როი ჰოჯსონი** დანიშნეს. „ლივერპულიდან“ გაგდებული ჰოჯსონი „შაშვების“ რწმენით სწორედ ის კაცია, ვისაც მათი პრემიერლიგაში დატოვება შეუძლია. ბოლო დროს აქტიურად ლაპარაკობდნენ, რომ „ვესტ ბრომვიჩის“ თავკაცის ადგილს „ნიუკასლიდან“ გაგდებულ **კრის ჰიუტონს** ჩააბარებდნენ, მაგრამ კლუბის მეპატრონემ **ჯერემი პისმა** ჰოჯსონი ამჯობინა. მიზეზი: შარშან ჰოჯსონმა „ფულჰემი“ ევროპის ლიგის ფინალში ათამაშა.

შეგახსენებთ, რომ „ვესტ ბრომვიჩის“ მწვრთნელი, აქამდე, მთელი ორი წლის განმავლობაში, წარმოშობით შვეიცარიელი იტალიელი **რობერტო დი მატეო** გახლდათ. ის იყო მეცხე სპეციალისტი, რომელიც პრემიერლიგის კლუბებმა ამ სეზონში დაითხოვეს.

63 წლის ჰოჯსონისთვის „ლივერპულიდან“ გაგდების შემდეგ ფეხბურთში ასე მალე დაბრუნება ბედის წყალობაა. შეგახსენებთ, რომ მისი ხელმძღვანელობით მერსისაიდელები ძალიან ცუდად გამოდიოდნენ და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მეოთხე ადგილს სულ მეტად და მეტად შორდებოდნენ.


როი ჰოჯსონი

● ამბები

## ახლა კაკა!

„ჩელსის“ მეპატრონე **რომან აბრამოვიჩს** ზაფხულზე **კაკას** ყიდვა განუზრახავს. 28 წლის ბრაზილიელის დიდი თაყვანისმცემელია ინგლისის ჩემპიონთა მწვრთნელი **კარლო ანჩელოტიც**. ის კაკას ძალიან კარგად იცნობს - „მილანში“ მთელი 6 წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელი იყო.

ზოგადი ჩანაფიქრი კი ასეთია: აბრამოვიჩსა და ანჩელოტის გუნდის გადახალისება სურთ, რისთვისაც სულ ახლახან „ლივერპულისგან“ **ფერნანდო ტორესი** იყიდეს, ახლა კი უნდათ მას კაკა შეუწყვილონ. თან, დასავლეთლონდონელებს კაკა შესაძლოა შედარებით იაფად ჩაუვარდეთ ხელში. საქმე ის არის, რომ ბოლო პერიოდში მას მუხლის ტრავმა აწუხებს და ამის გამო **ჟოზე მოურინიოს** „რეალში“ ხშირად ვერ თამაშობს. ეს აბრამოვიჩს იმედს აძლევს, რომ მისი ფასი შეიძლება 25 მილიონ ფუნტამდე, ანუ 29,5 მილიონ ევრომდე დაეცეს. შეგახსენებთ, რომ 2006 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი 2009 წელს „რეალში“ „მილანიდან“ 56 მილიონ ფუნტად (დღევანდელი კურსით 66 მილიონი ევრო) გადავიდა, „მანჩესტერ სიტი“ კი მასში 100 მილიონი ფუნტის გადახდას აპირებდა.

გადავა კაკა „რეალიდან“ „ჩელსიში“ თუ ვერა, ერთი ფაქტია, რომ აბრამოვიჩმა კვლავ აღადგინა ძვირადღირებული ფეხბურთელების ყიდვის ტრადიცია. ამის დასტურია ტორესისა და **დავიდ ლუიზის** სანაცვლოდ 75 მილიონის გაღება და ამ კვირაში „ბაიერნისთვის“ **მარიო გომესში** 35,7 მილიონი ფუნტის შეთავაზება.

მცველმა **ბრანისლავ ივანოვიჩმა** კი 2016 წლამდე გაახანგრძლივა „ლურჯებთან“ კონტრაქტი.

## ერიქსენით მოსწონებიათ

დანიისა და ინგლისის ნაკრებების შეხვედრაში ყველაზე მეტად 18 წლის დანიელმა ნახევარმცველმა **კრისტიან ერიქსენმა** გაიბრწყინა. ამ ფეხბურთელის შესახებ პრემიერლიგის კლუბების ხელმძღვანელებს ინფორმაცია, რასაკვირველია, ამ თამაშამდეც ჰქონდათ, მაგრამ ოთხშაბათს ყმაწვილკაცი ფართო მასებისთვისაც გახდა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ამჯერად, დაკვირვებისთვის კოპენჰაგენში „ლივერპულს“ ჰყავდა მივლინებული მწვრთნელის ასისტენტი **სემი ლი**.

ერიქსენს ამსტერდამის გუნდთან 2014 წლამდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ ამთავითვე კარგად იცის, რომ პრემიერლიგის რამდენიმე გუნდი მზადაა თავისთან მიიპატიჟოს. ფეხბურთელმა თქვა:

*„ყოველთვის, როდესაც „აიაქსის“ შემადგენლობაში მოედანზე გავდივარ, ტრიბუნაზე ზის ამა თუ იმ კლუბის წარმომადგენელი და მაკვირდება. ამას დავეჩვიე კიდეც. ისიც ვიცი, რომ „ლივერპულს“ ჩემი შეძენა სურს, მაგრამ ახლა ჩემთვის ოცნებაში წასვლა ყველაზე დამღუპველი იქნება“.*

## ძირს ფეისბუქი და ტვიტერი

„მანჩესტერ სიტი“ გახდა პრემიერლიგის პირველი გუნდი, რომელმაც თავის ფეხბურთელებს „ფეისბუქსა“ და „ტვიტერში“ კომენტარების წერა აუკრძალა. მოგეხსენებათ, დღეს ბევრ ფეხბურთელს მატჩის შემდეგ ხალხისთვის ემოციის გაზიარების საშუალება სოციალური ქსელის დახმარებით ეძლევა, მაგრამ ისტლენდელთა მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** თავის ბიჭებს ყოფილი ლივერპულელი **რაიან ბაბელისა** და არსენალელი **ჯეკ უილშირის** მსგავსად მოქცევა აუკრძალა.

სრულიად გასაგებია, რომ „სიტი“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დღევანდელი დერბის წინ გააქტიურდა. ადვილი წარმოსადგენია, რა ხდება ინტერნეტსივრცეში დღეს, როდესაც ვნებათაღელვა მაქსიმუმს აღწევს. ხუთშაბათის მერე „მანჩესტერულ ინტერნეტში“ მოხშირდა „სიტის“ მავან წარმომადგენელთა აგრესიული და შეურაცხმყოფელი კომენტარები „იუნაიტედისა“ და მისი მწვრთნელის სერ **ალექს ფერგიუსონის** მიმართ. მანჩინიმაც სწორედ ამიტომ მოჰკიდა საქმეს ხელი და თანამშრომლებს კომპიუტერთან მიკარება აუკრძალა. აღსანიშნავია, რომ გამაფრთხილებელი წერილები როგორც „სიტის“ ასევე „იუნაიტედის“ ოფისებში თვით ქალაქის პოლიციამ დააგზავნა.

## ტაივო!

რა არის ასეთი ეს **ტაიე ტაივო**, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“ მისი გულისთვის ერთმანეთის დაჭმას რომ აპირებენ? ეს 25 წლის ნიგერიელი „მარსელში“ თამაშით გახლავთ ცნობილი და ზაფხულზე მას ფრანგულ კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება.

„იუნაიტედის“ მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** მარცხენა მცველი იანვარში, „მონაკოს“ წინააღმდეგ შეხვედრაში ნახა და ძალიან მოეწონა. აღსანიშნავია, რომ ჭორების თანახმად, ტაივოთი „მანჩესტერ სიტი“, „ტოტენჰემი“, „იუვენტუსი“ და „რეალიც“ ყოფილან დაინტერესებული. ყოველ შემთხვევაში, ამ კლუბების სკაუტები „მარსელის“ თამაშებზე შენიშნეს და ამბობენ, ისინიც ნიგერიელს აკვირდებოდნენო.

პრესაში იწერება, რომ ტაივო დაინტერესებულია გადავიდეს ისეთ კლუბში, რომელიც ხუთწლიან კონტრაქტს გაუფორმებს და ხელფასად წელიწადში 4,1 მილიონ ევროს დაუნიშნავს. ეს ხელფასი „ინგლისურად რომ გადავთარგმნოთ“, დაახლოებით კვირაში 73 ათასი ფუნტი გამოდის.

**ილია ბაბუნაშვილი**



უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტურის წინ

# საქმის გარჩევა სამეზობლოში

**დღეს, 16:45**
**მანჩესტერ იუნ. VS მანჩესტერ სიტი**
**ტრავმა:** ჰარგრივზი, რ. ფერდინანდი, ვალენსია - რიჩარდსი. ა. ჯონსონი, ბალოტელი.

**დღეს, 19:00**
**არსენალი VS ვულვერჰემპტ.**
**დისკვალიფიკაცია:** დიაბი (არს)
**ტრავმა:** ვერმაელენი, ფლიმპონგი, დენილსონი, ფაბიანსკი, ნასრი, სონგი - ჰანტი, მენსიენი, ნაითი, გუედიურა.

**დღეს, 19:00**
**ბირმინგემი VS სტოკი**
**ტრავმა:** მაკფადენი, დანი - სიდიბე, უილკინსონი, ჰიგინბოტემი

**დღეს, 19:00**
**ბლექბერნი VS ნიუკასლი**
**ტრავმა:** ჯონსი, სანტა კრუსი, ჟივე - ამეობი, სმიტი, აირლენდი, ს. ტეილორი, გოსლინგი, ბენ არფა. რ. ტეილორი

**დღეს, 19:00**
**ბლექპული VS ასტონვილა**
**დისკვალიფიკაცია:** ბეიკერი (ასტ)
**ტრავმა:** კრეინი, ბეშემი, გილკსი, კლარკი - ლ. იანგი, ბეიკერი, დელფი, უეიმენი

**დღეს, 19:00**
**ლივერპული VS უიგანი**
**ტრავმა:** ქეროლი, სპირინგი, ჯერარდი - კლივერლი, ალკარასი

**დღეს, 19:00**
**ვესტ ბრომვიჩი VS ვესტ ჰემი**
**ტრავმა:** იბანიესი, დორანსი - ედგარი, და კოსტა, ჰიტცლსპერგერი, კოლისონი, კურუჯი

**დღეს, 21:30**
**სანდერლენდი VS ტოტენჰემი**
**ტრავმა:** კეტერმოლი, მეილერი, ეილბეკი, ტერნერი, კემპბელი, ზენდენი - კრანჩარი, მოდრიჩი, კინგი, ჰადლსტოუნი, კაბული, ბეილი

**ხვალ, 20:00**
**ბოლტონი VS ევერტონი**
**ტრავმა:** ო'ბრეინი, სემუელი, გარდნერი, შ. დევისი - ბარკლი

**ზეგ, 00:00**
**ფულჰემი VS ჩელსი**
**ტრავმა:** ბრიგზი, ეტუჰუ, ზამორა, სენდეროსი - ჟირკოვი, ბენაიუნი

ერთმანეთზე გადამტერებულ მეზობლებს ბოლო ტურებში მაინცდამაინც არ უხმაურიათ, თავიანთ საქმეს შედარებით მშვიდად აკეთებდნენ და იმასაც ყოველთვის წარმატებულად ვერ ახერხებდნენ, მაგრამ საკმარისია დღეს „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედმა" „მანჩესტერ სიტი" დაამარცხოს, რომ ინგლისში სერიოზული ხმაური ატყდება - სერ **ალექს ფერგიუსონი** და მისი გუნდი ტიტულისკენ ძალიან სერიოზულ ნაბიჯს გადადგამენ.

წინა ტურში კი „იუნაიტედმა" მიმდინარე ჩემპიონატში პირველი თამაში წააგო, თან „ვულვერჰემპტონთან", მაგრამ გადარჩა - იმავე დღეს მდევარმა „არსენალმა" ნიუკასლში რალაცნაირად მოახერხა და პირველ ტაიმში ოთხი გოლის გატანის შემდეგ, მეორეში ოთხი გაუშვა. იმ ტურში "ჩელსიმ" „ლივერპულთან" წააგო... ერთი სიტყვით, პრემიერლიგის ცხრილში ბევრი არაფერი გამოცვლილა.

მიაქციეთ ყურადღება, რომ „მანჩესტერ სიტის" ერთი კვირის წინანდელ შედეგზე არაფერი ვთქვით. ისტლენდელებმა „ვესტ ბრომვიჩთან" 3:0 გაიმარჯვეს - სამივე გოლი პირველ ნახევარში გავიდა და სამივე **კარლოს ტევესმა** გაიტანა.

„იუნაიტედისა" და „სიტის" შეხვედრები წლების განმავლობაში განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ მას მერე, რაც ისტლენდზე არაბი მეპატრონე, შეიხი **მანსური** გამოჩნდა, დერბი დერბის დაემსგავსა. 2009 წლის სექტემბერში „სიტის" მწვრთნელი ჯერ კიდევ **მარკ ჰიუზი** იყო, მაგრამ უკვე მაშინ შედგა ორ გუნდს შორის დაუვიწყარი დაპირისპირება, რომელიც **მაიკლ ოუენის** მიერ მსაჯის დამატებულ დროში გატანილი გოლის წყალობით „იუნაიტედმა" 4:3 მოიგო. მას მერე „სიტიმ" სატრანსფერო ბაზარზე დიდძალი ფული დახარჯა და მანჩესტერელი მეზობლების ყოველი მორიგი დაპირისპირება სულ უფრო და უფრო ხმაურიანი ხდება.

დაძაბულობა კი დიდია: „მანჩესტერ სიტის" 1968 წლის შემდეგ არ მოუგია ინგლისის ჩემპიონის ტიტული და წარმოიდგინეთ, დღეს „იუნაიტედს" რომ აჯობოს, როგორ პერსპექტივას დალანდავს თვალწინ. თავის მხრივ, „იუნაიტედიც" ისტორიული შედეგის ზღურბლთან დგას - სანამ „ლივერპული" შედარებით სუსტია, ფერგიუსონის გუნდი მეცხრამეტე ოქროს მედალს მიადგა და თუ მას მოიპოვებს, ინგლისის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი გახდება. მაგრამ ისიც ყველას კარგად ესმის, რომ ჯერ რაიმეზე გადაჭრით ლაპარაკი ნაადრევია. თუნდაც იმავე „იუნაიტედს" „ჩელსისთან" ორივე თამაში აქვს დარჩენილი, „არსენალთან" კი სტუმრობა უწევს...

*„დღეს სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში გველის, - უთხრა ფერგიუსონმა საკლუბო ტელევიზიის ჟურნალისტს - ამ დიდი შეხვედრის შედეგზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. სამწუხაროდ, მაინცდამაინც ამ მატჩის წინ დაგვიმთხვიეს შუა კვირის სანაკრებო შეხვედრები, რაც, მე თუ მკითხავთ, ნამდვილი სიგიჟეა, მაგრამ რა გაეწყობა, რამენაირად გავართმევთ თავს. საბედნიეროდ ბევრი ისეთი ფეხბურთელი გვყავს, რომელთაც სანაკრებო შეხვედრებში არ უთამაშიათ და „სიტის" წინააღმდეგ ისინი გავლენ მოედანზე".*

უეინ რუნიმ, რომელიც ოთხშაბათს, დანიელებთან შეხვედრაში, **ფაბიო კაპელომ** პირველი ტაიმის მერე შეცვალა, ბოლო დროს თამაშს მოუმატა და თანდათანობით იმ რუნის ემსგავსება, მეტოქეებს შიშის ზარს რომ სცემდა. და მაინც, ფერგიუსონი „მანჩესტერ სიტისთან" სათამაშოდ შემადგენლობას დაკვირვებით შეარჩევს, რადგან, როგორც თავად თქვა, კოპენჰაგენში და უკან ნამგზავრი ესა თუ ის ფეხბურთელი დაშავებულის გარდა შეიძლება დაღლილიც იყოს.

სხვადასხვა ნაკრებში დაღლილი და დაშავებული ხალხის პრობლემა, რასაკვირველია, „მანჩესტერ სიტისაც" უდგას, მაგრამ მას ერთი უპირატესობა აქვს - ტევესი დასვენებულია. არგენტინელებმა ის არასერიოზული დამოკიდებულების გამო დასაჯეს და პორტუგალიასთან არ ათამაშეს, რითაც ისტლენდელებს დიდებული საქმე გაუკეთეს.

აი, „ვულვერჰემპტონს" კი პრემიერლიგის კალენდარი ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ გუნდმა ბოლო ტურში „მანჩესტერ იუნაიტედს" მოუგო 2:1, მაგრამ სიხარული ვინ აცადა - დღეს „არსენალს" ხვდება. ზემოთ კი „არსენალზეც" მოგახსენეთ და თუ **არსენ ვენგერის** გუნდი „ნიუკასლის" შემდეგ კიდევ მისცემს თავს ქულების დაფანტვის უფლებას, შეუძლია ტიტულისთვის მებრძოლთა რიგებიდან თავი ახლავე ჩამოწეროს.

„ჩელსი" ორშაბათამდე ისვენებს, ორშაბათ სალამოს კი მეზობელ უბანში „ფულჰემს" ხვდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მანამდე „ტოტენჰემი" სანდერლენდში გაიმარჯვებს ან თუნდაც ფრედ ითამაშებს, ერთი დღით მაინც ისიამოვნებს ცხრილის ცქერით - იქ, მეოთხე ადგილზე იქნება.

„ლივერპულს", რომელმაც ბოლო ოთხი თამაში მოიგო და გოლი არც ერთში არ გაუშვა, შეუძლია იგივე მეხუთედაც გაიმეოროს - „უიგან ატლეტიკს" მასპინძლობს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 25 | 15 | 9 | 1 | 55:24 | 54 |
| 2. არსენალი | 25 | 15 | 5 | 5 | 54:27 | 50 |
| 3. სიტი | 26 | 14 | 7 | 5 | 42:22 | 49 |
| 4. ჩელსი | 25 | 13 | 5 | 7 | 46:22 | 44 |
| 5. ტოტენჰემი | 25 | 12 | 8 | 5 | 35:27 | 44 |
| 6. ლივერპული | 26 | 11 | 5 | 10 | 34:31 | 38 |
| 7. სანდერლენდი | 26 | 9 | 10 | 7 | 32:31 | 37 |
| 8. ბოლტონი | 26 | 8 | 9 | 9 | 36:37 | 33 |
| 9. სტოკი | 25 | 10 | 3 | 12 | 31:32 | 33 |
| 10. ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 40:38 | 31 |
| 11. ბლექბერნი | 26 | 9 | 4 | 13 | 34:42 | 31 |
| 12. ფულჰემი | 26 | 6 | 12 | 8 | 28:28 | 30 |
| 13. ევერტონი | 25 | 6 | 12 | 7 | 33:34 | 30 |
| 14. ასტონ ვილა | 26 | 7 | 8 | 11 | 30:45 | 29 |
| 15. ბლექპული | 25 | 8 | 4 | 13 | 38:49 | 28 |
| 16. ბირმინგემი | 24 | 5 | 12 | 7 | 24:33 | 27 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 25 | 7 | 5 | 13 | 31:48 | 26 |
| 18. უიგანი | 26 | 5 | 11 | 10 | 26:44 | 26 |
| 19. ვულვზი | 25 | 7 | 3 | 15 | 26:43 | 24 |
| 20. ვესტ ჰემი | 26 | 5 | 9 | 12 | 27:45 | 24 |

**ბომბარდირები:** 19 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 18 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი); 10 - ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ნოლანი (ნიუკასლი), ბენტი (ასტონ ვილა); 9 - კეჰილი (ევერტონი), დემპსი (ფულჰემი), დროგბა (ჩელსი), ელმანდერი (ბოლტონი), მალუდა (ჩელსი), ნასრი (არსენალი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი), ტორესი (ლივერპული/ჩელსი); 8 - კემპბელი (ბლექპული).



სიტი-იუნაიტედი ტურის მატჩია

ინგლისის ნაკრები

ეროვნული ბიბლიოთეკა



კაპელოს და მის თანაშემწეებს ფეხბურთელების პატრიოტიზმზე აქვთ საზრუნავი

# ინგლისელების გაბრაზება და მაიმუნობა ჩეხურად

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა, კლუბები დასაჯოს. მიზეზი: იმ მოთამაშეთა რაოდენობამ, რომლებიც ამ კვირაში გამართულ სანაკრებო შეხვედრებში მონაწილეობისთვის გამოიძახეს, მაგრამ არ გამოცხადდნენ, შემაშფოთებელ ზღვარს მიაღწია - სამშაბათსა და ოთხშაბათს ინგლისელთა დიდი და ორი ასაკობრივი ნაკრების შეხვედრებს სხვადასხვა მიზეზით 24 ფეხბურთელი დააკლდა. ამათგან 11 კაცი **სტიუარტ პირსის** ახალგაზრდულ ნაკრებში არ გამოცხადდა.

ასეთმა სტატისტიკამ ფეხბურთის ასოციაციის შეფებს განგაშის ზარი შემოაკვრევინა და სასჯელების შემოღება აფიქრებინა. „განტევების ვაციც" კი შეარჩიეს: 20-წლამდელთა ნაკრებში არგამოცხადების გამო დასჯას „ნიუკასლის" თავდამსხმელ **ნაილ რეინჯერს** უპირებენ. დასჯის ფორმაც მოფიქრებული ჰქონდათ, ფეხბურთელს დღეს „ბლექბერნის" წინააღმდეგ თამაშს აუკრძალავდნენ, მაგრამ შემდეგ შეიტყვეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველ **კრის სმოლინგს** პირსმა ავადმყოფობის ცნობის გარეშე მისცა შეკრებისა და თამაშის გაცდენის ნება, სხვადასხვა გუნდის ფეხბურთელებს კი სხვადასხვანაირად ვერ მიუდგებოდნენ.

მაგრამ მარტში ასოციაცია გამკაცრდება და შეკრებიდან ისე არავის გაათავისუფლებს, სამედიცინო შემოწმება თუ არ ჩაუტარა. ყველა, ვინც ამ წესს არ დაემორჩილება, დისკვალიფიკაციით დაისჯება. ამის საშუალებას ფეხბურთის ასოციაციას თვით ფიფა აძლევს, რომლის ერთ-ერთ წესში მკაფიოდ წერია, რომ თუ მოთამაშე სანაკრებო შეხვედრას ისე გააცდენს, რომ შეკრებაზე საერთოდ არ გამოცხადდება, ადგილობრივ ფედერაციას უფლება აქვს მატჩის შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში მას კლუბში თამაში აუკრძალოს. როგორც ირკვევა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ამ წესის შესახებ დიდი ხანია იცოდა, მაგრამ მის გამოყენებას თავს არიდებდა, რადგან კლუბებთან ურთიერთობის გაფუჭება არ უნდოდა. ახლა მოთმინების ფიალა აივსო.

ინგლისელთა მთავარი ნაკრების თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** დანიელებთან შეხვედრის წინ კაპიტანი **სტივენ ჯერარდი** დაკარგა, მაგრამ ჯერარდმა დღეს „ლივერპულისა" და „უიგანის" შეხვედრაში რომც ითამაშოს, მას ასოციაცია საყვედურს ვერ ეტყვის, რადგან ის ეროვნული გუნდის ბაზაზე მივიდა, თავი ასოციაციის ექიმებს გაასინჯვინა და მხოლოდ მათი ნებართვით გააცდინა თამაში. „ლივერპულის" კაპიტანს საზარდული აწუხებდა, რაც ნაკრების სამედიცინო პერსონალმა დაადასტურა.

ერთი სიტყვით, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას, ამ ეტაპზე, მიზნად დასახული აქვს ფეხბურთელებს შეკრებაზე მისვლა და იქიდან დათხოვნა აიძულოს. ბანაკში გამოცხადება ყველასთვის სავალდებულო გახდება, რაც სად სად და ამ ქვეყანაში ძნელი არ უნდა იყოს: ინგლისის ნაკრების ყველა ფეხბურთელი ხომ ინგლისში თამაშობს. უცხოეთიდან არავის მოუწევს ჩასვლა.

ზემოთ „ნიუკასლის" ფეხბურთელის დასჯის სურვილი ვახსენეთ. „კაჭკაჭები" ასოციაციას იმიტომ ჰყავს ამოჩემებული, რომ შარშან, საფრანგეთთან შეხვედრის წინ **ენდი ქეროლთან** დაკავშირებით დაიძაბა ურთიერთობა: ასოციაცია ამტკიცებდა, რომ ქეროლი ჯანმრთელად არის, „ნუკასლს" კი დაჩემებული ჰქონდა, რომ ის დაშავებული იყო. ქეროლის გამო ნიუკასლელებსა და ასოციაციას შორის დავა ადრეც ყოფილა, კლუბი თავდამსხმელს 21-წლამდელთა გუნდში არ უშვებდა. მოკლედ, „კაჭკაჭებს" სახელი აქვთ გატეხილი.

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა იმიტომაც იყო შემაშფოთებელი, რომ იმ მოთამაშეთა შორის, რომლებმაც ნაკრეში თამაშს თავი აარიდეს, უმეტესობა ახალგაზრდა იყო. ეს ის თაობაა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ზეობაში გაიზარდა და სანაკრებო ფეხბურთი მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია. ამ ახალგაზრდებთან პატრიოტული მუშაობა კაპელოს ერთ-ერთ ასისტენტს, „ლივერპულის" ლეგენდარულ მეკარე **რეი კლემენსს** დაევალა. მან უნდა აუხსნას თანამედროვე ეპოქის შვილებს, რომ ნაკრებში თამაში მეორეხარისხოვან შეჯიბრებაში მონაწილეობას კი არა, საკუთარი სამშობლოს წარმოჩენასა და მისი ღირსების დაცვას ნიშნავს.

და თუ ეს შელავათია, ინგლისელები თავს იმით იმშვიდებენ, რომ ნაკრების მიმართ ასეთი დამოკიდებულება სხვა ქვეყნებშიც შეინიშნება. მაგალითად, **კარლოს ტევესი** არგენტინელებმა დასაჯეს და პორტუგალიასთან შეხვედრაში არ ათამაშეს. მიზეზი: ცოტა ხნის წინ მან ბრაზილიასთან თამაში გააცდინა, რამდენიმე დღის მერე კი „მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში მოედანზე დაქროდა.

ჩეხებს კი საერთოდ კომიკური რამ შეემთხვათ: პრაღის „სპარტამ" თავისი სამი ფეხბურთელი ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებთან სათამაშოდ არ გაუშვა, სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან" ამხანაგურ შეხვედრაში კი ათამაშა, ოღონდ... ზურგზე სხვა გვარები დააწერა. ეგონა, ვერავინ იცნობდა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტურის წინ

# ლიდერი ფრიც ვალტერის ჯოჯოხეთში

## ლიტბარსკის დებიუტი მგლების სათავეში, შალკე ვალენსიასთან მატჩისთვის რეპეტიციას ფრაიბურგთან გაივლის

ოთხშაბათს გერმანია-იტალია იყო, რის გამოც ბუნდესლიგის ამ ტურში პარასკევის მატჩი გაუქმდა - 7 შეხვედრა დღეს გაიმართება, 2 კი ხვალ. შაბათის შვიდი შეხვედრიდან, ექვსი ნაშუადღევს ჩატარდება, ერთი, ცენტრალური კი საღამოს: „კაიზერსლაუტერნი“ ერთპიროვნულ ლიდერ „დორტმუნდს“ უმასპინძლებს. „ვოლფსბურგის“ ახალ მთავარ მწვრთნელ პიერ ლიტბარსკის დებიუტი „ჰამბურგთან“ მატჩში აქვს, „ბაიერნი“ კი „ჰოფენჰაიმს“ მასპინძლობს.

**დღეს, 18:30**
**ბაიერნი VS ჰოფენჰაიმი**
**დისკვალიფიკაცია:** ბრააფჰაიდი
**ტრავმა:** კონტენტო, კროოსი, ოლიჩი - გულდე, ობასი

**დღეს, 18:30**
**შალკე VS ფრაიბურგი**
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჰუგლანდი, პანდერი, ყენია, მორიტცი - პუპლინი, კრმასი, იეგერი, პუცილა, შუსტერი, ვილიამსი, ბეხმანი

**დღეს, 18:30**
**შტუტგარტი VS ნიურნბერგი**
**დისკვალიფიკაცია:** ნიდერმაიერი, გებჰარდტი - აიგლერი
**ტრავმა:** ბოკა, აუდელი, გენტნერი - ფრანტცი, ბუნიაკუ

**დღეს, 18:30**
**ვოლფსბურგი VS ჰამბურგი**
**დისკვალიფიკაცია:** დიეგო - კაჩარი
**ტრავმა:** რიტერი, ჩიგერჩი, მანჯუკიჩი - დიკმაიერი, კასტელენი

**დღეს, 18:30**
**აინტრახტი VS ლევერკუზენი**
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კრისი, ბაირამოვიჩი, კლერკი - ფერნანდესი, ბარნეტა

**დღეს, 18:30**
**ზანკტ პაული VS ბორუსია (მ)**
**დისკვალიფიკაცია:** დანტე
**ტრავმა:** ლეხნერი, მორენა, ოჩიპკა, როთენბახი, ნაკი - ბრუვერსი, ჟორე, როისი

**დღეს, 21:30**
**კაიზერსლაუტ. VS ბორუსია (დ)**
**დისკვალიფიკაცია:** დიკი
**ტრავმა:** შიმუნეკი, კირხი - ოვომოიელა, კაგავა, კელი, კრინგე

**ხვალ, 18:30**
**კიოლნი VS მაინცი**
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ერეთი, იანულისი, მაკენა, შორხი - სვენსონი, შალაი

**ხვალ, 20:30**
**ვერდერი VS ჰანოვერი**
**დისკვალიფიკაცია:** ვიზე
**ტრავმა:** ფანდერი, ბიონიში, ნალდო, დ. იენსენი, ვესლი, აიკი - ანდრეასენი, აბდელაუ



პირველ წრეში ბლაშჩიკოვსკის (მარცხნივ) დორტმუნდმა, იესენის კაიზერსლაუტერნი 5:0 გაანადგურა. რა იქნება ფრიც-ვალტერ-შტადიონზე?

### ლუის გუსტავო ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ

„ბაიერნი“ წინა ტურში მაგრად შერცხვა, როცა „დორტმუნდის“ წაფორხილებით (0:0 შალკესთან) ვერ ისარგებლა, „კიოლნთან“ 2:0-ს იგებდა და 2:3 დამარცხდა. შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ მიუნხენელები მეორე ადგილზე ალზევებულიყვნენ („ლევერკუზენი“ ნიურნბერგში 0:1 დამარცხდა), 21 ტურის შემდეგ მეხუთე ადგილზე აღმოჩნდნენ. ამრიგად, რეკორდმაისტერი „ბორუსიას“ უკვე 15 ქულით ჩამორჩება, რაც „ბაიერნისთვის“ ნამდვილად სერიოზული პრობლემაა. შესაბამისად, **ლუის ვან გაალის** გუნდისთვის „ჰოფენჰაიმთან“ საშინაო მატჩში სამი ქულის მოპოვება ვალდებულებაა. „ჰოფემ“ წინა ტურში „კაიზერსლაუტერნი“ 3:2 დაამარცხა, რაც „სოფლელებისთვის“ ზედიზედ მეორე გამარჯვება იყო. „ჰოფენჰაიმის“ ახალწვეული **ედსონ ბრააფჰაიდი**, რომელიც „ჰოფემ“ „ბაიერნისგან“ გადაიბირა, დისკვალიფიცირებულია და ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს „ჰოფენჰაიმიდან“ „ბაიერნში“ გადასული **ლუის გუსტავო**, რომლის სანაცვლოდ ბავარიელებმა „სოფლელებს“ იანვარში 15 მილიონი ევრო გადაუხადეს.

ამ ტურისთვის დისკვალიფიკაციები დაატყდა თავს „შტუტგარტსაც“, რომელიც „ნიურნბერგს“ ხვდება. შვაბებმა ერთი კვირის წინ გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი „გლადბახი“ დაამარცხეს (3:2) და ის გამარჯვება გამარჯვების გოლის ავტორ **გებჰარდტისა** და დაცვის ბურჯ **ნიდერმაიერის** დისკვალიფიკაციების ფასად დაუჯდათ. წამყვანი ფეხბურთელი დააკლდებათ ნიურნბერგელებსაც - **აიგლერი**, რომელმაც წინა ტურში „ლევერკუზენს“ გამარჯვების გოლი შეუგდო, მერე კი მოედნიდან გააძევეს. ერთი სიტყვით, მწვრთნელები, **ბრუნო ლაბადია** და **დიტერ ჰეკინგი** იძულებული არიან, ძირითადი შემადგენლობა შეცვალონ.

წინა ტურში თამაში ასევე ათკაციანი შემადგენლობით დაასრულა „გლადბახმაც“ - **დანტე** გაუძევეს. აუტსაიდერი ამჯერად „ზანკტ პაულის“ სტუმრობს - გუნდს, რომელსაც „ჰამბურგთან“ დერბი გადაედო (16 თებერვალს შედგება). წესით, „ზანკტ პაულის“ ფეხბურთელები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან მიონხენგლადბახელებმა ამ სეზონში სულ ოთხი თამაში მოიგეს და ოთხივე მეტოქის მოედანზე.

### ლიტბარსკის დებიუტი ჰამბურგთან

კვირის დასაწყისში „ვოლფსბურგის“ შეფებმა მთავარი მწვრთნელი **სტივ მაკლარენი** გაათავისუფლეს და „მგლებს“ სათავეში სეზონის ბოლომდე **პიერ ლიტბარსკი** ჩაუდგა. ამ უკანასკნელის დებიუტი კი დღეს „ჰამბურგთან“ საშინაო მატჩში შედგება. ლიტბარსკიმ **დიეგო** დასაჯა - ბრაზილიელი დღევანდელი შეხვედრისთვის განაცხადიდან ამოშლილია.

გაურკვევლობა და ქაოსია „შალკეშიც“, სადაც გულშემატკივრები გუნდის მთავარ მწვრთნელსა და მენეჯერს, **ფელიქს მაგათს** მაგრად აკრიტიკებენ. გელზენკირხენულმა კლუბმა ვერც წინა ტურში დატოვა კარგი შთაბეჭდილება და თუ რურის დერბიში ერთი ქულა მოიპოვა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მეკარე **მანუელ ნოიერის** დამსახურება იყო. „შალკეს“ ამჯერად „ფრაიბურგთან“ საშინაო მატჩი ელის. „ფრაის“ კი (წინა ტურში 0:0 „აინტრახტთან“) შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. შეგახსენებთ, რომ სამშაბათს „შალკეს“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩი ელის „ვალენსიასთან“ (მესტალიაზე).

სწორედ ჩემპიონთა ლიგაში თამაში უნდა „ლევერკუზენსაც“, მაგრამ „ნიურნბერგთან“ წაგებული მატჩის შემდეგ „ფარმაცევტები“ არცთუ კარგ ხასიათზე არიან. **იუპ ჰაინკესის** გუნდის მეტოქე ამჯერად ფრანკფურტის „აინტრახტია“. მატჩი ფრანკფურტში გაიმართება და უნდა აღინიშნოს, რომ „ლევერკუზენი“ ამ სეზონში სტუმრად არც ერთხელ დამარცხებულა.

### ბორუსია ბეტცენბერგზე

ტურის ცენტრალური შეხვედრა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „ფრიცვალტერ-შტადიონზე“ ჩასატარებელი დუელია: „კაიზერსლაუტერნი“ საღამოს ლიდერ „დორტმუნდს“ უმასპინძლებს. „წითელ ეშმაკებს“ წამყვანი მცველი დიკი დააკლდებათ. პირველ წრეში „ბორუსიამ“ „ლაუტერნი“ 5:0 გაანადგურა და თუ **იურგენ კლოპის** შეგირდები ბეტცენბერგზეც მოიგებენ, ეს მათთვის ამ სეზონში სტუმრად მოპოვებული მე-11 გამარჯვება იქნება.

### შედარებით მშვიდი კვირა

ხვალ პირველი დაპირისპირება „კიოლნისა“ და „მაინცის“ ძალიან საინტერესო ჯახია. კიოლნელები კარგ ხასიათზე არიან, რადგან წინა ტურში „ბაიერნი“ დაამარცხეს და ეს იყო გამარჯვება, რომელიც „თხებს“ ძალიან სჭირდებოდათ. მაინცელები კი მაინცდამაინც კარგ ხასიათზე არ არიან, რადგან „ვერდერს“ მთელი თამაშის განმავლობაში სჯობდნენ, უგებდნენ კიდეც და **კლაუდიო პისარომ** ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ დროში შეძლო. თუმცა „მაინცი“ ევროსარბიელზე მოხვედრისთვის ბრძოლას აგრძელებს და ჯერჯერობით საქმეები ცუდად ნამდვილად არ მისდის - **თომას ტუხელის** გუნდი მესამე ადგილზეა და თუ ასე გააგრძელებს, ნამდვილად აქვს იმის შანსი, რომ სეზონი საუკეთესო ხუთეულში დაასრულოს.

ტურს „ვერდერისა“ და „ჰანოვერის“ თამაში დახურავს. „ბრემენულმა“ კლუბმა ერთი კვირის წინ „მაინცთან“ ქულა რომ გადაარჩინა, ამით „მუსიკოსების“ დამრიგებელი **თომას შააფიც** გადაურჩა უმუშევრად დარჩენას. ჰანოვერელები კი მეცხრე ცაზე არიან - „ვოლფსბურგთან“ ქვემოსაქსონიური დერბის მოგების შემდეგ **მირკო სლომკას** გუნდი მეოთხე ადგილზეა და ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში საკმაოდ კარგ პოზიციაშია. „წითლებს“ გოლეადორი **ია კონანი** გამოუჯანმრთელდათ, მისი მეწყვილე **აბდელაუ** კი ისევ ტრავმირებულია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 21 | 16 | 3 | 2 | 46-12 | 51 |
| 2. ლევერკუზენი | 21 | 11 | 6 | 4 | 41-30 | 39 |
| 3. მაინცი | 21 | 12 | 1 | 8 | 32-22 | 37 |
| 4. ჰანოვერი | 21 | 12 | 1 | 8 | 29-30 | 37 |
| 5. ბაიერნი | 21 | 10 | 6 | 5 | 42-26 | 36 |
| 6. ფრაიბურგი | 21 | 10 | 4 | 7 | 29-28 | 34 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 21 | 8 | 8 | 5 | 39-28 | 32 |
| 8. ჰამბურგი | 20 | 9 | 3 | 8 | 39-30 | 30 |
| 9. ნიურნბერგი | 21 | 8 | 5 | 8 | 26-30 | 29 |
| 10. აინტრახტი | 21 | 8 | 3 | 10 | 24-26 | 27 |
| 11. შალკე | 21 | 7 | 5 | 9 | 26-26 | 26 |
| 12. ვოლფსბურგი | 21 | 5 | 8 | 8 | 26-30 | 23 |
| 13. ვერდერი | 21 | 6 | 5 | 10 | 27-43 | 23 |
| 14. კაიზერსლ. | 21 | 6 | 4 | 11 | 31-37 | 22 |
| 15. ზტ. პაული | 20 | 6 | 4 | 10 | 23-34 | 22 |
| 16. კიოლნი | 21 | 6 | 4 | 11 | 25-39 | 22 |
| 17. შტუტგარტი | 21 | 5 | 4 | 12 | 37-39 | 19 |
| 18. ბორუსია (მ) | 21 | 4 | 4 | 13 | 31-53 | 16 |

**ბომბარდირები:** 16 - გომესი (ბაიერნი); 15 - სისე (ფრაიბურგი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი); 10 - რაული (შალკე), შიურლე (მაინცი), ია კონანი (ჰანოვერი).

ამბები

### ლიპი ჩილეს ნაკრებში?

ჩილეს ფეხბურთის ფედერაცია იტალიის ნაკრების ყოფილ თავკაცთან, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონ **მარჩელო ლიპისთან** მოლაპარაკებებს აწარმოებს. „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, „მაესტროს“ ჩილეს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობას სთავაზობენ. შეგახსენებთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ლიპი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ უკრაინის ნაკრების ჩაბარებაზე საბოლოოდ უარი თქვა. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, 62 წლის ლიპის ყატარის, საუდის არაბეთისა და არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნაკრები გუნდების თავკაცობასაც სთავაზობენ.

### ჰაინკესი: ხარკოვში გავიყინებით!

ლევერკუზენის „ბაიერის“ მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** უეფას შესჩივლა. მოგეხსენებათ, მომავალ ხუთშაბათს ევროპის ლიგის 1/16 ფინალის მატჩებია და „ლევერკუზენმა“ ხარკოვში, „მეტალისტთან“ უნდა ითამაშოს. პრობლემა ისაა, რომ უკრაინაში ახლა ძალიან ცივა: ხუთშაბათისთვის ხარკოვში მინუს 23 გრადუსია ნავარაუდევი.

*„უეფაში კარგად უნდა დაფიქრდნენ ყველაფერზე. ამას წინათ, ტრონჰეიმში მინუს 16 გრადუსში ვითამაშეთ და ფეხბურთელები მოედანზე კინაღამ გაიყინენ. ახლა კი მინუს 23 გრადუსში უნდა ვითამაშოთ? ჩემი აზრით, მატჩი არა საღამოს, არამედ შუადღისას უნდა გაიმართოს, რაც ვითარებას ცოტათი მაინც შეამსუბუქებს,“* - აცხადებს დონ იუპი. „მეტალისტისა“ და „ლევერკუზენის“ მატჩი უკრაინის დროით 22 საათზეა დაგეგმილი.

### მონტოლივო ბაიერნში რეალური გახდა

მიუნხენის „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს დიდი ხანია, „ფიორენტინასა“ და იტალიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველის, **რიკარდო მონტოლივოს** გადაბირება უნდათ. ახალი ის არის, რომ ჩვენი იტალიელი და გერმანელი კოლეგების ცნობით, 26 წლის ნახევარმცველის მიუნხენურ კლუბში გადაბარგება რეალური გახდა. იტალიური „კორიერე დელო სპორტის“ ინფორმაციით, ფლორენციული კლუბის შეფი **დელა ვალე** მზადაა, მიუნხენურ კლუბთან მოლაპარაკებები წამოიწყოს. ხსენებული გამოცემა წერს, დელა ვალე ხვდება, რომ მონტოლივოს დიდხანს შენარჩუნებას ვერ შეძლებს და ურჩევნია, წამყვანი ფეხბურთელი „ბაიერნს“ დაუთმოს, ვიდრე კონკურენტებს, „მილანს“, „ინტერს“ ან „იუვეს“ მიჰყიდოს. ეს გუნდები კი იტალიის ნაკრების საყრდენისთვის სერიოზულ ბრძოლას იწყებენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



რიკარდო მონტოლივო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

SERIE A

სერია A XXV ტურის წინ

# დიდი იტალიური დერბი

## იუვე შეუტევს, ინტერი ფრთხილობს

**დღეს, 21:00**
**მილანი – პარმა** VS

**დისკვალიფიკაცია:** მორონე (ტრავმა).
**ტრავმა:** ანტონინი, ძამბროტა, ბოატენგი, ინძაგი, ამელია, შტრასერი, ამბროზინი, ლეგროტალიე - პიზანო, კალვო, მარკესი.

**დღეს, 23:45**
**რომა – ნაპოლი** VS

**დისკვალიფიკაცია:** მექსე, ნ. ბურდისო (რომა).
**ტრავმა:** ადრიანო - გრავა, ვიტალე.

**ხვალ, 15:30**
**პალერმო – ფიორენტინა** VS

**დისკვალიფიკაცია:** კამოციერი, ბასინოვიჩი (პალერმო).
**ტრავმა:** კასანი, პინილია, გოიანი, დარმიანი - ვარგასი, კროლდრუპი, იოვეტიჩი, ფრეი.

**ხვალ, 18:00**
**ბარი – ჯენოა** VS

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ბარეტო, ს. მაზიელო, რომერო, რივასი - ანტონელი, ბოზელი, დესტრო.

**ხვალ, 18:00**
**ბრეშა – ლაციო** VS

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** დალამანო, სერენი - დელ ნერო, მეგნი, გარიდო, როკი, დიაკიტე, რადუ.

**ხვალ, 18:00**
**კალიარი – კიევო** VS

**დისკვალიფიკაცია:** ფერნანდესი (კიევო).
**ტრავმა:** ლანერი, ნაინგოლანი, აგოსტინი - ლუჩანო, მარკოლინი.

**ხვალ, 18:00**
**კატანია – ლეჩე** VS

**დისკვალიფიკაცია:** ალვარესი - ფაბიანო.
**ტრავმა:** ბიაჯანტი, ისკო, კაპუანო, კარბონი, ბელუში - ტომოვიჩი, დი მიკელე, ჯულიატო, ოფერე.

**ხვალ, 18:00**
**ჩეზენა – უდინეზე** VS

**დისკვალიფიკაცია:** ხიმენესი (ჩეზენა).
**ტრავმა:** დელაფიორე - ბასტა, დერონეტი, ანჯელა, ჰანდანოვიჩი.

**ხვალ, 18:00**
**სამპდორია – ბოლონია** VS

**დისკვალიფიკაცია:** ვოლტა - ბრიტოსი, დელა როკა.
**ტრავმა:** სემიოლი, გასტალდელო, პოცი - ეკდალი, ბრიტოსი, გარიჩი.

**ხვალ, 23:45**
**იუვენტუსი – ინტერი** VS

**დისკვალიფიკაცია:** კივუ (ინტერი).
**ტრავმა:** რინაუდო, დე ჩელიე, კვალიარელა, ტრაორე, იაკვინტა - სტანკოვიჩი, მარიგა, ლუსიო, სამუელი, მილიტო.




გასული სეზონის იტალიური დერბი ტურინში (2:1) და მარკიზიოს გადამწყვეტი გოლი

სერია A-ს XXV ტურს საფეხბურთო იტალია საკმაოდ კარგ ხასიათზე ხვდება, რადგან თაობათა ცვლის პროცესში მყოფმა „სკუადრა აძურამ“ გერმანიის აწყობილ გუნდთან და ნამდვილ მანქანასთან ტოლ-სწორად ითამაშა. შედეგიც საყაიმო დადგა, თუმცა მთავარი ის არის, რომ იტალია თამაშით არ ჩამორჩა **იოახიმ ლიოვის** სამწყსოს და ისე გაისარჯა, როგორც ერთ მუშტად შეკრული უმაღლესი კლასის გუნდი.

იტალიურ სპორტულ პრესაში ორი მთავარი მოვლენა ირჩევა: გერმანიასთან გამართული ამხანაგური პაექრობა და მოახლოებული დიდი იტალიური დერბი. დიახ, XXV ტურში ერთი ისეთი მატჩია, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ და მასზე ვრცლად ვისაუბროთ. ამბობენ, რომ აპენინებზე ყველაზე მეტი გულშემატკივარი ამ ორ გუნდს ჰყავს და სწორედ ამიტომ შეერქვა „ინტერი“-„იუვენტუსის“ დაპირისპირებას დიდი იტალიური დერბი. თუმცა, ამ შემთხვევაში „იუვენტუსი“-“ინტერი“ უნდა ვთქვათ, რადგან მასპინძელი „ბიანკონერია“. მით უკეთესი, ამ ეტაპზე „ინტერი“ უკეთეს ფორმაშია და საკუთარ მოედანზე მაინც ფავორიტი იქნებოდა - ასე კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შანსები თანაბარია.

ორივე გუნდის ბანაკში საბრძოლო განწყობაა - მილანელებმა რატომღაც დაიჩემეს, რომ თუ „იუვეს“ მისსავე მოედანზე დაამარცხებენ, სკუდეტოც მათ დარჩებათ. დაახლოებით ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა **ესტებან კამბიასომ**, ვისაც **ტიაგო მოტამაც** აუბა მხარი და **მარკო მატერაციმაც, ხავიერ ძანეტი** კი, როგორც ყოველთვის, ადეკვატურია: *„ტურინში თამაში ყოველთვის რთულია და დიდი ბრძოლისთვის ვემზადებით. „იუვეს“ უკან დასახევი გზა არ აქვს და აუცილებლად სამ ქულაზე ითამაშებს. ვფიქრობ, რომ ეს გარემოება ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს და აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მთავარია, მასპინძლებს სწრაფი გოლის გატანის საშუალება არ მივცეთ, შემდეგ კი ჩვენი სცენარით უნდა წავიყვანოთ თამაში. „იუვენტუსთან“ შეხვედრა სკუდეტოსკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯია, თუმცა არა გადამწყვეტი“.*

„ინტერს“ **კრისტიან კივუს** გარეშე მოუწევს ასპარეზობა, რადგან გასულ ტურში რუმინელმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოიწერა. ტრავმირებულნი არიან **ლუსიო, ვალტერ სამუელი** და **დიეგო მილიტო**. შედეგად, ამ მეტად პრინციპული პაექრობის გამოტოვება მოუწევთ. შეტევის წინა ხაზზე **სამუელ ეტოოს** და **ჯამპაოლო პაცინის** ვიხილავთ, მათ უკან კი ფორმაში შესული **ვესლი სნეიდერი** გაირჯება - ვერაფერს იტყვი, შთამბეჭდავი შეტევაა.

ხავიერ ძანეტიმ სწორად თქვა, „იუვეს“ უკან დასახევი გზა არ აქვს და აუცილებლად სამ ქულაზე ითამაშებს. ტურინული გრანდი სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზეა, არასტაბილურად ასპარეზობს და მოგება ჰაერივით სჭირდება - როგორც სატურნირო, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მაგალითად, **ლუჩანო მოჯი** მიიჩნევს, რომ თუ ტურინელებმა წააგეს, ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრის შანსს საბოლოოდ დაემშვიდობებიან. ასე გადაჭრით საუბარი ცოტა სარისკოა, მაგრამ სენიორ კალჩოპოლის განცხადება ლოგიკას მოკლებული ნამდვილად არ გახლავთ.

**ლუიჯი დელ ნერი** 4-4-2 ტაქტიკას აირჩევს, ამას წყალი არ გაუვა. საინტერესოდ გამოიყურება შეტევის ხაზი, სადაც, წესით, ორი ალესანდრო უნდა ვიხილოთ: **მატრი** და **დელ პიერო**. ვნახოთ, როგორ შეეწყობიან ერთმანეთს ახალგაზრდა ექსკალიარელი და ტურინული გრანდის ცოცხალი ლეგენდა. წინა ტურში **კლაუდიო მარკიზიომ** მიიღო მიკროტრავმა და იყო ეჭვი, რომ დიდი იტალიური დერბის გამოტოვება მოუწევდა. თუმცა, ბოლო ინფორმაციით, მარკიზიო სრულ მზადყოფნაშია და „ინტერს“ პირველივე წუთებიდან შეეტოქება. დელ ნერი ოპტიმისტურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ მის გუნდს რეალური ალმასვლის დასაწყებად სწორედ ასეთ მეტოქესთან ჯახი სჭირდებოდა: *„თუ გვინდა, რომ რთული პერიოდი საბოლოოდ ჩამოვიტოვოთ უკან, „ინტერის“ დამარცხებაა საჭირო. სიმართლე გითხრათ, დღეს „ნერაძურისთან“ თამაში მირჩევნია ნებისმიერ აუტსაიდერთან დაპირისპირებას, რადგან ფეხბურთელები ენთუზიაზმით არიან ალსავსე. „ინტერის“ დამარცხების შემთხვევაში, საკუთარი თავის რწმენა გაგვიორმაგდება, რაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია. ვფიქრობ, რომ სამი ქულა ჩვენ დაგვრჩება“.*

ტურის პირველ შეხვედრას ლიდერი გამართავს და საკუთარ მოედანზე „პარმას“ უმასპინძლებს. **მასიმილიანო ალეგრი** მოგებაზე გეშავს შეგირდებს და აცხადებს, რომ ამ ტურში აუცილებლად უნდა გაზარდონ სხვაობა თანაქალაქელთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ალეგრის „იუვეს“ წარმატების სჯერა და შესაბამისად, არ უნდა წინ გაჭრის შანსი ხელიდან გაუშვას.

„როსონერი“ სამი შემტევით ითამაშებს, წინა ხაზზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **ალეშანდრე პატო** გაირჯებიან, უკნიდან კი **რობინიო** იმოქმედებს. სათადარიგოთა შორის მოიაზრება **ანტონიო კასანო**, რომელმაც გერმანიასთან შეხვედრაში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. ბევრს არ ეგონა, თუ ანტონიო ასეთ კარგ ფორმაში იყო და წესით, „პარმასთან“ მეორე ნახევარში მაინც უნდა ჩაერთოს თამაშში.

ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართება „ოლიმპიკოზე“, სადაც „რომა“ „ნაპოლის“ უმასპინძლებს. რომ არა დიდი იტალიური დერბი, ეს მატჩი უდავოდ ცენტრალური იქნებოდა. **ვალტერ მაძარის** გუნდს სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს, მით უმეტეს, რომ „ნაპოლი“ გასვლაზე და სახლში სხვადასხვა გუნდია. სტუმრებს სამივე შემტევი მწყობრში ჰყავთ - **მარეკ ჰამშიკი, ეზეკიელ ლავეცი** და **ედისონ კავანი**, წესით, სასტარტო შემადგენლობაში უნდა ვიხილოთ. „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, **კლაუდიო რანიერი** ფრთხილ სტრატეგიას აირჩევს და 4-4-2 ტაქტიკაზე გააკეთებს აქცენტს. შეტევის წინა ხაზზე **მარკო ბორიელოს** და **ფრანჩესკო ტოტის** ვიხილავთ, **მირკო ვუჩინიჩი** კი საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება თამაშში. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება... „ბარის“ მესვეურებმა კი როგორც იქნა მიიღეს გადაწყვეტილება და მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ჯამპიერო ვენტურა** გაათავისუფლეს. მის ნაცვლად **ბორტოლო მუტი** დაინიშნა. 56 წლის სპეციალისტი, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და შემდეგ გუნდებში უმუშავია: „ვერონა“, „პიაჩენცა“, „ნაპოლი“, „პალერმო“ და „რეჯინა“.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 24 | 14 | 7 | 3 | 40-19 | 49 |
| 2. ნაპოლი | 24 | 14 | 4 | 6 | 38-22 | 46 |
| 3. ინტერი | 23 | 13 | 5 | 5 | 44-27 | 44 |
| 4. ლაციო | 24 | 12 | 6 | 6 | 30-22 | 42 |
| 5. პალერმო | 24 | 12 | 4 | 8 | 42-31 | 40 |
| 6. უდინეზე | 24 | 12 | 4 | 8 | 39-30 | 40 |
| 7. რომა | 23 | 11 | 6 | 6 | 35-30 | 39 |
| 8. იუვენტუსი | 24 | 10 | 8 | 6 | 40-30 | 38 |
| 9. კალიარი | 24 | 9 | 5 | 10 | 28-26 | 32 |
| 10. კიევო | 24 | 7 | 10 | 7 | 26-23 | 31 |
| 11. ფიორენტინა | 23 | 7 | 8 | 8 | 23-24 | 29 |
| 12. ბოლონია | 23 | 8 | 8 | 7 | 25-30 | 29 |
| 13. ჯენოა | 23 | 7 | 7 | 9 | 19-22 | 28 |
| 14. სამპდორია | 23 | 6 | 9 | 8 | 20-25 | 27 |
| 15. პარმა | 24 | 6 | 8 | 10 | 23-30 | 26 |
| 16. ლეჩე | 24 | 6 | 6 | 12 | 24-43 | 24 |
| 17. კატანია | 24 | 5 | 8 | 11 | 19-31 | 23 |
| 18. ბრეშა | 24 | 6 | 4 | 14 | 20-31 | 22 |
| 19. ჩეზენა | 24 | 5 | 6 | 13 | 17-31 | 21 |
| 20. ბარი | 24 | 4 | 5 | 15 | 14-39 | 14 |

ბომბარდირები: 17 – კავანი (ნაპოლი); 16 – დი ნატალე (უდინეზე); 15 – ეტოო (ინტერი); 14 - დი ვაიო (ბოლონია); 13 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი), მატრი (იუვენტუსი).

**ლაშა წიკლაური**

## კვირის ფრაზები

### 60 წლამდე ვითამაშებ...

„არსენალის“ გოლკიპერმა **ვოიცეხ შჩესნიმ** როგორც იქნა, მიიღო იმის შესაძლებლობა, რომ ითამაშოს როგორც კლუბში, ისე პოლონეთის ეროვნულ ნაკრებში. ახალგაზრდა კიპერი აცხადებს: *„ვთვლი თუ არა საკუთარ თავს პოლონეთის საუკეთესო მეკარედ? არა, ლუკაშ ფაბიანსკი და არტურ ბორუცი ჩემზე უკეთესები არიან. რაც შეეხება ჩემს კარიერას: ახლა მე ისეთ ფორმაში ვარ, 60 წლამდეც კი შევძლებ კარის დაცვას“.*

### სექსუალური უმცირესობა გერმანიის ნაკრებში

გახსოვთ, **მიხაელ ბალაკის** აგენტი რომ ამბობდა, გერმანიის ნაკრებში სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები არიანო? ახლა კი ამ მოსაზრებას დაეთანხმა „შალკეს“ მეკარე **მანუელ ნოიერი:** *„მათ ვინც ითვლებიან ჰომოსექსუალებად, ამის შესახებ დაუფარავად უნდა თქვან. ეს მათ ზედმეტი მარწუხებისაგან გაათავისუფლებს. თუმცა გულშემატკივრისთვის მთავარია, ფეხბურთელი მინდორზე როგორ მოქმედებს“.*

### სახიფათო ინტერი

„მილანის“ კიპერი **კრისტიან აბიატი** უკვე გრძნობს მთავარი კონკურენტის „ინტერის“ სუნთქვას, მაგრამ „როსონერი“ „ნერაძურისთვის“ პირველი ადგილის დათმობას არ აპირებს. *„ჩვენ სერია A-ში პირველ ადგილზე ვართ და ამ ადგილზე დარჩენას ვაპირებთ, - ამბობს კრისტიანი. - „ინტერი“? რასაკვირველია, ძალიან სახიფათოა, ისევე, როგორც „ნაპოლი“ და „რომა“, მაგრამ ჩვენ სკუდეტოს მოპოვების შანსებს ოპტიმისტურად ვუყურებთ“.*

### სესკი რეალში ვერ წარმომიდგენია

„ბარსელონას“ მეკარე **ვიქტორ ვალდესი** ამბობს, რომ „არსენალის“ ესპანელი ნახევარმცველის **სესკ ფაბრეგასის** „რეალში“ გადასვლის შანსი ნულოვანია. ESPN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ესპანელი გოლკიპერი ამბობს: *„მე სესკი ვერ წარმომიდგენია თეთრ ფორმაში. ჩვენ გვაქვს სურვილი იმისა, რომ იგი ჩვენთან თამაშობდეს, მაგრამ ტრანსფერები ჩემი საქმე სულაც არ არის“.*

### კვირის მატჩი

„ნიუკასლისა“ და „არსენალის“ დრამატული დაპირისპირება ჩვენ კვირის მატჩად მივიჩნიეთ. აბა, როგორ შეიძლება, კაცმა ისეთი თამაში არ მიიჩნიოს მთავრად, რომელშიც გუნდი 4:0-ს იგებს და ამ უპირატესობას სრულიად გაფლანგავს. ასე გააკეთა „მეთოფეთა“ გუნდმა: 42-ე წამიდან მოყოლებული 45-წუთამდე ოთხბურთიანი ჰანდიკაპი გააჩნდათ მეტოქესთან, მაგრამ... ვაგლახ, (!) ეს უპირატესობა რომ არ შენარჩუნდა: **ალან პერდიუს** შეგირდებმა ანგარიში გაათანაბრეს და ქულა გადაარჩინეს.

### კვირის სიმბოლური ნაკრები

**(4-4-2): მანუელ ნოიერი** (შალკე) – **ლუკაშ პიშჩეკი** (დორტმუნდი), **ჯეიმი კარაგერი** (ლივერპული), **ჟერარდ პიკე** (ბარსელონა), **ერიკ აბიდალი** (ბარსელონა) – **სვენ ბენდერი, მარიო გიოტცე** (ორივე დორტმუნდი), **რაულ მეირელეში** (ლივერპული), **ტიოტე** (ნიუკასლი) – **ლუის საა** (ევერტონი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი).

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIII ტურის წინ

# ექვეების ტური

## შეჭირვებული კიკე VS დალხენილი უნაი

**დღეს, 21:00**
**ატლეტიკო VS ვალენსია**
**დისკვალიფიკაცია:** უიფალუში - ბანეგა
**ტრავმა:** ფ. ლუიში, დე ხეა (?) - მოია, სესარი, ვისენტე, ალბელდა, მატა (?)

**დღეს, 23:00**
**სპორტინგი VS ბარსელონა**
**დისკვალიფიკაცია:** ლორა, გრეგორი (სპორ)
**ტრავმა:** ეგურენი (?) - ჟეფრენი, პუიოლი

**დღეს, 01:00**
**რასინგი VS სევილია**
**დისკვალიფიკაცია:** კასერესი (სევ)
**ტრავმა:** ციოლისი, სერანო, დიოპი - კანუტე, ზოკორა (?), ჩიგარინი, გუარენტე, რენატო (?)

**ხვალ, 20:00**
**ერკულესი VS სარაგოსა**
**ტრავმა:** სარი, პასი, პამარო - ობრადოვიჩი (?), ედმილსონი

**ხვალ, 20:00**
**ლევანტე VS ალმერია**
**ტრავმა:** სერხიო, მ. პერესი, ნ. გონსალესი - ხუანმა ორტისი (?), ხუანიტო, ნიეტო

**ხვალ, 20:00**
**მალაგა VS ხეტაფე**
**დისკვალიფიკაცია:** აპონიო (მალ)
**ტრავმა:** ასენხო, სტადსგაარდი, ხ. გომესი, რუბენი - რ. ლოპესი, არისმენდი, მარიო

**ხვალ, 20:00**
**სოსიედადი VS ოსასუნა**
**დისკვალიფიკაცია:** ჩ. პრიეტო (სოს)
**ტრავმა:** არანბურუ, ხ. ლორენტე - სეხუდო, რობერტო

**ხვალ, 22:00**
**დეპორტივო VS ვილიარეალი**
**დისკვალიფიკაცია:** ლაურე (დეპ)
**ტრავმა:** საული, ურეტა, გუარდადო - მ. რუბენი, ხუან კარლოსი, ა. ლოპესი, მ. სენა

**ხვალ, 00:00**
**ესპანიოლი VS რეალი**
**ტრავმა:** დ. გარსია (?), ვერდიუ (?), ს. გარსია (?), დე ლა პენია, მატიონი, ოსვალდო - დუდეკი, იგუაინი

**ზეგ, 00:00**
**მალიორკა VS ბილბაო**
**დისკვალიფიკაცია:** გურპეგი (ბილ)
**ტრავმა:** ვიქტორი, პინია (?) - აურტენეჩე, უსტარიცი (?), ამორებიეტა, ი. გომესი

სანაკრებო ოთხშაბათის შემდეგ პრიმერა ბრუნდება ყოველგვარი შესვენების გარეშე. რა არის მთავარი 23-ე ტურის წინათქმაში? ჩემპიონი და ლიდერი „ბარსელონა" ასტურიას სტუმრობს, თუმცა „სპორტინგთან" დაპირისპირება ესპანეთის დედაქალაქში სპორტულ დუელზე მეტად არაჯანსაღი კუთხით შუქდება. „ბარსას" მდევარ „რეალს" კი ბარსელონაში, ოღონდ, „ესპანიოლთან" ელის მატჩი (ამ შეხვედრას კი კატალონიაში უყურებენ ეჭვის თვალით). სწორედ ამ ეჭვთა გამო, პირველად ლა ლიგის ტურისწინა მიმოხილვას სულ სხვა გუნდების დაპირისპირებით დავიწყებთ და, გვჯერა, რომ სწორედ ის შეხვედრა იქნება ტურის მატჩი.

დღეს „ვისენტე კალდერონზე" მადრიდის „ატლეტიკო" „ვალენსიას" მასპინძლობს. წესით, ამ გუნდებს მესამე ადგილისთვის უნდა ებრძოლათ ჩემპიონატში, „ღამურები" ბრძოლობენ კიდეც, მესამეადგილოსან „ვილიარეალს" მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან. საპირისპირო მდგომარეობაა ვარსკვლავებით დახუნძლულ „ატლეტიკოში" - თუკი მეტოქეს ზურგს 8-მატჩიანი წაუგებელი სერია უმაგრებს, კიკე ფლორესის გუნდი ზედიზედ სამი ტურია მარცხდება. კიდევ ერთი მარცხი „ათლეტებს" ევროთასებზე ოცნების საშუალებას აღარ მისცემს, გუნდი კი ცხრილის მეორე ნახევარში ჩაეშვება. აქედანაც ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თამაშს.

*„დღეს ჩვენი ფეხბურთელები თავიანთი თამაშით ვერ ახარებენ ფანებს. დროა, მოგებები დავიწყოთ, „ვალენსიასთან" შეხვედრა კი საამისოდ კარგი საწყისი იქნება. ამ სეზონში მე-4 ადგილზე დაბალი შედეგი ჩავარდნად ჩაითვლება"*, - განაცხადა **ენრიკე სერესომ**, „კოლჩონეროსის" პრეზიდენტმა. როგორც ხედავთ, **კიკე ფლორესს** ცუდად მიუდის საქმე - მე-4 ადგილზე „ვალენსიაა", რომელსაც „ატლეტიკო" 14 ქულით ჩამორჩება!


აი, რამ დააეჭვა ჟოზე

**უნაი ემერი**, შეიძლება, არ არის „მესტალიას" ფავორიტი, მაგრამ შედეგი მის სასარგებლოდ მეტყველებს. კლუბის პრეზიდენტი მწვრთნელის მხარესაა - **ლორენტე** ამბობს, რომ უნაი ემერის რა ტაქტიკითაც სურს, იმით შეუძლია გუნდი ათამაშოს, მთავარია მოიგოსო.

თავად უნაი ემერი რეალისტია: *„ჩვენ კარგად ვუწყით, რომ „ბარსელონასა" და „რეალს" ვერ დავეწევით, მაგრამ „ვილიარეალი" ჩვენი ტოლ-სწორია და მესამე ადგილი ჩვენ გვინდა"*.

„ატლეტიკოს" ნახევარმცველმა **მარიო სუარესმა** მოირჩინა ფეხი და ალბათ სათადარიგოთა შორის მოხვდება, მაგრამ მარცხენა მცველი **ფილიპე ლუიში** 100%-ით ვერ ითამაშებს. კიკეს ცალკე სადარდებელი მეკარის ტრავმამ გაუჩინა - ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებში **დე ხეა** დაშავდა და მადრიდულ კლუბში დაბრუნებულმა მხოლოდ ტრენაჟორებზე ივარჯიშა. ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენი მომავალი მეტოქეა, კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ - „ვალენსიას" ლიდერმა **ხუან მატამ** ნაკრებში კოჭის ტრავმის გამო ვერ ითამაშა, თუმცა „ვისენტე კალდერონზე" იქნებაო, ამტკიცებენ. **რიკარდო კოშტამ** დისკვალიფიკაცია მოიხადა და „ლოს ჩეს" დაცვის ხაზს დაუბრუნდება.

ახლა გადავიდეთ „საეჭვო მატჩებზე": „სამეფო კლუბი" ვალდებულია „ესპანიოლთან" დაპირისპირებაში გამარჯვებული გამოვიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისედაც მცირე საჩემპიონო ინტრიგა მინავლდება. „ბარსელონაში" კი ყოველთვის ეჭვის (და არა იმედის) თვალით უყურებენ „ესპანიოლისა" და „რეალის" დაპირისპირებებს. მიუხედავად ამისა, **მაურისიო პოჩეტინოს** საპირისპიროს დამტკიცება სურს: *„თუკი ჩვენს ბიუჯეტებს დავატოლებთ, რა თქმა უნდა, შანსი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ზოგჯერ, მონდომება და შრომა მილიონებს ამარცხებს"*, - ამბობს არგენტინელი სპეციალისტი.

„რეალი" დიდ სამზადისშია. აი, რა თქვა **რაულ ალბიოლმა**: *„ესპანიოლი" რთული მეტოქე იქნება და ფეხი თუ დაგვიცდა, ჩემპიონობაზე ფიქრს უნდა გამოვემშვიდობოთ. შეცდომების დაშვების ლიმიტი ამოვწურეთ"*.

ოთხშაბათს „რეალის" 13 ფეხბურთელი თამაშობდა საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებში. გუშინ 13-ვე ვარჯიშობდა უვნებელი ბაზაზე. ასე რომ, **ჟოზე მოურინიოს** მხოლოდ **იერჟი დუდეკი** და **გონსალო იგუაინი** აკლია. **სერხიო რამოსს** დაუსრულდა დისკვალიფიკაცია, **პეპემ** კი ტრავმა მოირჩინა.

„სპორტინგისა" და „ბარსელონას" მატჩის წინათქმაში კი ისევ მოურინიოს ხსენება მოგვიწევს. სწორედ მოურინიომ, პირველი წრის მატჩის შემდეგ „სპორტინგის" თავკაც **მანუელ პრესიადოს** ლამის მატჩის დათმობა დააბრალა. საქმე იმაშია, რომ პრესიადო და **პეპ გვარდიოლა**, ასაკში სხვაობის მიუხედავად, ერთმანეთის ახლო მეგობრები არიან და „სპორტინგმა" მართლაც ლამის მეორე შემადგენლობა გაიყვანა „კამპ ნოუზე". თამაშის დასრულებისთანავე კი მათ (პრესიადოსა და გვარდიოლას) დიდი ხვევნა-კოცნა გამართეს. მაშინ ჟოზეს სიტყვებმა სასტიკად გააცოფეს „სპორტინგის" თავკაცი, რომელმაც თქვა, ვინ არის ეს ყმაწვილი და რა უფლებით აძლევს თავს ამდენის უფლებასო.

„ბარსელონამ" „ატლეტიკოს" ძლევით ლა ლიგის რეკორდი დაამყარა - ზედიზედ მე-16 მატჩი მოიგო, ბუნებრივია, კატალონიური გრანდი უარს არ იტყვის ზედიზედ მე-17 მოგებაზეც, რომელიც კიდევ უფრო მიაახლოვებს ჩემპიონობას. გვარდიოლას ამ თამაშში მხოლოდ ორი ფეხბურთელი დააკლდება, კაპიტანი **კარლეს პუიოლი** და **ჟეფრენ სუარესი**.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 22 | 20 | 1 | 1 | 70-11 | 61 |
| 2. რეალი | 22 | 17 | 3 | 2 | 52-19 | 54 |
| 3. ვილიარეალი | 22 | 14 | 3 | 5 | 41-22 | 45 |
| 4. ვალენსია | 22 | 13 | 5 | 4 | 36-24 | 44 |
| 5. ბილბაო | 22 | 12 | 2 | 8 | 37-31 | 38 |
| 6. ესპანიოლი | 22 | 12 | 1 | 9 | 30-30 | 37 |
| 7. სევილია | 22 | 9 | 4 | 9 | 33-35 | 31 |
| 8. ატლეტიკო | 22 | 9 | 3 | 10 | 31-29 | 30 |
| 9. ხეტაფე | 22 | 9 | 3 | 10 | 33-35 | 30 |
| 10. მალიორკა | 22 | 8 | 4 | 10 | 24-30 | 28 |
| 11. სოსიედადი | 22 | 9 | 1 | 12 | 33-37 | 28 |
| 12. სარაგოსა | 22 | 5 | 8 | 9 | 21-34 | 23 |
| 13. რასინგი | 22 | 5 | 7 | 10 | 17-31 | 22 |
| 14. ოსასუნა | 22 | 5 | 7 | 10 | 21-29 | 22 |
| 15. სპორტინგი | 22 | 5 | 7 | 10 | 22-30 | 22 |
| 16. დეპორტივო | 22 | 5 | 7 | 10 | 19-34 | 22 |
| 17. ერკულესი | 22 | 6 | 4 | 12 | 22-36 | 22 |
| 18. ლევანტე | 22 | 6 | 3 | 13 | 23-34 | 21 |
| 19. ალმერია | 22 | 4 | 8 | 10 | 23-38 | 20 |
| 20. მალაგა | 22 | 5 | 3 | 14 | 28-47 | 18 |

**ბომბარდირები:** 24 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 14 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 13 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 12 - ჯუზეპე როსი (ვილიარეალი); 10 - ნილმარი (ვილიარეალი).

ესპანური კალეიდოსკოპი



## კლასიკო მესტალიაზე

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ „სამეფო თასის" ფინალს ვალენსიას სტადიონი „მესტალია" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ თასის ფინალში „კლასიკო" გველის, „ბარსელონა" „რეალის" წინააღმდეგ. ფინალი 20 აპრილს გაიმართება.

ვინაიდან ამ თამაშს უდიდესი ინტერესით ელიან, მეტი ხალხის დატევის მიზნით, „სანტიაგო ბერნაბეუსა" და „კამპ ნოუს" ვარიანტებსაც განიხილავდნენ, თუმცა საბოლოდ მაინც ნეიტრალურ ასპარეზზე შეთანხმდნენ. „მესტალია" 55 ათას გულშემატკივარს იტევს, „რეალისა" და „ბარსელონას" გულშემატკივრებს 20-20 ათასი ბილეთი გადაეცემათ, დარჩენილი ბილეთები კი ვალენსიაში თავისუფალ გაყიდვაში იქნება.

„მესტალიამ" 2009 წელსაც უმასპინძლა „სამეფო თასის" ფინალს. მაშინ „ბარსელონასა" და „ბილბაოს" გულშემატკივრებს 18-18 ათასი ბილეთი გამოუყვეს, თუმცა ახლა „რეალის" დირექტორმა ემილიო ბუტრაგენიომ კვოტის გაზრდა მოითხოვა.

## კასერესი უკვე დასაჯეს

„სევილიას" მცველ **მარტინ კასერესს** ძვირად დაუჯდა მწვრთნელის კრიტიკა. შეგახსენებთ, რომ ურუგვაელმა მცველმა, რომელიც „ბარსელონას" საკუთრებაა, მედიასთან დაიწუწუნა, რომ **გრეგორიო მანსანომ** მას პოზიცია შეუცვალა - დაცვის ცენტრიდან მარჯვენა ფლანგზე გადაიყვანა, რაც, თურმე, სასტიკად არ მოსწონს ფეხბურთელს. როგორც წესი, ასეთ განცხადებებს მწვრთნელთა მხრიდან რეაქცია მოსდევს ხოლმე, კასერესი ალბათ ფიქრობდა, რომ „ბარსელონას" ფეხბურთელობა დაიცავდა, მაგრამ შეცდა. გრეგორიო მანსანომ პირველ რიგში კასერესის გვარი „რასინგთან" მატჩის განაცხადიდან ამოიღო (ამიტომ გვიწერია ის წინასამატჩო განხილვაში დისკვალიფიცირებულთა სიაში), დანარჩენზე კი თამაშის შემდეგ ვილაპარაკებთო.

## ბოიანი ლივერპულში წავა?

სავსებით შესაძლებელია, რომ ზაფხულში „ლივერპული" „ბარსელონას" 20 წლის შემტევი **ბოიან კრკიჩით** გაძლიერდეს. ბარსელონური „სპორტი" წერს, რომ, როგორც კი სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება, მერსისაიდური კლუბი კატალონიურს 20 მილიონ ევროს შესთავაზებს ბოიანის სანაცვლოდ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ იანვარში „ლივერპულმა" უკვე შეიძინა ორი თავდამსხმელი, **ენდი ქეროლი** და **ლუის სუარესი**.

**ხოსეპ გვარდიოლა** არ აპირებს ბოიანთან განშორებას, იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდა ესპანელმა ჯერჯერობით ვერ მოახერხა „ბარსას" სასტარტოში დამკვიდრება, არადა, მასზე უფრო დიდ იმედებს ამყარებდნენ, ვიდრე **პედრო გონსალესზე**. გვარდიოლას მაინც სჯერა, რომ კრკიჩის დროც მოვა „ნოუ კამპზე". კრკიჩის 2015 წლამდე აკავშირებს „ბარსელონასთან" კონტრაქტი. ამ სეზონში 18 მატჩში კრკიჩმა მხოლოდ 3 გოლი გაიტანა.



ბოიან კრკიჩი

## უეფა: სტანკევიჩიუსს - არა

„ვალენსიამ" ბევრი „იჩალიჩა", მაგრამ ვერ მოახერხა ლიტველი მცველის, **მარიუს სტანკევიჩიუსის** ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეყვანა. შეგახსენებთ, რომ მარიუსი „სამპდორიას" ფეხბურთელია, ხოლო „ლოს ჩეს" შემადგენლობაში იჯარით თამაშობს. მან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა გენუური კლუბის მაისურით, ამიტომაც, უეფას წესებით, თამაშის უფლება ამ სეზონში „ვალენსიას" მაისურით არ აქვს. კლუბი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო - სტანკევიჩიუსი „შალკესთან" ვერ ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXIII ტურის წინ

# ლილი დიდი ქარიშხლის წინ

| დღეს | |
|---|---|
| სოშო-მარსელი | 22:00 |
| პსჟ-ლანსი | 22:00 |
| ნანსი-ოსერი | 22:00 |
| მონაკო-ლორიანი | 22:00 |
| ბორდო-კანი | 22:00 |
| არლი-მონპელიე | 22:00 |
| სენტ ეტიენი-ლიონი 24:00 | |
| **ხვალ** | |
| რენი-ნიცა | 20:00 |
| ვალანსიენი-ბრესტი | 20:00 |
| ლილი-ტულუზი | 24:00 |

პსჟ-ს "ლანსთან" დაპირისპირებაში საკმაოდ მარტივი მიზანი აქვს - დედაქალაქელებმა უსიკვდილოდ სამი ქულა უნდა აიღონ, რათა მადაზე მოსულ "ლილს" საჩემპიონო რბოლაში არ ჩამორჩნენ. წინა ტურში ჩრდილო საფრანგეთის მცხოვრებლებმა ვერ ისარგებლეს პარიზელთა წაგებით და საჩემპიონო რბოლაში დამატებით მხოლოდ ერთქულიანი ფორა დაიბევეს. 23-ე ტურში იგივე აღარ უნდა განმეორდეს. *"ჩემს შეგირდებს გასაგებად ავუხსენი წინა ტურში წაგების მიზეზები. 6 თუ 7 მომენტი გავაფუჭეთ, რასაც არავინ გვაპატიებდა,"* – აცხადებს **ანტუან კამბუარე**. პარიზელთა მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მათ შუა კვირაში ბელარუსულ "ბატესთან" ევროპის ლიგის მატჩი ელით. „პარკ დე პრენსის" სტუმრები აუტსაიდერთა შორის არიან და მათთვის თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მასპინძელთა დამრიგებელი კამბუარე აუტსაიდერთან მოსალოდნელ დაპირისპირებას იმედით ელის. პსჟ-ს ქებათა ქებას უძღვნის სტუმართა რუმინელი დამრიგებელი **ლასლო ბოლონი**, მისი აზრით, "ლილზე" მეტად ჩემპიონობას სწორედ მისი დღევანდელი მეტოქე იმსახურებს.

რა სატურნირო მდგომარეობაც არ უნდა ჰქონდეს ამ ორ გუნდს, მათი დაპირისპირება ყოველთვის საინტერესოა. გუნდების ფანებს შორის ზიზღი დიდი ხნის წინ დაიწყო, თუმცა ამას საფუძვლად რა უდევს, ამ თემაზე ლაპარაკი დღეს შორს წაგვიყვანს. მით უფრო მძაფრდება შეგრძნებები, როცა ადამიანი სატურნირო ცხრილს ჩახედავს და აღმოაჩენს, რომ გუნდები აბსოლუტურად თანაბრად მიდიან. მოგება-წაგებათა და ნათამაშები ფრეების მიხედვით კი არა, ისინი ბურთების სხვაობითაც კი ერთმანეთის ტოლ-სწორნი არიან. ყოველი წაგება, ყოველი დაკარგული ქულაც კი მათ საჩემპიონო ამბიციებს ნაბიჯ-ნაბიჯ აშორებს, რასაც ორივე კლუბში მწვავედ აღიქვამენ. სიმართლე ითქვას, ბოლო წლების ტრადიციიდან გამომდინარე, ამ მხრივ ლიონელთა ამბიციები უფრო საფუძვლიანი გვგონია, მაგრამ სენტეტიენელები ამას არად დაგიდევენ. საფრანგეთის ყველაზე ტიტულოვან გუნდს (ნუ გაგიკვირდებათ და "სენტ ეტიენი" დღემდე რჩება ასეთად) პირველად 16 წლის განმავლობაში შეუძლია მოსისხლე მტრის "თავისივე ბუნაგში მოშთობა", რაც გულშემატკივარს, რასაკვირველია, დამატებით მოტივაციას უჩენს. "*სეზონის დასაწყისში განა ვინმე წარმოიდგენდა, რომ 22 ტურის შემდეგ 35 ქულით ლიდერებში ვიქნებოდით?* – სვამს რიტორიკულ შეკითხვას **ფაბიენ გალტიე**. – *ერთი რამ ცხადია, ჩვენ განსაკუთრებით ყურადღებით უნდა ვითამაშოთ, თუმცა დიდი თამაშისგან სიამოვნების მიღება არ უნდა დაგვავიწყდეს*".

"რენი" წელს მოულოდნელად მოძლიერდა და საჩემპიონო რბოლაში ჩაება. ბუნებრივია, მისი თამაშიც დიდ ინტერესს იწვევს. ამ გუნდს ერთი აშკარა ნაკლი აქვს - გამოუცდელობა. რენელებს ჯერ კიდევ ბოლომდე არ შეუგრძნიათ ის წნეხი, რასაც სატურნირო ცხრილის ზედა პოზიციებზე ყოფნა იწვევს. ყოველი ტურის შემდეგ ეს ტვირთი იზრდება და საინტერესოა, რამდენი ხანი გაუძლებენ **ფრედერიკ ანტონეტის** შეგირდები ამას. ნუთუ, მათ ძალები კიდევ დიდხანს ეყოფათ? ერთადერთი, ვისაც ამ შე[illegible] "სოშოსთან" 21-ე ტურში [illegible] (1:5) და "რეიმსთან" თასზე დამატებით დროში წაგების შემდეგ "რენი" ბოლო ტურში დაბრუნდა - 1:0 "პარი სენ-ჟერმენთან", რისი წყალობითაც ისინი დედაქალაქელებს ქულებით გაუთანაბრდნენ და მე-3 პოზიცია მხოლოდ ბურთების უარესი ბალანსის გამო უკავიათ. *"ცხრილის ზედა საფეხურებზე დიდი სიმჭიდროვეა და ეს ყველას გვესმის. ჩვენთვის ხელმძღვანელობას კონკრეტული მიზანი არ დაუსახავს. წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, სადაც არა ერთი და ორი დაბრკოლება გველის. გვესმის, რომ "ლილი" დიდებულად გამოიყურება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისინი ჯერ კიდევ სამ ფრონტზე იბრძვიან და ეს მათ შედეგებზე ალბათ გარკვეულ გავლენას იქონიებს"*. ანტონეტის შეგირდები შეტევაში ვერ ბრწყინავენ და ამის დასტურია ლიდერებს შორის ყველაზე ცოტა გატანილი გოლი (გუნდის ბომბარდირებს, **მონტანოსა** და **ბრაჰიმის** სულ რაღაც 4-4 გოლი აქვთ გატანილი). სამაგიეროდ, ისინი დაცვაში დგანან მყარად. "რენს" ლიგა 1-ის გუნდებს შორის ყველაზე ცოტა გოლი აქვს გაშვებული.

"ლილს" საშინაო, თუმცა არცთუ იოლი დაპირისპირება ელის ტულუზელებთან. გარდა იმისა, რომ სტუმრები ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძვიან და ცხრილის ლიდერთან თავს წინასწარ განწირულად სულაც არ გრძნობენ, ჩემპიონატის ლიდერს ცხოვრებას ისიც ურთულებს, რომ ამ გუნდს უახლოესი 21 დღის განმავლობაში 7 თამაში ელის, რაც სერიოზულზე სერიოზული გამოცდა იქნება **რუდი გარსიას** შეგირდებისთვის. მწვრთნელი მოსალოდნელ სირთულეებს რეალურად უყურებს და გულწრფელად აცხადებს, რომ მისი გუნდისთვის პრიორიტეტი ლიგა 1-ის თამაშები იქნება. *"დიახ, ლიგა ჩვენი პრიორიტეტია. ეს ძალიან მარტივი ასახსნელია. საუკეთესო შემთხვევაში ევროპის ლიგაში ჩვენ ცხრა შეხვედრა გველის, თუკი გაგვიმართლებს, ამას დაუმატეთ თასზე ჩასატარებელი კიდევ 3 შეხვედრა. როცა დატვირთვები ასეთი სერიოზულია, ლოგიკურია, რომ ჩვენისთანა გუნდებმა საკუთარი ძალა რეალურად განსაზღვრონ. თუმცა გეტყვით იმასაც, რომ რაც უნდა მოხდეს, ჩვენი სათამაშო ფილოსოფია არ შეიცვლება - ყველა მატჩში მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ"*. ყველაფერთან ერთად "ლილზე" უარყოფით გავლენას უკვე ახდენს ის ფაქტიც, რომ მისი ლიდერების თაობაზე ევროპულმა გრანდებმა უკვე დაიწყეს ნადირობა. „ეკიპის" ცნობით, "ჩელსი" უკვე ხელებს იფშვნეტს და საზაფხულოდ თუკი "რეალიდან" **კაკას** შეძენა არ გამოუვიდა, "ლილს" **ედენ ჰაზარდის** შესახებ ჩამოუგდებს სიტყვას. 20 წლის ბელგიელის სამსახურით სხვა გრანდებიც ინტერესდებიან. მათ შორის, რა თქმა უნდა, "მანჩესტერ სიტი", ასევე "არსენალი" და "ბაიერნი". "ეკიპისავე" ცნობით, ფეხბურთელის ღირებულება სავარაუდოდ 25 მილიონი ევრო იქნება.

**ლევან ბიბილაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 22 | 11 | 9 | 2 | 40-22 | 42 |
| 2. პსჟ | 22 | 10 | 7 | 5 | 34-24 | 37 |
| 3. რენი | 22 | 10 | 7 | 5 | 24-17 | 37 |
| 4. მარსელი | 22 | 9 | 9 | 4 | 30-18 | 36 |
| 5. სენტ ეტიენი | 22 | 9 | 8 | 5 | 31-24 | 35 |
| 6. ლიონი | 22 | 9 | 8 | 5 | 30-23 | 35 |
| 7. ტულუზი | 22 | 10 | 3 | 9 | 25-22 | 33 |
| 8. მონპელიე | 22 | 9 | 6 | 7 | 20-23 | 33 |
| 9. ბორდო | 22 | 7 | 10 | 5 | 27-23 | 31 |
| 10. ბრესტი | 22 | 8 | 7 | 7 | 23-21 | 31 |
| 11. ლორიანი | 22 | 9 | 4 | 9 | 26-27 | 31 |
| 12. სოშო | 22 | 8 | 4 | 10 | 35-27 | 28 |
| 13. ვალანსიენი | 22 | 6 | 8 | 8 | 25-25 | 26 |
| 14. ნიცა | 22 | 6 | 8 | 8 | 15-22 | 26 |
| 15. ოსერი | 22 | 4 | 13 | 5 | 27-26 | 25 |
| 16. ნანსი | 22 | 7 | 4 | 11 | 23-24 | 25 |
| 17. კაენი | 22 | 6 | 6 | 10 | 22-31 | 24 |
| 18. ლანსი | 22 | 5 | 8 | 9 | 22-35 | 23 |
| 19. მონაკო | 22 | 3 | 12 | 7 | 20-23 | 21 |
| 20. არლი | 22 | 1 | 5 | 16 | 11-43 | 8 |

**ბომბარდირები:** სოუ (ლილი) – 15, ნენე (პსჟ) – 13, ელ არაბი (კაენი), გამეირო (ლორიანი) – 11, ჟერვინიო (ლილი) – 10.







**ვანო გრიქუროვი** გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მუშაობდა ქართველ ძალოსნებთან. სწორედ, მისი ხელმძღვანელობით ავიდნენ ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **კახი კახიაშვილი** და **გიორგი ასანიძე**, რომლებსაც სხვა შეჯიბრებებშიც არაერთხელ გამოუჩენიათ თავი.

სახელოვანმა მწვრთნელმა ერთი ხანობა პოლონეთში იმუშავა, სადაც ქართველ ათლეტებსაც ავარჯიშებდა. და აი, ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით ვანო გრიქუროვი ისევ დაუბრუნდა საქართველოს ნაკრებს, რომელთანაც საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება დუშეთში.

გუშინ მას ტელეფონით შევეხმიანეთ:

- პოლონეთში უმთავრესად ახალგაზრდებთან ერთად შიმონ კოლეცკის ვავარჯიშებდი, რომელმაც ორჯერ მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი. პეკინის ოლიმპიადის შემდეგ მან მძიმე ოპერაცია გადაიტანა და, ფაქტობრივად, მთავარი საქმის გარეშე დავრჩი. უქმობამ დამარწმუნა, რომ დიდი სპორტიდან ჩემი წასვლა ჯერ ნაადრევი იყო.

**- კარგია, რომ საქართველოს ნაკრებს დაუბრუნდით...**

- ჩვენი ქვეყნის ძალოსნობის ფედერაციასთან კონტაქტი არასდროს გამიწყვეტია, განსაკუთრებით ჩემს ყოფილ შეგირდთან გიორგი ასანიძესთან მქონდა მუდმივი კავშირი. ახლა ნაკრებს რომ დასჭირდა ჩემი თავი, წამითაც არ მიყოყმანია. მით უმეტეს, რომ ბიჭებს ვიცნობ. მინახავს ისინი შეჯიბრებებზეც. თუმცა საწვრთნელი შეკრების დაწყების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ბევრად უკეთეს თაობასთან მაქვს საქმე, ვიდრე ველოდი.

● ძალოსნობა

# დაბრუნდა ოპტიმისტურ ნოტზე

**- შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენმა ათლეტებმა ლონდონის ოლიმპიადის სამი ლიცენზიის მოსაპოვებლად საჭირო ქულები მოაგროვეს. მათი შენარჩუნების შანსი თუ გვაქვს?**

- იმის მიუხედავად, რომ წლევანდელი შეჯიბრება ბევრად დაძაბული და ძნელი იქნება, 2012 წლის თამაშების 3 საგზურის მოპოვება არ უნდა გაგვიჭირდეს. ბიჭებს შეგნებული აქვთ ეს პასუხისმგებლობა და ვარჯიშებზე ძალ-ღონეს არ იშურებენ.

**- პეკინის ოლიმპიადის მეოთხეადგილოსანმა არსენ კასაბიევმა საქართველოდან წასვლის შემდეგ პოლონეთს მიაშურა. შესაძლოა, ეს თქვენმა იქ ყოფნამაც განაპირობა. ნაკრებში მისი დაბრუნებაც ხომ არ იგეგმება?**

- კასაბიევის პოლონეთში გადასვლას ჩემთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, ეს მისი ინდივიდუალური გადაწყვეტილება იყო, მით უმეტეს, რომ მე კასაბიევთან განსხვავებული დამოკიდებულება მქონდა. მისი მოქალაქეობის შეცვლის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. საქართველოს ნაკრებში მისი დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

**- მახსოვს, გაყინულ დარბაზში შეგირდებთან ერთად შტანგასთან მისვლამდე შეშის ღუმელზე რომ ითბობდით ხელებს, ისე გაზარდეთ ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო და სიტუაციაც რადიკალურად შეიცვალა. ახლა, ალბათ, ახალი ჩემპიონების დაფრთიანებას უნდა ველოდოთ.**

- მეც ამის იმედი მაქვს, თორემ ნაკრებში დაბრუნებას აზრი არ ექნებოდა. სპორტის სამინისტრო, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ფედერაცია დიდ ყურადღებას აქცევენ ძალოსნობის განვითარებას, პერსპექტიული ბიჭებიც გვყავს. დუშეთის ბაზა, სადაც პირველი თებერვლიდან ვიმყოფებით საწვრთნელ შეკრებაზე, შესანიშნავია, თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი. ასე რომ, ერთი რამ დაგვრჩენია - მუხლჩაუხრელი მუშაობა და იმედების გამართლება.

**ვაჟა დანელია**

● თავისუფალი ჭიდაობა. იაშარ დოგუს ტურნირი

# ხინჩეგაშვილს მეტოქეებიც აქებენ

სტამბოლის სპორტის სასახლეში გუშინ დაწყებულ იაშარ დოგუს სახელობის 39-ე საერთაშორისო ტურნირში წარმატებით ჩაება **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) – ფინალში ბულგარელი მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **რადოსლავ ველიკოვ მარინოვი** დაამარცხა. პერიოდების მიხედვით შეხვედრის ზუსტ ანგარიშზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩვენი ფედერაციის გენერალურ მდივან **მალხაზ ჯორბენაძეს** (მას თურქეთიდან ჩვენი მწვრთნელები დაკავშირებიან) თქმით, ხინჩეგაშვილს ძირითად დროში მოუგია. თანაც თურმე დიდ უპირატესობას ფლობდა. მისასალმებელია ამ ახალგაზრდა ფალავანის ასეთი პროგრესი, რომელსაც ოლიმპიადისთვის ჩვენი გუნდის ერთ-ერთ მთავარ იმედად მიიჩნევენ. ხინჩეგაშვილი კვლავაც აგრძელებს შარშან დაწყებულ ჩინებულ სეზონს – ახალგაზრდულ ევროპაზე მოპოვებული ვერცხლი მსოფლიოზე ოქროზე გადაცვალა, მერე საქართველოს ჩემპიონატი უფროსებში მოიგო, ახლა კი ეს წარმატება. სხვათა შორის, მისი ტალანტი ჩრდილოკავკასიურ საჭიდაო საიტზეც შეაქეს. ქართველებს სახიფათო ფალავანი გეზრდებათ, ლონდონში მისი დრო დადგებაო, დაწერეს იქ.

გუშინ დოგუს ტურნირზე კიდევ ერთმა ქართველმა იჭიდავა – **დავით ხუციშვილმა** (74), რომელმაც შარშან ახალგაზრდებში დუბლი გააკეთა – ევროპამსოფლიო მოიგო, მერე კი საქართველოს ჩემპიონიც გახდა უფროსებში. ამჯერად ის რუსთა მსოფლიოს ჩემპიონ **მახაჩ მურთაზალიევთან** დამარცხდა სამ პერიოდში – პირველი რუსთა დაღესტნელმა ფალავანმა მოიგო - 3:2, მეორეში ჩვენებურმა 2:0 იმარჯვა, დამატებითში კი უფრო გამოცდილმა რუსმა 2:1 იმარჯვა. თუმცა როგორც ჯორბენაძემ გვითხრა, ჩვენი მწვრთნელები მესამე პერიოდის წაგებაში მსაჯებს ადანაშაულებენ, რუსთა ზეწოლას ვერ გაუძლეს და დაღესტნელს დაუმთავრებელი ილეთი შეუფასესო. ასეა თუ ისე, როგორც ვხედავთ, ხუციშვილმა მრისხანე მეტოქეს მედგარი ბრძოლა გაუმართა და ორივე პერიოდი მხოლოდ მინიმალური სხვაობით წააგო. ჩვენდა სამწუხაროდ, მომდევნო წრეში მურთაზალიევი საკუთარ ძმას, სომხეთის სახელით მოასპარეზე **მუსა მურთაზალიევს** გადაეყარა და წააგო, თუმცა როგორც ხმები გავრცელდა, უბრალოდ, დაუთმო, რითაც საევროპო განაცხადისკენ გზა გაუხსნა.

დღეს სტამბოლში ჩვენებურთაგან **მალხაზ ზარქუა** (60), **დავით მარსაგიშვილი** (84) და **დავით მოძმანაშვილი** (120) იჭიდავებენ, ხვალ კი ლეიბზე **კობა კაკალაძე, ილია ხუციშვილი** (ორივე - 66) და **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96) გავლენ.

**ირაკლი თავაძე**

● წყალბურთი

# პირველობამ სტარტამდე დელფინი და იმედი დაკარგა

„ოლიმპიკის" აუზში გუშინ დაიწყო 1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 10 გუნდს უნდა ესასპარეზა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით, „დელფინი" და „იმედი" შეჯიბრებაში ვერ ჩაებნენ. რიკოთზე დიდთოვლობის გამო, თბილისში ჩამოსვლა დააგვიანეს ქუთაისელებმა, ამიტომ ისინი „ჯორჯიას" დღეს დაუპირისპირდებიან. დანარჩენ სამ შეხვედრაში კი ფავორიტებმა იმარჯვეს: ივერია(1)-თბილისი 22:2, ლიგამუსი-ტონუსი 27:2, ბათუმი-ივერია (2) 11:6.

დღეს პირველი ეტაპის ხუთი შეხვედრა გაიმართება: ქუთაისი-ჯორჯია, ლიგამუსი-ივერია (2), ტონუსი-ბათუმი, ივერია (1)-ჯორჯია, თბილისი-ქუთაისი.

**ვაჟა დანელია**

● ძიუდო. მსოფლიოს თასი

# გადახალისებული შემადგენლობით

დღეს ბუდაპეშტში ვაჟ ძიუდოისტთა მსოფლიოს თასი იწყება, რომელშიც საქართველოს ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით გამოდის. სტარტზე **ბეთქილ შუკვანი** (60), **ალექსანდრე იაკობაშვილი** (66) და **ზებედა რეხვიაშვილი** (73) გავლენ, **დავით კარბელაშვილი** (81), **საბა გავაშელიშვილი, ლაშა გურული** (90) და **ნოდარ მეტრეველი** (+100) ხვალ იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

სუპერლიგა. XIII ტური

# არმია ქუთაისშიც ვერ გააჩერა

11 თებერვალი. ქუთაისი

| | |
|---|---|
| ქუთაისი–არმია | 48:65 |

11:16, 11:11, 19:26, 7:12

**ქუთაისი:** ბაბუნაშვილი (10ქ), ბოლქვაძე (2ქ), ბარბაქაძე (12ქ), ცეკვავა (4ქ), კოლუაშვილი (12ქ, 10მ), კვერნაძე, ტუკვაძე, ლომინაშვილი (7ქ), ქორიძე (1ქ).
**არმია:** ბოისა (7ქ), ტულუში (10ქ), ათანელიშვილი (2ქ), შარაბიძე (13ქ), ბ. ბერიშვილი (10ქ), ბაბიაშვილი (16ქ), პირველაშვილი, ათუაშვილი, საყვარელიძე (7ქ)
**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

სუპერლიგის ლიდერისა და საქართველოს თასის მფლობელის „არმიის" სტუმრობამ ქუთაისში არნახული ინტერესი გამოიწვია. ადგილობრივ სპორტის სასახლეს იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ 1500-კაციან დარბაზში დასაჯდომი ადგილი ყველას არ შეხვდა და ბევრმა ფეხზე მდგარმა უცქირა თამაშს. მართალია, არმიელები სტუმრად თამაშობდნენ, მაგრამ ტრიბუნებზე ნახევარზე მეტი მათი გულშემატკივარი იყო. ქუთაისში არსებული კადეტთა კორპუსი და შეიარაღებული ძალების სხვა წარმომადგენლები საბრძოლო სიმღერებით ამხნევებდნენ საკუთარ გუნდს.

დებიუტში თამაში ქულა-ქულაში წარიმართა, გუნდები ძირითადად დაცვაზე აკეთებდნენ აქცენტს. შემდეგ კი თანდათან **ლევან მოსეშვილის** შეგირდების უპირატესობა გამოიკვეთა, კარგად ათამაშდნენ **შარაბიძე, ბერიშვილი, ბოისა** და პირველი პერიოდი არმიელებმა 5 ქულის სხვაობით მოიგეს (16:11).

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისელებს ორი წამყვანი კალათბურთელი **რევაზ დიდია** და **ბუბა კვიმსაძე** აკლდათ, მეორე ათწუთეულში მათ კარგი თამაში აჩვენეს, განსაკუთრებით **გიგი ბარბაქაძის, თემურ ბაბუნაშვილის** და **ვიქტორ კოლუაშვილის** გარჯაა გამოსარჩევი. ამ უკანასკნელმა 12 ქულითა და 10 მოხსნით მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი შეასრულა. მასპინძლებმა მეორე პერიოდის შუაწელში მეტოქეს 8 უპასუხო ქულა ჩაუგდეს, ბარბაქაძემ ჯერ ანგარიში გაათანაბრა (20:20), შემდეგ კი წინაც გაიყვანა გუნდი, მაგრამ ქუთაისელთა წინსვლას აქ დაესვა წერტილი. ამის შემდეგ უპირატესობა მთლიანად არმიელთა მხარეს გადავიდა და ისინი მეტოქეს მატჩის ბოლომდე ავიწროვებდნენ. განსაკუთრებით ახალგაზრდა გიორგი შარაბიძისა და **კოტე ტულუშის** კარგი თამაშია აღსანიშნავი. შარაბიძის მიერ ზედიზედ ჩაგდებული 4 ქულა სტუმრებისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა, ისინი ანგარიშში კვლავ დაწინაურდნენ - 24:22 და შემდეგ არითმეტიკული პროგრესიით ზრდიდნენ სხვაობას. საერთო ჯამში არმიელებმა მასპინძლებს 14 უპასუხო ქულა ჩაუგდეს და მესამე პერიოდის შუაწელისთვის 12 ქულით დაწინაურდნენ.

კარგად გაისარჯა **ზვიად ბაბიაშვილიც**, რომელმაც საკუთარ გუნდს 16 ქულა შესძინა და 7 მოხსნაც მიითვალა. მესამე ათწუთეულის დასრულების შემდეგ არმიელები კვლავ 12 ქულას იგებდნენ (53:41), მასპინძლებს თამაშის შემობრუნების შანსი კიდევ ჰქონდათ, მაგრამ ბოლო პერიოდის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ „არმია" უპირატესობას ხელიდან არ გაუშვებდა. მათ კიდევ უფრო გაამწვავეს იერიშები, რასაც ქუთაისელთა დაღლილობამ და ხშირ შემთხვევაში უზუსტო თამაშმაც შეუწყო ხელი. საბოლოოდ სტუმრებმა 17-ქულიანი სხვაობით გაიმარჯვეს (65:48) და სატურნირო ცხრილში ლიდერობა განიმტკიცეს.


ქუთაისის კალათს ანატოლი ბოისა უტევს

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ქველმოქმედება

# სოხუმი პირველი მერცხალი

წლეულს სუპერლიგის წარმომადგენელი, „სოხუმი" სხვა გუნდებისგან ბევრით გამოირჩევა, ჰყავს ყველაზე მეტი ლეგიონერი, მთავარ მწვრთნელად მალე დაინიშნება ცნობილი ლატვიელი სპეციალისტი **აინარს ბაგაცკისი...**

სოხუმელები პირველი მერცხლები აღმოჩნდნენ საქველმოქმედო საქმეშიც: ვეტერან კალათბურთელთა ფონდში 1000 დოლარი გადარიცხეს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამბობენ, რომ ეს ერთჯერადი აქცია არ იქნება.

გავესაუბრეთ სოხუმის ვიცე-პრეზიდენტ **თემურ ჩილაჩავას**, რომელმაც აღნიშნა:

*- ვეტერანთა დახმარების იდეა კლუბის პრეზიდენტის, ბატონ მინდია გულუასგან მოდის. სწორედ ის დაინტერესდა მათი მდგომარეობით. კარგად ვიცით, რომ არაერთი ვეტერანი მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს და გვინდა მდგომარეობის შემსუბუქებაში გარკვეული წვლილი შევიტანოთ. კარგად გვახსოვს მათი თამაში და ვცდილობთ ვაგრძნობინოთ, რომ აქტიური კარიერისას მათი ხალხისადმი გამოხატული სითბო არ დაგვვიწყებია და ამჯერად გვინდა იგრძნონ, რომ ხალხს ვეტერანები კვლავ ახსოვს. ასევე აღვნიშნავ, რომ ეს დახმარება ერთჯერადი არ იქნება. წინაც გავიხედოთ: მოქმედმა კალათბურთელებმა უნდა იცოდნენ, რომ კარიერის დასრულების შემდეგ საზოგადოება არც მათ დაივიწყებს...*

ვეტერანთა სოციალური ყოფა დღევანდელ საქართველოში მტკივნეული თემაა. ამიტომ, ზოგადი სურათის გასაცნობად ველაპარაკეთ ვეტერან კალათბურთელთა ფონდის ხელმძღვანელ **ვალერი ლომაძეს**.

*- „სოხუმის" ხელმძღვანელობამ გადმორიცხა 1000 დოლარის ექვივალენტი ლარებში, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. ვიმედოვნებ, რომ ამ საშვილიშვილო საქმეში სოხუმელებს სუპერლიგის სხვა კლუბებიც მიბაძავენ. ზოგიერთი ვეტერანი შეჭირვებულად ცხოვრობს, ზოგი მარტოხელაა, ზოგი ავადაა... მათთვის მცირე დახმარებაც დიდი შეღავათია.*

ბატონმა ვალერიმ დასძინა, რომ ფონდში შესულ თანხებს 12-კაციანი საბჭო ანაწილებს. დავინტერესდით, ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდს კიდევ ვინ ეხმარება.

*- დიდ ყურადღებას გვაქცევს კალათბურთის ფედერაცია, რომელიც ყოველთვიურად 1000 ლარს გვირიცხავს. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ამისთვის მადლობა მოვახსენო. იყო ერთჯერადი დახმარებაც - კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, ვიდრე სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროდ გადაკეთდებოდა...*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონი

# შენგელიაც და გრინიც მეოთხედფინალიდან...

**თორნიკე შენგელიას** „პეპინსტერმა" ბელგიის თასის მეოთხედფინალის განმეორებითი შეხვედრა „მონსთან" სტუმრად გამართა. ამ გუნდების პირველი მატჩი 10 ნოემბერს „პეპინსტერის" მოედანზე ჩატარდა და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა - 72:65. შენგელიას თანაგუნდელები ნახევარფინალში ექვსქულიანი მარცხის შემთხვევაშიც გავიდოდნენ, მაგრამ „მონსმა" თავისი გაიტანა - „პეპინსტერი" 76:62 დაამარცხა და ნახევარფინალშიც ის გავიდა.

პეპინსტერელები ბოლო პერიოდამდე კარგად უმკლავდებოდნენ მასპინძლებს, მაგრამ მეოთხე რაუნდში 10:16 დათმეს და თასისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და მოედანზე 26 წუთი გაატარა. თორნიკეს შეტევაში ყველაფერი ისე არ გამოუვიდა, როგორც სურდა: სამი ორქულიანი და 2 საჯარიმო ააცილა, ხოლო 2 სამიანიდან 1 გამოიყენა, საბოლოოდ 3 ქულას 4 მოხსნა და 1 პასი მიამატა. მატჩის ბომბარდირი „პეპინსტერის" ამერიკელი ლეგიონერი **ბრენდონ გაი** გახდა - 23 ქულა მიითვალა.

შენგელიას გუნდის მომდევნო მატჩი 19 თებერვალს იგეგმება - ბელგიის ჩემპიონატის ლიდერ „შარლერუას" ეწვევა. მანამდე, 12 თებერვალს ბელგიაში მე-19 ტურის შეხვედრები გაიმართება, მაგრამ ამ ტურში „პეპინსტერი" ისვენებს (რადგან პირველობაზე გუნდების კენტი რაოდენობაა).

**ვაჟა სიმონიშვილი**


შენგელია „მონსის" ფარქვეშ

ევროპაში სათასო ბატალიები მიმდინარეობს. სამწუხაროდ, მეოთხედფინალში დაასრულეს ბრძოლა **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა" (იტალიაში) და **თორნიკე შენგელიას** „პეპინსტერმა" (ბელგიაში). მათი ბედი საქართველოს ნაკრების უკანახაზელის, **ტორინ გრინის** „გრან კანარიამ" გაიზიარა. ესპანეთის თასის გათამაშება მადრიდში იმართება, შესაბამისად, მეოთხედფინალში კანარელები მასპინძელ „რეალს" დაუპირისპირდნენ და 72:78 დამარცხდნენ.

მატჩი საინტერესოდ წარიმართა. პირველი მეოთხედი „გრან კანარიამ" 21:14 მოიგო, თუმცა მეორე ათწუთეულში სამეფო კლუბის კალათბურთელებმა თამაში შემოატრიალეს და დიდ შესვენებაზე 5-ქულიანი ფორით გავიდნენ - 39:34.

სირენამდე 6 წუთით ადრე მადრიდელებმა 12-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს (66:54), თუმცა, ტორინ გრინისა და **ჯეის ქეროლის** სამქულიანების წყალობით სხვაობა 5 ქულამდე შემცირდა (63:68). დარჩენილ 3 წუთში „რეალმა" არაფერი დათმო და თასის ნახევარფინალში გავიდა, სადაც „ვალენსიას" დაუპირისპირდება.

მადრიდელებთან მატჩი გრინმა სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 25 წუთში 10 ქულა (4-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი) და 2-2 მოხსნა-პასი მიითვალა. მისმა თანაგუნდელმა, ქეროლმა კი 30 ქულას მიაღწია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## სამი ოვერტაიმი და ბოისას წერტილი

სლოვენიაში გაიმართა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები. დრამატულ შეხვედრაში "ოლიმპის" კრკა-ს დასამარცხებლად არც ძირითადი დრო ეყო, არც ერთი ოვერტაიმი, არც მეორე... ოლიმპიელებმა მეტოქე მესამე დამატებულ დროში გატეხეს – 122:113.

მატჩში ბოლო ქულა (ჯარიმიდან) **ვლადიმერ ბოისამ** ჩააგდო. მან ამ სეზონში ყველაზე მეტი, 24 წუთი ითამაშა, 2-2 ქულა-ჩაჭრა და თითო მოხსნა-პასი მოაგროვა.

მოედანზე 8 წუთი გაატარა "ოლიმპიას" ცენტრმა **გიორგი შერმადინმა**, რომელსაც მუხლის ტრავმა აქვს და რადგან მეოთხედფინალში მის გუნდს სერიოზული მეტოქე ჰყავდა, გამაყუჩებლით ითამაშა. გიორგის ანგარიშზე 1 ქულა, 1 მოხსნა, 1 დაფარება და 3 მოხსნაა.

## მანუ ნახევარფინალში შეფრინდა

იტალიის თასის მეოთხედფინალში **მანუჩარ მარკოიშვილის** "კანტუ" "ბიელას" შეხვდა და იოლად დაამარცხა – 86:57.

მანუმ 23 წუთი ითამაშა, ანგარიშზე 6 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი ჩაიწერა.

"კანტუ" ნახევარფინალში "ავილინოს" დაუპირისპირდება, რომელმაც მეოთხედფინალში გზიდან "მილანი" ჩამოიცილა (92:84). აველინოელთა სათადარიგოთა სკამზე იჯდა ახალგაზრდა **მერაბ ბოქოლიშვილი**. საოცარი შედეგი ჰქონდა მის თანაგუნდელ **მარკეს გრინს**: 20 პასი, 11 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




თურქეთი. საერთაშორისო ტურნირი

# ბოლო თუ ბოლოსწინა?

11 თებერვალი

| | |
|---|---|
| საქართველო-პუერტო რიკო | 48:75 |

14:21, 11:11, 13:21, 10:22

**საქართველო:** ბოლქვაძე (4ქ, 2მ, 2პ, 1ჩ, 1დ), ლილუაშვილი (8ქ, 2მ, 3პ, 5ჩ), ქობალავა (2ქ, 2მ, 1ჩ, 1დ), აბულაძე (17ქ, 2მ, 2პ, 2ჩ), დარახველიძე (8ქ, 12მ, 1პ, 3ჩ), ლურწკაია (3მ, 1ჩ), ჭიხვარია (9ქ, 7მ, 1ჩ), ლომთაძე (1მ).

საქართველოს კადეტთა ნაკრები საკლასიფიკაციო მატჩში პუერტო რიკოს დაუპირისპირდა. ეს კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნის. რადგან აშშ-სთან კავშირშია, ლოგიკურად კალათბურთი პუერტო რიკოშიც სათანადოდ უნდა იყოს განვითარებული. ამაში შეხვედრის საბოლოო ანგარიშმაც დაგვარწმუნა - ოკეანის გაღმელებმა ქართველებს 75:48 მოუგეს.

თუ წინა მატჩებში იყო სერიოზული ჩავარდნები (მაგალითად, ირანთან ერთ მეოთხედში ქულა ვერ ჩავაგდეთ), პუერტო რიკოსთან 10 ქულას ოთხივე პერიოდში ავცდით. ვინც საქართველოს 16-წლამდელთა მატჩებს ადევნებს თვალს, იოლად მიხვდება, ჩვენს კადეტებს ყველაზე მეტად რომელ კომპონენტში გაუჭირდათ - რა თქმა უნდა ფარქვეშ, რაზეც სტატისტიკა მიგვითითებს: პუერტორიკოელებმა ბურთი 49-ჯერ მოხსნეს, ხოლო ქართველებმა - 34-ჯერ. ამერიკელებმა 25 ორქულიანი ჩააგდეს (53-დან), ჩვენებმა - 12 (34-დან). ორ მნიშვნელოვან კომპონენტში მოპოვებული სოლიდური უპირატესობა ანგარიშზეც ლოგიკურად აისახა: როგორც გითხარით, მეტოქემ 27 ქულის სხვაობით იმარჯვა.



ქართველთაგან თუკი ვინმეს გამორჩევა შეიძლებოდა, ესენი **ნუგზარ აბულაძე** და **ბექა დარახველიძე** გახლდნენ. პირველი ერთადერთი ქართველი იყო, 10-ქულიან ნიშნულს რომ ასცდა, ხოლო მეორემ მოხსნებში გადალახა ათიანი ბარიერი. აბულაძემ 17 ქულა ჩააგდო, ხოლო დარახველიძემ 12 მოხსნას 8 ქულა მიამატა.

პუერტო რიკოსთან წაგების შედეგად ქართველებს ისღა დარჩენიათ, ტურნირზე ბოლოსწინა ადგილსთვის იბრძოლონ. ისინი დღეს, 12 თებერვალს ირანელებს დაუპირისპირდებიან, რომლებთანაც ჯგუფურ ეტაპზე 50:62 დამარცხდნენ. თავის მხრივ, სპარსელებმა საკლასიფიკაციო მატჩში რუმინეთთან 65:71 დათმეს. საქართველო-ირანს შორის გამარჯვებული თურქეთის საერთაშორისო ტურნირს მე-11 ადგილზე დაასრულებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მსოფლიოს რეგიონალური სპორტული ასპარეზობები

## აფრიკის თამაშები




კომპლექსური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ აფრიკის ქვეყნებისა და კუნძულ მადაგასკარის სპორტსმენები. პირველად ჩატარდა ბრაზავილში (კონგო) 1965 წელს. შემდგომი შეჯიბრება უნდა გამართულიყო 1969 წელს, მაგრამ 1973 წლამდე ეს ვერ მოხერხდა. ფინანსური და ორგანიზაციული პრობლემები ასპარეზობის დაგეგმილ დროს ჩატარებას ხელს უშლიდა XX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებშიც.

1987 წლიდან თამაშები ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება.

**აფრიკის თამაშებს მასპინძლობდნენ:** 1965-ბრაზავილი (კონგო), 1973-ლაგოსი (ნიგერია), 1978-ალჟირი (ალჟირი), 1987-ნაირობი (კენია), 1991-კაირო (ეგვიპტე), 1995-ჰარარე (ზიმბაბვე), 1999-იოჰანესბურგი (სამხრეთი აფრიკა), 2003-აბუჯა (ნიგერია).

● ფაქტები

მარათონული რბენის დაწესების თაოსანი იყო ფრანგი ფილოლოგი მიშელ ბრეალი. პირველი გამარჯვებული გახდა ბერძენი ფოსტალიონი სპიროს(სპირიდონ) ლუისი.

**სპირიდონ ლუისი და ადოლფ ჰიტლერი. ბერლინი 1936 წელი**



● ვინ რა თქვა



„მე რევოლუციების მოხდენას არ ვაპირებ, არც ბიზნესის და არც იმ ფეხბურთელების წინააღმდეგი არა ვარ, რომლებიც ასტრონომიულ თანხებს იღებენ. ფეხბურთი უნდა ამოძრავებდეს ბიზნესს და არა პირიქით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღარ იქნება სიყვარული და ემოცია. ფეხბურთი მარტო ბიზნესი არ არის, იგი განძია, განძი, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება. პირველ პლანზე თამაში უნდა იდგეს და არა საქმიანი გარიგება. მინდა რომ ფეხბურთმა თავისი ჭეშმარიტი ღირსებები, სილამაზე და სისადავე დაიბრუნოს".

**მიშელ პლატინი**




*1980 წელი. მოსკოვი (რუსეთი). XXII ოლიმპიური თამაშების აფიშა და მედალი*

● საინტერესო ამბები

**ონეგის ტბისა** და თეთრი ზღვის პირას კლდეებზე შემორჩენილია მოთხილამურეთა გამოსახულებები, რომელიც მკვლევართა ვარაუდით, შესრულებულია ძველი წელთაღრიცხვით 4.000-3.000 წლებში.

**საჰარაში** თარილინ-აჯერის პლატოზე ნაპოვნია კლდის მხატვრობა მშვილდოსნების გამოსახულებით, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. 3500 წლების პერიოდს განეკუთვნება.

**მოცურავეების** ფიგურებია შემორჩენილი ზემო ეგვიპტეში მოკვლეულ ცილინდრულ ტვიფრზე, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. 3200 წლების პერიოდისაა.

● იყო ასეთი შემთხვევა...

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ავსტრალია და ხორვატია ხვდებოდნენ ერთმანეთს. მატჩის არბიტრმა **გრემ პოლმა** ხორვატთა მოთამაშე **იოსიპ შიმუნიჩს** ერთი დარღვევისთვის ყვითელი ბარათი აჩვენა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი შიმუნიჩმა კვლავ იუხეშა და მსაჯმა წითელი ბარათის მაგივრად, ისევ ყვითელი ამოუღო. მესამე უხეშობის შემდეგ კი უკვე წითელი „უსახსოვრა" და მოედანი დაატოვებინა.

აი, ასეთებიც ხდება მუნდიალზე....

**გიორგი ფულარიანი**

● თარიღი. 12-18 თებერვალი

**12.02.1994 წ.** ლილეჰამერი (ნორვეგია). გაიხსნა ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშები. ამ თამაშებიდან იწყება ოლიმპიადებში დამოუკიდებლად საქართველოს გამოსვლა. მონაწილეობდნენ: **კახა ვახტანგიშვილი** და **ლევან თიბილოვი** (ორივე-ციგაობა), **კახა წაქაძე** (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა), **ზურა ჯიჯიშვილი** და **ლევან აბრამიშვილი** (ორივე-სამთოთხილამურობა).

**13.02. 1948 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „კიოლნი" (გერმანია).

**13.02. 1972 წ.** საპორო (იაპონია). დაიხურა ზამთრის XI ოლიმპიური თამაშები.

**13.02.1980 წ.** ლეიკ-პლესიდი (აშშ). გაიხსნა ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები.

**13.02. 1988 წ.** კალგარი (კანადა). გაიხსნა ზამთრის XV ოლიმპიური თამაშები.

**14.02.1952 წ.** ოსლო (ნორვეგია). გაიხსნა ზამთრის VI ოლიმპიური თამაშები.

**14.02. 1951 წ.** დაიბადა **კევინ კიგანი** — ფეხბურთი (ინგლისი).

**15.02.1932 წ.** ლეიკ-პლესიდი (აშშ). დაიხურა ზამთრის III ოლიმპიური თამაშები.

**16.02.1936 წ.** გარმიშ-პარტენკირხენი (გერმანია). დაიხურა ზამთრის IV ოლიმპიური თამაშები.

**18.02.1967 წ.** დაიბადა **რობერტო ბაჯო** — ფეხბურთი (იტალია).

**18.02.1960 წ.** სკვო-ველი (აშშ). გაიხსნა ზამთრის VIII ოლიმპიური თამაშები. მონაწილეობდა **კობა წაქაძე** (ტრამპლინი).

**18.02.1968 წ.** გრენობლი (საფრანგეთი). დაიხურა ზამთრის X ოლიმპიური თამაშები.

● ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

**1. ვის ეკუთვნის სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნის იდეა?**

ა – პიერ დე კუბერტენს
ბ – ხუან ანტონიო სამარანჩს
გ – ჟაკ როგს

**2. კაცი, რომელიც ისტორიას „ინგლისური კრივის მამის" სახელით შემორჩა, პირველმა გამოიგონა კრივის ხელთათმანები 1747 წელს. ვინ იყო იგი?**

ა – ჯონ გოდფრი
ბ – ალენ ბრუდი
გ – ჯეკ ბრაუტონი

**3. რომელია ევროპის უმაღლესი მწვერვალი?**

ა – ეტნა
ბ – იალბუზი
გ – მონბლანი

**4. რომელ წელს გადაწყვიტა ფიფამ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება?**

ა – 1928 წელს
ბ – 1929 წელს
გ – 1990 წელს

**5. შეიძლება თუ არა სპორტის სახეობა იყოს ოლიმპიური, მაგრამ არ შედიოდეს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?**

ა – შეუძლებელია
ბ – მომავალში ივარაუდება
გ – შესაძლებელია

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ.

● ღვთისავარ ანთაძის კუთხე

### ფეხბურთი ახლო ხედით

## მატჩის ხელის შემშლელი შემთხვევები

თამაშის მასპინძლად ითვლება გუნდი, რომელიც შეჯიბრების დადგენილი განრიგით უფლებამოსილია აირჩიოს სტადიონი. წესის მიხედვით, ეს არის გუნდი, რომლის სტადიონზეც მატჩი გაიმართება. მასპინძელი გუნდი შეჯიბრების განრიგისა და მსაჯთა დელეგაციის სიაში მუდამ პირველ ადგილზეა.

სტადიონზე თამაშის მშვიდ და რეგულარულ მიმდინარეობას და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს მატჩის მომწყობი გუნდი საკმაოდ წარმომადგენელ წევრთა ჯგუფის მეშვეობით. განმკარგულებელთა გუნდს განეკუთვნებიან და საერთო საქმეს ემსახურებიან მოლარეები, სამედიცინო სამსახურის წევრები, დირექტორი, სტუმართა გუნდის პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

თუკი მასპინძელთა გუნდის მიმღებთა სია არ არის სრულყოფილი, მსაჯს უფლება აქვს მოითხოვოს მისი შევსება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი ამ ფაქტს მატჩის ოქმში შეიტანს. მთავარ მსაჯს კი იმის უფლება არ აქვს, თამაშის მსვლელობის დროს გამოიძახოს მასპინძელი გუნდის წარმომადგენელი წესრიგის დამყარების მოთხოვნით. ასე მან შეიძლება მარტო მასპინძელი გუნდის კაპიტანს მიმართოს. მასპინძელთა კოლექტივმა უნდა უზრუნველყოს მთავარი და გვერდითი მსაჯების უსაფრთხოება.

● თავსატეხი „ანთა". მეოცე ამოცანა

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

*შენიშვნა:* ***თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.***

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | | | | | | | | 3-0 | 9 | I |
| B | | | | | | | | | 4-2 | 6 | II |
| C | | | | | | | | | 1-4 | 1 | III |
| D | | | | | | | | | 0-2 | 1 | IV |

**წინა ამოცანის პასუხი**

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | 1:0 | 1:0 | 1:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 3-0 | 9 | I |
| B | 0:1 | | 3:1 | 1:0 | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 | II |
| C | 0:1 | 1:3 | | 0:0 | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 | III |
| D | 0:1 | 0:1 | 0:0 | | 3 | 0 | 1 | 2 | 0-2 | 1 | IV |

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. სპორტის პოპულარული სახეობა; 5. ერთ-ერთი შეფასება ძიუდოში; 9. ლეგენდარული ფინელი მძლეოსანი; 10. ჰოლანდიის "სპარტას" ქალაქი; 11.... კანტონა; 12. მსოფლიოს მესამე ჩემპიონი ჭადრაკში; 14. ერევნის "ულისის" ქართველი ფეხბურთელი; 15. "იონიკოსის" ქალაქი; 18. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 20. მე-19 საუკუნის ამერიკელი მოჭადრაკე; 22. ქვეყანა, სადაც კახა ცხადაძე მოღვაწეობს; 24. გამოჩენილი ავსტრიელი ავტომრბოლი; 26. ცნობილი ქართველი თანამედროვე ხუთჭიდელი; 28. არგენტინული წარმოშობის იტალიელი ფეხბურთელი; 29. "იუვენტუსის" ნახევარმცველი; 30. ერევნის საფეხბურთო კლუბი; 31. მუჰამედ ალის მოკრივე ქალიშვილის სახელი.

**შვეულად:** 1. 50-ანი წლების ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი; 2. სსრკ-ის საფეხბურთო ნაკრების ქართველი კაპიტანი; 3. "ასტონ ვილას" მთავარი მწვრთნელი; 4. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 5. ლეგენდარული რუსი მოჭიდავე; 6. მსოფლიოს მე-14 ჩემპიონი ჭადრაკში; 7. გერმანელი მწვრთნელი ... ჰიტცფელდი; 8. პორტუგალიის საფეხბურთო გუნდი; 13. სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო ჩემპიონატი "... ამერიკა"; 16. ფრანგული ფეხბურთის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი; 17. ლეგენდარული ჩეხი მეკარე; 19. გამოჩენილი საბჭოთა ჰოკეისტი; 20. ყოფილი გერმანელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი; 21. "ნიუკასლის" ნახევარმცველი; 23. გურჯაანის ყოფილი საფეხბურთო გუნდი; 25. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საფეხბურთო სტადიონი; 27. იტალიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი.

პასუხები მომდევნო ნომერში

შეადგინა ლალი ქიქინაძემ

**პირველი, პირველმა, პირველად**

**პირველი** საერთაშორისო შეხვედრა წყალბურთში გაიმართა 1890 წელს. ინგლისელებმა შოტლანდიელებს უმასპინძლეს. მატჩი მოიგეს სტუმრებმა 4:0.

**პირველმა** ჩოგბურთში ოლიმპიური ჩემპიონის წოდება კაცებში მოიპოვა ინგლისელმა **ჯონ ბოლენდმა** 1896 წელს. 1900 წელს სპორტის ამ სახეობაში ქალებსაც დართეს მონაწილეობის უფლება და პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ასევე ინგლისელი **შარლ კუპერი.**

**პირველად** მსაჯი საფეხბურთო მინდორზე გამოჩნდა 1878 წელს.

ჩოგბურთი

# მაკას მეოთხედი, ანას ნახევარი

პარიზის კორტებზე დასასრულს მიუახლოვდა ვტა-ს ტურნირი „ოფენ გაზ სუეცი", რომლის საპრიზო ფონდი 618 ათასი დოლარია. საფრანგეთის დედაქალაქში ძალებს **მაკა ჩახნაშვილი** (234) და **სოფიო შაფათავა** (280) სცდიდნენ, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ჩვენებურები პირველივე საკვალიფიკაციო წრიდან გამოვარდნენ, ტურნირის შესახებ მხოლოდ უცხოური სპორტის გვერდში თუ წაიკითხავდით. არადა, მაკა ჩახნაშვილმა წყვილთა თანრიგში მოულოდნელ წარმატებას მიაღწია: ის ფინელ **ემა ლაინესთან** ერთად ძირითად ტურნირში რეიტინგით მოხვდა. პირველ წრეში მათ ჩეხების დუეტი (**კვიტოვა, საფაროვა**) არ გამოუცხადდა. მეოთხედფინალში მაკამ და ემამ დაძაბულ ბრძოლაში ფრანგებთან (**კორნე, რაზანო**) წააგეს - 7:5, 1:6, 7:10.

გავრცელდა ხმა, თითქოს, ჩახნაშვილმა მეოთხედფინალში გასვლით 110 სარეიტინგო ქულა და 4 850 დოლარი მიიღო, რაც, სამწუხაროდ, მართალი არაა - ვტა-ს წესებით ჩოგბურთელმა ტურნირზე თამაში უნდა მოიგოს, ისე სარეიტინგო ქულები არ დაეწერება - მაკამ კი მეოთხედფინალში მატჩის მოუგებლად გააღწია. საპრიზო ფონდს, რაც შეეხება, 4 800 დოლარი წყვილმა მიიღო, მაკას ამ თანხის ნახევარი შეხვდება.

მიდლენდში, 100-ათასიანი ტურნირი „დოუ ქორნინგ ტენის კლასიკი" სენსაციური მოგებით დაიწყო **ანა ტატიშვილმა** (129), რომელმაც გზიდან ტურნირის პირველი ჩოგანი **ვარვარა ლეპჩენკო** (აშშ, 75) ჩამოიცილა, მაგრამ მოწინავე ასეულის წევრის დამარცხების შემდეგ, ქართველმა მერვედფინალში წააგო. მას ჩეხმა **ლუსი პრადეჩკამ** (106) აჯობა - 6:3, 7:5. სამაგიეროდ, ანა წყვილებში ყოჩაღობს - მან და **ჯემი ჰემპტონმა** (აშშ, 133) მეოთხედფინალში მე-3 ნომრად განთესილი რუსი **პერვაკი** და თურქი **სენოგლუ** დაამარცხეს - 6:0, 6:2 და ნახევარფინალში გააღწიეს.

მალიორკაში ბრწყინვალედ ათამაშდა 19 წლის **ეკა გორგოძე** (623). ჩვენებურმა ბალეარებზე ჯერ ერთი 10-ათასიანი მოიგო, შემდეგ მეორეში ჩაერთო წარმატებით. მერვედფინალში გორგოძემ მე-2 ნომრად განთესილ იტალიელ **კლაუდია ჯიოვანეს** (289) მოუგო - 3:6, 6:4, 6:4. ჩვენებური მეოთხედფინალშია, სადაც ვენესუელელ **ანდრეა გამისს** (488) დაუპირისპირდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფესტივალი

# გამოცდილების შესაძენად

## ქართველი სპორტსმენები ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე

ევროპის ზაფხულისა და ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება, კონტინენტის მასშტაბით ყველაზე წარმომადგენლობითი და პრესტიჟული სპორტული ფორუმია. მასში 49 ქვეყნის 3 ათასამდე სპორტსმენი მონაწილეობს. ასპარეზობას დიდი ხნის ისტორია არ აქვს - 1993 წლიდან ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ეგიდითა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პატრონაჟობით ტარდება. შეგახსენებთ, რომ 2015 წელს ზაფხულის ფესტივალი თბილისს ეწვევა.

13-19 თებერვალს ჩეხეთის ქალაქი ლიბერეცი რიგით მეათე საიუბილეო ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. პროგრამაშია: ბიატლონი, სამთო თხილამურობა, თხილამურებით რბოლა, ჰოკეი, ციგურაობა, ტრამპლინიდან ხტომა, სნოუბორდი და სათხილამურო კომბინირებული რბოლა. თამაშები ოფიციალურად 13 თებერვალს გაიხსნება.

საქართველოს მცირერიცხოვანი დელეგაცია ჩეხეთში უკვე გაემგზავრა. **ნიკოლოზ კოზამაშვილი, კახა კურტანიძე, ზურაბ ბაქრაძე, თამარ ბაქრაძე, სუსანა გავა** და **ელენე ჩხეიძე** სლალომსა და გიგანტურ სლალომში მოსინჯავენ ძალებს. დელეგაციას სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი **ვახტანგ გეგელია** უხელმძღვანელებს, ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელი **გიორგი ესაკია** იქნება.

აქამდე ჩატარებული ზამთრის 9 ფესტივალიდან ქართველმა სპორტსმენებმა მხოლოდ 1999 და 2003 წლების შეჯიბრებები გამოტოვეს. ჯერჯერობით საპრიზო ადგილზე გასვლა ფიგურულ ციგურაობაში **ვახტანგ მურვანიძემ** შეძლო (1997, ვერცხლის მედალი).

**სეოკ-ის პრესსამსახური**

რაგბი

ერთა თასი



მარცხნიდან: ბესიკ ხამაშურიძე, რიჩი დიქსონი, ირაკლი აბუსერიძე და ირაკლი მაჩხანელი

# უკეთესი ხარისხით, უკეთესი შინაარსით

საქართველოს ნაკრები დღეს, ერთა თასის გათამაშების მეორე ტურში, „ლოკომოტივის" სტადიონზე ესპანეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნებმა" პირველ ტურში გათამაშების დებიუტანტი, უკრაინის ნაკრები დიდი ანგარიშით დაამარცხეს - 62:3. უკრაინელთაგან განსხვავებით, ესპანელთა ნაკრები უფრო მაღალი დონის გუნდია. შესაბამისად, ბრძოლა უფრო ცხარე და დაძაბული იქნება. ჩვენს მორაგბეებს ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რაც მატჩის წინა პრესკონფერენციაზე ნათლად გამოჩნდა.

**რიჩი დიქსონი**, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„როგორც ჩვენი გუნდის შემადგენლობიდან ჩანს, თუ უკრაინის ნაკრებთან მატჩში უკანა ხაზში გამოვცადეთ ახალი მოთამაშეები, ამჯერად გამოცდას პირველხაზელებს ვუტარებთ. უნდა აღვნიშნო, რომ ამ ორკვირიანი საწვრთნელი შეკრების შედეგებით კმაყოფილნი ვართ. ჩვენ კიდევ უფრო გავზრდით იმ ახალი მოთამაშეების რაოდენობას, ვისი საქმეში ხილვაც გვინდა.*

*ესპანეთის ნაკრები სერიოზული მეტოქეა და ეს ბიჭებმა კარგად იციან. იმედი მაქვს, რომ მეტი შემართებით ითამაშებენ, ვიდრე ეს უკრაინასთან მატჩში იყო.*

*თანამედროვე რაგბიში ისეა, რომ თამაშისას მომენტი უნდა დაიჭირო. მაგალითად, არგენტინის A ნაკრებთან ჩვენმა გუნდმა პირველ ტაიმში შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ მეორე ნახევარში სტუმრებმა მომენტი დაიჭირეს და თამაშის სურათი რადიკალურად შეცვალეს. ამიტომ, მთავარია, ვისწავლოთ ამ მომენტის დაჭერა და თამაშის წაყვანა. უნდა ვისწავლოთ ჩვენი უპირატესობის გამოყენება და ქულების მოპოვებაზე თამაში.*

*ყველანაირად ვცდილობთ, რომ ყოველი მომდევნო თამაში უკეთესი იყოს როგორც ხარისხობრივად, ისე შინაარსითაც. ესპანეთთან მატჩშიც ასე იქნება. ჩვენი გუნდი უკეთ ითამაშებს ვიდრე უკრაინასთან."*

**ირაკლი აბუსერიძე,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„ყველაფერს ვილონებთ, რომ ეს თამაში მოვიგოთ. პირველი წუთიდან დაწყებული, მთელი ოთხმოცი წუთის განმავლობაში თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ. იქამდე ესპანეთთან თამაში თითქოს გვიჭირდა, რადგან სათანადოდ არ ვაფასებდით. ახლა ვიცით, რომ სრულიად ახალი გუნდია, ძლიერი მეტოქეა, ისეთივე დონისაა, რუმინეთი, რუსეთი და პორტუგალიის ნაკრებები რომ არიან. ამიტომ, მაქსიმალურად მობილიზებულნი ვითამაშებთ".*

**ბესიკ ხამაშურიძე:** *„ადრე ესპანეთის ნაკრები არ იყო ფავორიტი. ამიტომ, ცოტა არ იყოს, სათანადოდ არ ვაფასებდით. ახლა გუნდი რადიკალურად შეიცვალა. დაიმატეს რამდენიმე ფრანგი მოთამაშე, რომლებიც წარმოშობით ესპანელები არიან. როგორც ჩანს, მათი მიზანი 2015 წლის მსოფლიო თასზე გასვლაა და მომავლის გუნდს აშენებენ. ასე რომ, ვიცით, რთული მატჩი გველის. მათ დასამარცხებლად დიდი ბრძოლა დაგვჭირდება".*

**რეჯის სონი,** ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი:

*„ესპანეთის ნაკრებში მუშაობა შარშან ივლისში დავიწყე. ვეცადე გუნდში ახალი მოთამაშეები მიმეწვია და სრულიად სხვა, მაღალი დონის რაგბი გვეთამაშა. აქამდე ოთხი შეხვედრა გავმართეთ, კანადის, ნამიბიის, იაპონიისა და რუსეთის ნაკრებებთან. შემიძლია ვთქვა, რომ ნელ-ნელა, მაგრამ პროგრესს ვაღწევთ.*

*რუსეთის ნაკრებთან თამაში ცუდად დავიწყეთ და მხოლოდ მეორე ნახევარში ავთამაშდით. ეს იმის ბრალია, რომ საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით, რომელიც ჩამოყალიბებული, სერიოზული გუნდია, ჩვენი ნაკრები ახლახან შექმნილია. ჯერ არ ვართ იმ დონეზე, რა დონის თამაშსაც თქვენი ნაკრები აჩვენებს".*

### საქართველო-ესპანეთი

საქართველო: **15. ბესიკ ხამაშურიძე, 14. ლექსო გუგავა, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. ვასილ კაკოვინი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. ანტონ ფეიქრიშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. გია ლაბაძე, 8. გიორგი ჩხაიძე.**

**16. ჯაბა ბრეგვაძე, 17. ბექა შეყლაშვილი, 18. ზვიად მაისურაძე, 19. ლაშა თავართქილაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ლაშა მალაღურაძე, 22. ბექა ურჯუკაშვილი.**

ესპანეთი: **15. მატიო ამორო, 14. იგნასიო გუტიერესი, 13. ხესუს რეკუერდა, 12. მარტინ ერედია, 11. პიერ ბელსუნსე 10. ანდონი ხორახურია, 9. ადრიან აიესტარანი. 1. ხესუს მორენო, 2. ბენ აუსკი, 3. დავით გურგენაძე, 4. სერხი ობანელი, 5. ხუან კანო, 6. მატიო როკა, 7. მეთიუ კუკი, 8. ფედერიკო კოვაშევიჩი.**

**16. მატიე აუსკი, 17. გოტიე ჟიბუენი, 18. სანტიაგო ფერნანდესი, 19. მატიას ტუდელა, 20. დიეგო ალვარესი, 21. უნაი ლასა, 22. მარტინ ასენა**

### უკრაინა-რუმინეთი

უკრაინა: **15. ვიაჩესლავ პონამარენკო, 14. ოლეგ კოსარიევი, 13. პავლო მასიუკოვი, 12. გიორგი გეგიძე, 11. სერგიი მონასტირიოვი, 10. დენის მასიუკოვი, 9. ზურაბ კიკაჩეიშვილი. 1. დმიტრო კირსანოვი, 2. მიკოლა კირსანოვი, 3. ივან ზალიაზნიაკი, 4. რუსლან რადჩუკი, 5. ვიაჩესლავ კრასილნიკი, 6. ოლექსი ნოვოკრეშჩენოვი, 7. ოლექსანდრ ლომაკინ, 8. ოლექსნადრ ცაპენკო.**

**16. სერგიი სუხინი, 17. ოლექსანდრ პოლიანსკი, 18. რომან კულაკივსკი, 19. ბოგდან ვოლოშინი, 20. სერგიი იანჩიი, 21. ვიტალი კრასნოდემსკი, 22. სერგი გარკავი.**

რუმინეთი: **15. იულიან დუმიტრაში, 14. იონელ კაზანი, 13. ჩაბა გალი, 12. კონსტანტინ გეარა, 11. მადალინ ლემნარუ, 10. ფლორინ ვლაიკუ, 9. ფლორინ სურუგიუ. 1. სეზარ პოპესკუ, 2. ბოგდან ზებეგა, 3. ნიკოლაე ნერე, 4. ვალენტინ პოპირლანი, 5. კრისტიან პეტრე, 6. სტელიან ბურეა, 7. დანიელ იანუსი, 8. ოვიდიუ ტონიცა.**

### რუსეთი-პორტუგალია

#### რუსეთის ნაკრები

შერკინება: **კარლო მაღლაკელიძე, ვალერი ცნობილაძე, ალექსანდრ ვოიტოვი, ანდრეი გარბუზოვი, ვიქტორ გრესევი, ვლადისლავ კორშუნოვი, კირილ კუშნარიოვი, ევგენი მატვეევი, ანდრეი ოსტრიკოვი, ევგენი პრონენკო, ალექსეი ტრავკინი, არტიომ ფატახოვი, ალექსანდრ ხროკინი, ნიკიტა მედკოვი, ალექსეი პანასენკო, ივან პრიშეპენკო.**

უკანა ხაზი: **ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი, კონსტანტინ რაჩკოვი, ვლადიმირ ოსტროუშკო, ალექსეი მაკოვეცკი, იური კუშნარიოვი, ანდრეი კუზინი, იგორ კლუჩნიკოვი, იგორ გალინოვსკი, მიხაილ ბაბაევი, ვასილი არტემევი, ოლეგ კობზევი, ალექსეი შერბანი.**

#### პორტუგალიის ნაკრები

შერკინება: **ჟუან მურე, ჟოა კორეა, კრისტიან სპაშუკი, ედუარდო აკოსტა, გონსალო უვა, ლორან ბალანგო, ჟულიენ ბარდი, ჟუან სევერინო, ენტონი ალვეში, ტიაგი გირაუ, ლუის სოუზა, ჟოაო ჟუნიორი.**

უკანა ხაზი: **პედრო ლეალი, ჟოზეფ გარდნერი, ჟოზე ლიმა, პედრო სილვა, ფედერიკო ოლივეირა, გონსალო ფორო, ანტონიო აგილარი, ლიონელ კამპერნე, პედრო კაბრალი, ფრანსისკო მირა, ბერნარდო სილვეირა.**

### ერთა თასი

#### II ტური. 12 თებერვალი

საქართველო-ესპანეთი, რუსეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუმინეთი

#### III ტური. 26 თებერვალი

პორტუგალია-საქართველო, რუმინეთი-რუსეთი, ესპანეთი-უკრაინა

#### IV ტური. 12 მარტი

საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი

#### V ტური. 19 მარტი

რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.

#### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +59 | 5 |
| 2. პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | +7 | 4 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 4. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 5. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -7 | 1 |
| 6. უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -59 | 0 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ექვსი ერი

# პომების რაზმი უცვლელია

ინგლისის ნაკრები ექვსი ერის მეორე ტურის მატჩში შინ, „თვიქნემზე" იტალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „პომების" თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** ნაკრების ძირითადი შემადგენლობა უცვლელი დატოვა. ის ბოლომდე ენდო იმ მორაგბეებს, ვინც ერთი კვირის წინ კარდიფში უელსის ნაკრების დამარცხება შეძლო - 26:19.

ერთადერთი ცვლილება ჯონსონმა სათადარიგოთა სკამზე განახორციელა. მან ტრავმირებული მესამეხაზელის, **ჯონ უორსლის** ნაცვლად სამხრეთაფრიკული წარმოშობის **ენდრიუ ფური** იხმო, რომელიც შესანიშნავადაა ფიზიკურად მომზადებული.

კვლავ სათადარიგოთა შორისაა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი **ჯონი ვილკინსონი.** ძირითადში კი ისევ **ტობი ფლუდი** ითამაშებს, რომელიც უელსელებთან მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მას, სავარაუდოდ, იგივეს მიღწევა არც „სკუადრა აძურასთან" უნდა გაუჭირდეს.

*„ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა. სხვა შედეგზე არც კი ვფიქრობთ. ჩვენთვის პირველი პრიორიტეტი გამარჯვებაა. კარგია, რომ ტრავმირებულები არ გვყავს. თანაც იტალიელებთან შეხვედრაში უშელავათო ბრძოლა გაიმართება.*

*ჩვენ გვყავს ძალიან კარგი მოთამაშეები. გუნდი თანაბრადაა დაკომპლექტებული ყველა რგოლში. მათ შეუძლიათ ნებისმიერ მეტოქეს გაუმკლავდნენ.*

*იტალიის ნაკრები ძალიან კარგია დაცვაში თამაშისას. თუ ისინი თავის საუკეთესო მატჩს ჩაატარებენ, ვეცდებით, მათი წინააღმდეგობა დასკვნით ოც წუთში გავტეხოთ"-* თქვა მარტინ ჯონსონმა.

ინგლისის ნაკრები: **15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. მაიკ თინდოლი, 12. შონთაი ჰეპი, 11. მარკ კუეტო, 10. ტობი ფლუდი, 9. ბენ იანგზი. 1. ენდრიუ შერიდანი, 2. დილან ჰართლი, 3. დენ კოლი, 4. ლუის დიკონი, 5. ტომ პელმერი, 6. ტომ ვუდი, 7. ჯეიმზ ჰესკელი, 8. ნიკ ისთერი**

**16. სტივ ტომსონი, 17. დევიდ ვილსონი, 18. საიმონ შოუ, 19. ენდრიუ ფური, 20. დენ კერი, 21. ჯონი ვილკინსონი, 22. მეთ ბანაჰანი.**

#### II ტური

ინგლისი-იტალია, ირლანდია-საფრანგეთი, შოტლანდია-უელსი

#### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +13 | 2 |
| 2. ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | +7 | 2 |
| 3. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | +2 | 2 |
| 4. იტალია | 1 | 0 | 0 | 1 | -2 | 0 |
| 5. უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | -7 | 0 |
| 6. შოტლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | -13 | 0 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ზერაგბი

# რიჩი მაკქოუ აქაც საუკეთესოა

ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანი **რიჩი მაკქოუ** ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელს. „ოლ ბლექსის" ლიდერსითვის წლეულს ეს პირველი ჯილდო არაა. ის IRB-მ 2010 წლის საუკეთესო მორაგბედ დაასახელა.

მაკქოუ ერთადერთი მორაგბე არ არის, ვინც ახალი ზელანდიის საუკეთესო სპორტსმენი გახდა. იქამდე ამ ჯილდოს **ჯოკ ჰობსი** და **მაიკლ ჯოუნზი** ფლობდნენ.

რიჩის წლეულს კონკურენციას უწევდნენ **ბენჯი მარშალი** (რაგბი ლიგა), **რაიან ნილსენი** (ფეხბურთი) და **ჯოსი ველსი** (თხილამურობა).

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ნაგებით გაფერმკრთალებული დიადი რეკორდი


ჯერი სლოუნი

**ჯერი სლოუნის** გადადგომამ ერთგვარად დაჩრდილა გუშინდელი სათამაშო დღის მთავარი მატჩი - სეზონში მეორედ ხვდებოდნენ ერთმანეთს შარშანდელი ფინალისტები - „ლეიკერსი“ და „ბოსტონი“. მატჩის წინ მოთელვაზე კამერები **რეი ალენისკენ** იყო მიმართული. „სელტიქსის“ ვეტერან მცველს ორი ზუსტი სამქულიანი სჭირდებოდა აბსოლუტური რეკორდის დასამყარებლად.

პირველი შორეული ტყორცნა ალენმა ააცილა. თუმცა მანამდე „სელტიქსის“ მე-20 ნომერმა საშუალო მანძილიდან ჩააგდო ორჯერ. სტუმრების რიგებში სხვებზე აქტიური **გასოლი** იყო. საერთოდ, მატჩის დებიუტი მშვიდი და თანაბარი გამოვიდა. მეტოქეები ფრთხილ თამაშს ამჯობინებდნენ და ბოლოსთვის ინახავდნენ ემოციებსა და ძალებს.

თამაშის დაწყებიდან 7 წუთისა და 46 წამის შემდეგ „გარდენში“ საშინელი ღრიანცელი ატყდა. მასპინძლებმა ხუთქულიან უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ ეს ყვირილი სხვა მიზეზით იყო - ალენმა ჩააგდო მატჩში პირველი და კარიერაში 2560-ე სამქულიანი - ის ამ მაჩვენებლით **რეჯი მილერს** დაეწია. შემდეგ შეტევაში მან აბსოლუტური რეკორდსმენობა მოინდომა, მაგრამ ააცილა. თუმცა რეკორდი მაინც პირველ მეოთხედში შედგა. მასპინძლებმა ბურთი ჩაჭრეს, **რაჟონ რონდომ** ფარქვეშ შესვლა გადაიფიქრა და სამქულიანის ხაზთან მდგომ ალენს გადააწოდა. ისტორიული ტყორცნა ზუსტი იყო! დამყარდა „სამუდამო“ რეკორდი! ყოფილი რეკორდსმენი რეჯი მილერი მატჩს კომენტარს უკეთებდა. ის ფეხზე წამოდგა და რეის ხელი ჩამოართვა. თვით **კობი ბრაიანტმაც** მიულოცა წარმატება თავის ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ მოწინააღმდეგეს.

*„ვიცოდი, რომ ორი შორეული ტყორცნა მჭირდებოდა რეკორდის დასამყარებლად, მაგრამ მეორე ტყორცნის შემდეგ ბურთი ისე ნელა მიფრინავდა, მეგონა, ტელევიზორში გამეორებას ვუყურებდი. როცა ჩავარდა, გავიფიქრე - ახლა კი მართლა რეკორდსმენი ვარ“,* - ამბობდა მატჩის შემდეგ რეი ალენი.


რეი ალენის ისტორიული სამქულიანი

ამასობაში თამაში „ბოსტონის“ უპირატესობით მიმდინარეობდა. მეორე მეოთხედის დაწყებისთანავე **გლენ დევისმა** სხვაობა ორნიშნა გახადა - 32:22. კარგად შევიდა თამაშში **ვონ უაფერი**: ჯარიმასთან ერთად, სამქულიანი გამოიყენა, შედეგიანი პასი გააკეთა და შთამბეჭდავად დაუფარა **რონ არტესტს**. კარგად გამოიყურებოდა **ნეიტ რობინსონიც**. „ლეიკერსის“ სათადარიგოები კი ძალიან ცუდად თამაშობდნენ. ამიტომაც **ფილ ჯექსონმა** მოედანზე ბრაიანტი დააბრუნა და კალიფორნიელებმა 10:0 გაქცევა მოაწყვეს, თუმცა დიდი შესვენებისთვის მაინც რვაქულიანი ჩამორჩენა ჰქონდათ.

მესამე მეოთხედის დაწყებასთან ერთად სიტუაცია მოედანზე თანდათან დაიძაბა. კალიფორნიელებმა კიდევ ერთი 10:0 სპურტი განახორციელეს, მეოთხედის ბოლო წუთისთვის კი მათი უპირატესობა უკვე 5 ქულას უდრიდა. თუმცა აქ „ლეიკერსს“ ერთი უსიამოვნება ელოდა: ჩაგდებული ბურთის შემდეგ **ლამარ ოდომი** მკვეთრად შემოტრიალდა და თავით შეეჯახა გასოლს. ორივემ სახეზე მოიკიდა ხელი, ოდომს კი სისხლი წასკდა. თუმცა ექიმების დახმარებით მან მალევე შეძლო მოედანზე დაბრუნება. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლამარს რვა ნაკერი დაადეს.

მატჩის ბოლოს კი გადამწყვეტი სიტყვა თქვა ბრაიანტმა. მანამდე ჩრდილში მყოფმა „შავმა მამბამ“ თითქმის ყველა გადამწყვეტი ტყორცნა ჩააგდო, „ბოსტონმა“ კი მის აქტიურობას ვერაფერი დაუპირისპირა. **პოლ პირსმა** ვერ აჩვენა ჩვეული თამაში, ალენმა ადრე მიიღო პერსონალურები, **კევინ გარნეტმა** კი თამაშიდან მხოლოდ ოთხი ბურთი ჩააგდო (13-დან). საბოლოოდ, მასპინძლებმა მეორე ტაიმში თითქმის ორჯერ ნაკლები ქულა დააგროვეს, ვიდრე პირველში და ლოგიკურად დამარცხდნენ კიდეც.

სანახაობრივი თვალსაზრისით გაცილებით საინტერესო მატჩი შემოგვთავაზეს „დენვერმა“ და „დალასმა“. თუმცა პირველმა წუთებმა მატჩს თითქოს ინტრიგა დაუკარგა: პირველ მეოთხედში **ჩონსი ბილაპსის** ოთხმა სამქულიანმა და 18 ქულამ მასპინძლებს 14-ქულიანი უპირატესობა მოუტანა. მაგრამ **რიკ კარლაილის** შეგირდები მალე მოვიდნენ გონს და უკვე დიდი შესვენებისთვის გამოასწორეს სიტუაცია.

მეორე ტაიმი **კარმელო ენტონისა** და მთელი „დალასის“ დუელად იქცა. რა თქმა უნდა, ძალები არათანაბარი იყო, მაგრამ მოულოდნელად კარმელოს დამხმარედ **აარონ აფლალო** მოევლინა. შემტევი მცველის რამდენიმე სამქულიანმა „დენვერს“ თითქმის წაგებული მატჩის გადარჩენის საშუალება მისცა. მაყურებელი ფანტასტიკური ფინალის მოწმე გახდა. საფინალო სირენამდე 19 წამით ადრე, 119:119-ზე ენტონი **დირკ ნოვიცკიზე** დაჯარიმდა და მეექვსე პერსონალურის გამო მოედნის დატოვებამ მოუწია. გერმანელმა ორიდან ერთი საჯარიმო ააცილა და „დენვერი“ ბოლო შეტევისთვის მოემზადა. მასპინძლებმა ბოლო წამამდე გაითამაშეს კომბინაცია - ბილაპსმა იმავე აფლალოს მიანდო ბოლო ტყორცნა და აარონმა საფინალო სირენასთან ერთად ჩააგდო - 121:120.

**ბოსტონი–ლეიკერსი 86:92**

**27:20, 26:25, 15:27, 18:20**

**ბ**: ალენი (20), პირსი (15), რონდო (12+10 პასი+5 პასი), პერკინსი (12+9 პასი), გარნეტი (10+11 პასი+5 პასი).

**ლ**: ბრაიანტი (23+5 პასი), გასოლი (20+10 მოხსნა), ბინუმი (16+9 მოხსნა), ბრაუნი (12), ოდომი (10+12 მოხსნა).

**ფინიქსი–გ. სტეიტი 112:88**

**32:22, 33:20, 22:19, 25:27**

**ფ**: ნეში (18+11 პასი), ფრაი (17+9 მოხსნა), დადლი (13), ლოპესი (12), დაუდელი (10+6 პასი+5 მოხსნა).

**გ-ს**: უდო (16+7 მოხსნა), უილიამსი (16+6 პასი), კარი (12), ლი (11).

**დენვერი–დალასი 121:120**

**33:19, 26:39, 29:34, 33:28**

**დენ**: ენტონი (42+7 მოხსნა), ბილაპსი (30+9 პასი+5 მოხსნა), აფლალო (24).

**დალ**: ტერი (25), ჩენდლერი (20+11 მოხსნა), მერიონი (19+5 მოხსნა), ბარეა (17), ნოვიცკი (16+8 მოხსნა+6 პასი), კიდი (10+7 მოხსნა+6 პასი).

# სლოუნი ჯაზს აღარ დაუკრავს

მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელეს გუშინ ამერიკულმა საინფორმაციო სააგენტოებმა. „იუტა ჯაზში“ 23-წლიანი მუშაობის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა ლეგენდარული მწვრთნელი **ჯერი სლოუნი**. მასთან ერთად გუნდი დატოვა ასისტენტმა **ფილ ჯონსონმა**, რომელიც სლოუნს მთელი კარიერის განმავლობაში გვერდით ედგა. „ჯაზმენების“ ახალ მწვრთნელად **ტაირონ კორბინი** დაინიშნა, რომელიც ან უკვე ყოფილი მწვრთნელის კიდევ ერთი ასისტენტი იყო.

68 წლის სლოუნმა გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. მან განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობდა მის გადარწმუნებას, მაგრამ ვეტერანმა სპეციალისტმა გადაწყვეტილება არ შეცვალა იმის მიუხედავად, რომ სულ რამდენიმე დღის წინ გაახანგრძლივა მიმდინარე კონტრაქტი 2011-12 წლების სეზონის ბოლომდე.

სლოუნმა გადადგომა „ჩიკაგო ბულზთან“ მატჩის შემდეგ გადაწყვიტა, რომელიც „ჯაზმენებმა“ შინ 86:91 წააგეს. „იუტასთვის“ ეს მეათე მარცხი იყო ბოლო 14 შეხვედრაში. რეგულარულ ჩემპიონატში ამ გუნდს 54 მატჩში 31 მოგება აქვს და დასავლეთ კონფერენციაში მეშვიდე ადგილზე იმყოფება.

რამდენიმე გამოცემის ინფორმაციით, სლოუნის გადადგომა „იუტას“ ლიდერ **დერონ უილიამსთან** კონფლიქტმა გამოიწვია. მაგრამ თავად გამთამაშებელმა უარყო ეს ცნობა. დერონის თქმით, სლოუნი „იუტასთვის“ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე თავად უილიამსი და კონფლიქტი სერიოზული რომ ყოფილიყო, მცველი თავად მოითხოვდა კლუბიდან წასვლას.

„იუტას“ გენერალური მენეჯერი **კევინ ო'კონორი** ამბობს, რომ არც სლოუნსა და არც უილიამსს ხელმძღვანელობისთვის ულტიმატუმი არ წაუყენებია. თავად მწვრთნელმა გადადგომის მიზეზად დაღლილობა გამოაცხადა. ამასთან, არ დაუზუსტებია, მაინცდამაინც სეზონის შუაში რატომ აიძულა დაღლილობამ გუნდის მიტოვება.

სლოუნი ერთადერთი მწვრთნელია NBA-ის ისტორიაში, ვინც ერთ კლუბთან ერთად ათასზე მეტი გამარჯვება მოიპოვა. საერთოდ, კარიერაში 1221 გამარჯვებით ის მესამეა ყველა დროის ყველაზე წარმატებულ მწვრთნელებს შორის. მასზე წინ **დონ ნელსონი** (1335) და **ლენი უილკენსი** (1332) არიან. ამ სპეციალისტის მეთაურობით „იუტამ“ ორჯერ ითამაშა ფინალში და ორივეჯერ **მაიკლ ჯორდანის** „ჩიკაგო ბულზთან“ დამარცხდა.

სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ავსტრია ოქროებს აგროვებს


ანა ფენინგერი

გუშინ გერმანიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალებმა მედლების მეორე კომპლექტი გაითამაშეს. გამოვლინდა ყველაზე უნივერსალური მოთხილამურე. როგორც იცით, სუპერკომბინაცია ორი სახეობისგან შედგება - ყველაზე ჩქაროსნული - სწრაფდაშვება და ყველაზე ნელი - სლალომი.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ გუშინდელი სტარტი სენსაციით დასრულდა, თუმცა მეორე ეშელონის სპორტსმენებს მოულოდნელი შედეგებისთვის ყველანაირი პირობა ჰქონდათ შექმნილი. ამის მიზეზი თანამედროვეობის ორი უძლიერესი მოთხილამურის - **ლინდსი ვონისა** და **მარია რიშის** ავადმყოფობა იყო.

რიშს უშუალოდ სუპერკომბინაციის წინ შეეყარა გრიპი. მიუხედავად ამისა, გერმანელმა არ გააწბილა თავისი გულშემატკივარი და მაინც გავიდა ტრასაზე, თუმცა ათეულში შესვლაც ვერ შეძლო და საბოლოოდ მე-12 ადგილს დასჯერდა. რაც შეეხება ვონს, მან არაერთხელ განაცხადა, რომ განიკურნა ტვინის შერყევისგან, რომელიც ჩემპიონატის წინ ერთ-ერთი ვარჯიშისას მიიღო, მაგრამ ამერიკელის შედეგები საპირისპიროზე მეტყველებს. მეორე სტარტია მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი მედლის გარეშე რჩება. ამჯერად მან სწრაფდაშვებაში მხოლოდ მე-11 დრო აჩვენა, სლალომში გამოსვლაზე კი უარი განაცხადა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სწრაფდაშვების შემდეგ ლიდერობა ავსტრიელმა **ელიზაბეტ გიორგლმა** მოიპოვა. ეს მოთხილამურე ბრწყინვალე ფორმაშია, რაც ორი დღის წინ სუპერგიგანტის მოგებით დაამტკიცა. თუმცა გიორგლს სლალომი არ გამოუვიდა და საბოლოო ოქმში მხოლოდ მეხუთე ადგილი ერგო. რა თქმა უნდა, ავსტრიელი ამან ძალიან გააწბილა, მაგრამ იმან ოდნავ მაინც გამოუკეთა ხასიათი, რომ გუშინ ჩემპიონი მისი თანამემამულე გახდა.

**ანა ფენინგერი** მხოლოდ 21 წლისაა. წელს მან კარგად წარმოაჩინა თავი ჩქაროსნულ დისციპლინებში, მაგრამ სლალომში მისგან განსაკუთრებულ შედეგს არ ელოდნენ. სწრაფდაშვების შემდეგ ფენინგერი მეოთხე იყო და ყველა ვარაუდობდა, რომ ორი ცდის ჯამში ანასთვის ათეულში ადგილის შენარჩუნებაც კარგი შედეგი იქნებოდა. ფენინგერმა ეს პროგნოზი არ გაამართლა - სლალომშიც მეოთხე დრო აჩვენა, ორი ცდის ჯამში კი სენსაციური გამარჯვება მოიპოვა. ასე რომ, ავსტრია აგრძელებს დომინირებას ამ ჩემპიონატზე - მას უკვე ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი აქვს აქტივში. ეს ერთგვარი რეაბილიტაციაა ვანკუვერის ოლიმპიადაზე ჩავარდნისთვის.

მეორე ადგილი დაიკავა სლოვენიელმა **ტინა მაზემ**, ვინც სწრაფდაშვებაში ნორმალური დონე აჩვენა, სლალომში კი ბრწყინვალე იყო. ბრინჯაო ერგო ლეგენდარულ შვედ **ანია პერსონს**. სკანდინაველისთვის ეს მე-12 მედალია მსოფლიოს ჩემპიონატებზე. პერსონი შვიდგზის ჩემპიონია, ორი ვერცხლი აქვს და სამი ბრინჯაო.

დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის პროგრამაშია მამაკაცების სწრაფდაშვებაა, კვირას კი ამავე დისციპლინაში ქალები შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

**სუპერკომბინაცია**

**ქალები**

1. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 2:43.23; 2. **ტინა მაზე** (სლოვენ) - +0.09; 3. **ანია პერსონი** (შვედ) - +0.27; 4. **დომინიკ გიზინი** (საფ) - +0.67; 5. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - +0.89; 6. **დენიზე ფაიერაბენდი** (შვეიც) - +1.28.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# პინგვინები გაჭირვებით იგებენ

„პიტსბურგისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი იყო სეზონის პირველ ნახევარში ქულათა სოლიდური მარაგის შექმნა, რადგან დღეს „პინგვინებს" ძალიან უჭირთ მოგება. მიზეზი ცნობილია - ტრავმის გამო ბევრი ჰოკეისტი თამაშგარეშია დარჩენილი. ამიტომაც გუშინ „ლოს ანჯელესის" წინააღმდეგ ყინულზე ვიხილეთ - **სტირლინგი, კრეიგი, ჯონსონი, ვიტალე** - ეს ჰოკეისტები ფარმკლუბიდან გამოიძახეს და საკმაოდ ღირსეულადაც გამოიყურებოდნენ. „მეფეებმა" კი ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს. ამ გუნდს ტრავმირებული მოთამაშეები არ ჰყავს, ამიტომაც ვალდებული იყო „პიტსბურგის" რთული სიტუაციით ესარგებლა და საჭირო ქულები მოეპოვებინა პლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლაში.

„კინგზმა" მხოლოდ პირველი პერიოდი ჩაატარა კარგად, სასტარტო შტურმი მოუწყო მეტოქეს, მაგრამ „პინგვინზმა" გაძლო და ცოტა ხანში პირველივე შეტევა გოლით დაასრულა - სადებიუტო მატჩში თავი გამოიჩინა ბრეტ სტირლინგმა. პერიოდის ბოლოსკენ „ლოს ანჯელესმა" მაინც მიაღწია საწადელს და **ჯარეტ სტოლმა** ანგარიში გაათანაბრა.

მეორე და მესამე პერიოდი მოსაწყენ ბრძოლაში წარიმართა და თამაში ოვერტაიმში გადავიდა, სადაც პირველი ოთხი წუთი „ლოს ანჯელესს" სრული უპირატესობა ჰქონდა. მასპინძლები გაჭირვებით იცავდნენ თავს და კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. „პიტსბურგის" ყველა შეტევის დასრულებას **ჯორდან სტაალი** ცდილობდა: ორჯერ მან მეკარე **კუიკს** გაარტყა შაიბა, მაგრამ მესამე ჯერზე გაუმართლა და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი ორი ქულა მოუტანა.

„პიტსბურგისთვის" გუშინდელი დღე იდეალური იქნებოდა, დივიზიონში მის მთავარ კონკურენტ „ფილადელფიას" რომ წაეგო, მაგრამ „მფრინავებმა" გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოუგეს შინ „კაროლინას" და კონფერენციაში ლიდერობა გაიმყარეს. ყველაფერი მესამე პერიოდში გადაწყდა, როცა „ფილადელფიამ" **კარტერისა** და **ბრიერის** შაიბებით დასაჯა „კაროლინა" უხეშობისთვის. სტუმრებმა მხოლოდ **ტუომო რუუტუს** გოლით უპასუხეს.

„ტორონტოში" დებიუტი ჰქონდა **ჯოფრი ლუპულს**, მაგრამ ამან კანადური კლუბი ვერ გადაარჩინა. „მეიპლ ლივზმა" მხოლოდ ძირითად დროში ფრეს სანაცვლოდ მიიღო „ნიუ ჯერსისთან" მატჩში ერთი ქულა. დამატებით დროში გაიბრწყინა „დევილზის" რუსმა ვარსკვლავმა **ილია კოვალჩუკმა**. მან ტურის ულამაზესი გოლი გაიტანა: თავისი ზონიდან შესანიშნავი გარღვევით შევიდა მეტოქის ზონაში და ეფექტური დიაგონალური დარტყმით გაამარჯვებინა თავის გუნდს.

კიდევ ორი ოვერტაიმი გაიმართა „აილენდერსი"-"მონრეალისა" და „ფლორიდა"-"ბაფალოს" მატჩებში. „ბაფალომ" დამატებითი დროის დასრულებამდე 5 წამით ადრე აიცილა თავიდან ბულიტების სერია - **ტაილერ მეიერსმა** გაიტანა გამარჯვების შაიბა და ახლა მისი გუნდი ორი ქულით არის დაშორებული პლეი ოფის ზონას. „კანადიენსისა" და „აილენდერსის" შეხვედრაში ოვერტაიმიც არ აღმოჩნდა საკმარისი გამარჯვებულის გამოსავლენად და 3:3-ზე მატჩის ბედი ბულიტების სერიამ გაარკვია. „კუნძულელებმა" მოიგეს, მაგრამ მაინც აღმოსავლეთის კონფერენციაში ბოლო ადგილამდე დაქვეითდნენ.

**ფილადელფია-კაროლინა 2:1**

0:0, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ჯ. კარტერი-26 (მ. რიჩარდსი-32, პრონგერი-18), 2:0 ბრიერი-27 (ჟირუ-32, მ. კარლი-24), 2:1 ტ. რუუტუ-13 (ლაროუზი-11).

**პიტსბურგი-ლოს ანჯელესი 2:1 (ო)**

1:1, 0:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 სტირლინგი-1 (ჯეფრი-3, ნ. ჯონსონი-1), 1:1 სტოლი-15 (რ. სმიტი-16, ჯასტინ უილიამსი-24), 2:1 ჯ. სტაალი-4 (დუპუი14).

**ტორონტო-ნიუ ჯერსი 1:2 (ო)**

0:0, 1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 კულემინი-21 (კესელი-17, გრაბოვსკი-20), 1:1 ზუბრუსი-11 (ფეინი-4, ელიაში-27), 1:2 კოვალჩუკი-18 (სალმელა-3).

**ფლორიდა-ბაფალო 2:3 (ო)**

0:0, 1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 მ. უებერი-3 (პომინვილი-18, ჰეხტი-13), 1:1 ბერნიე-5 (გარისონი-6, ვიდემანი-20), 1:2 ვანეკი-22 (პომინვილი-19, ტ. მეიერსი-17), 2:2 რისონერი-11 (ვიდემანი-21), 2:3 ტ. მეიერსი-7 (გერბი-9).

**მონრეალი-აილენდერსი 3:4 (ბ)**

1:1, 2:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 პასიორეტი-9 (დეშარნე-4, შპაჩეკი-15), 1:1 ტავარესი-19, 2:1 პუიო-11 (რ. უაიტი-1), 2:2 გრაბნერი-18 (ნილსენი-18, ჰილენი-6), 3:2 პლეკანეცი-19, 3:3 გრაბნერი-19 (ნილსენი-19, ჰილენი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** ოკსოპო (აილენდერსი).



ნიუ ჯერსი გოლს ზეიმობს

ველოსპორტი

# ბარსელონას ტური მოუნდა

2014 წლის ტურ დე ფრანსის საწყის ეტაპს, შესაძლოა, ბარსელონამ უმასპინძლოს. კატალონიის დედაქალაქის მერმა **იორდი ერეუმ** შესაბამისი განაცხადი წარუდგინა ფრანგული ველომარათონის დირექტორ **კრისტიან პრიუდომს**.

როგორც წესი, ტური საფრანგეთის ფარგლებს გარეთ იწყება (როტერდამი, ლიეჟი, ლონდონი), ამიტომაც ბარსელონაში იმედოვნებენ, რომ მათ ქალაქსაც მიანიჭებენ პირველი ეტაპის ორგანიზების უფლებას. სხვათა შორის, ტურ დე ფრანსმა ერთხელ უკვე „შეიარა" ბარსელონაში - ეს 2009 წელს მოხდა, როცა იქ ერთ-ერთი ეტაპის ფინიში გაიმართა.

ბარსელონის კონკურენტია იტალიის ქალაქი ფლორენცია, რომელმაც ასევე შეიტანა შესაბამისი განაცხადი და 2014 წლის პირველ ეტაპზე აცხადებს პრეტენზიას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| დინამო (მნ)-შლიონსკი | 2:2 |
| ორჰუსი-სონდერიისკი | 2:1 |
| ჰონვედი-ჟილინა | 0:1 |
| ვესტსილანდი-ესბერგი | 3:2 |
| კოპერი-პოლონია (ბ) | 1:0 |
| ვადუცი-ავსტრია (ლ) | 3:0 |
| ვოლერენგა-ნილი | 1:0 |
| ფრედრიკსტადი-სარპსბორგი | 2:2 |
| ლილესტრიომი-რუბინი | 1:1 |
| სტაბეკი-სტრიომსგოდსეტი | 1:0 |

### ინგლისი

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ბარტონი-ჩესტერფილდი | 1:0 |

### იტალია

**სერია B**

| | |
|---|---|
| ატალანტა-სიენა | 0:0 |

### ესპანეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გრანადა-ალბასეტე | 3:0 |

### გერმანია

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ობერჰაუზენი-პადერბორნი | 2:0 |
| უნიონი-ოსნაბრიუკი | 3:3 |
| აუგსბურგი-დუისბურგი | 0:0 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი A-კარლ ცაისი | 1:2 |
| ერფურტი-უნტერჰახინგი | 4:0 |
| ზაარბრიუკენი-დინამო (დრ) | 3:2 |
| ვეენი-ბრაუნშვაიგი | 0:2 |

### ჰოლანდია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კამბური-ეინდჰოვენი | 2:1 |
| ემენი-ვოლენდამი | 1:1 |
| დენ ბოში-აპელდოორნი | 2:2 |
| ჰელმონდი-როსენდაალი | 3:1 |
| მაასტრიხტი-ვაალვიკი | 3:0 |
| ტელსტარი-ფორტუნა | 1:1 |
| ვეენდამი-ომნივორლდი | 5:1 |
| დორდრეჰტი-სპარტა | 2:3 |

### ფინეთი

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ვაასა-ტამპერე | 2:2 |

### ავსტრალია

| | |
|---|---|
| ადელაიდა-მელბურნი | 2:1 |

## კალათბურთი

### ესპანეთის თასი

| | |
|---|---|
| კახა ლაბორალი-ბილბაო | 76:74 |
| ბარსელონა-ხუვენტუდი | 86:66 |

### იტალიის თასი

| | |
|---|---|
| მილანი-აველინო | 84:92 |
| კანტუ-ბიელა | 86:57 |

### თურქეთის თასი

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-ტრაბზონი | 90:88 |
| ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 77:70 |

### საფრანგეთის თასი

| | |
|---|---|
| შალონი-ტულონი | 80:67 |
| ნანსი-ვილერბანი | 107:108 (ო) |

## ჰოკეი

### ავსტრია

| | |
|---|---|
| აკრონი-კლაგენფიურტი | 3:4 |
| ალბა-ვენა | 2:4 |
| ვილახი-გრაცი | 1:3 |
| ზალცბურგი-ზაგრები | 2:0 |
| ლინცი-ოლიმპია | 5:8 |

## ჩოგბურთი

### ATP. კოშტა დე საუპი

| | |
|---|---|
| ალმაგრო-**ჩელა** | 1:6, 6:2, 6:4 |

### ATP. როტერდამი

| | |
|---|---|
| ცონგა-ბერდიხი | უარი |
| ბაღდატისი-**ლუბიჩიჩი** | 4:6, 7:6, 6:7 |
| **სიოდერლინგი**-იუჟნი | 6:4, 7:6 |
| ჩილიჩი-**ტროიცკი** | 5:7, 3:6 |

### ATP. სან ხოსე

| | |
|---|---|
| **რაონიჩი**-ბერანკისი | 6;4, 7:6 |

### WTA. პარიზი

| | |
|---|---|
| ვიკმაიერი-**კვიტოვა** | 7:5, 3:6, 6:7 |
| **პეტკოვიჩი-მატეკი** | 6:7, 6:2, 3:6 |
| **კლაისტერსი**-დოკიჩი | 6:3, 6:0 |
| **კანეპი**-ციბულკოვა | 6:2, 2:6, 6:2 |

### WTA. პატაია

| | |
|---|---|
| **ზვონარევა**-პენგი | 6:4, 4:6, 6:4 |
| **ერანი**-ვოსკობოევა | 2:6, 6:3, 6:2 |
| ივანოვიჩი-**ვინჩი** | 5:7, 3:6 |
| **ჰანტუხოვა**-ამანმურადოვა | 6:2, 6:0 |

TV პროგრამა

## 12 თებერვალი. შაბათი

### GMG-ფეხბურთი

**16:45** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**18:30** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი (LIVE).
**21:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვალენსია (LIVE).
**23:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბარსელონა (LIVE).

### GMG-სპორტი

**23:45** იტალიის ჩემპიონატი. რომა-ნაპოლი (LIVE).

### მზე

**13:00** იმედის ფსონი.

### I არხი

**15:00** რაგბი. ერთა თასი. II ტური. საქართველო-ესპანეთი (LIVE).
**17:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**18:25** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი (LIVE).
**21:25** გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერი-დორტმუნდი (LIVE).
**23:40** იტალიის ჩემპიონატი. რომა-ნაპოლი (LIVE).

### НТВ-პლუსი (სპორტი)

**14:45** შორტ-ტრეკი. მსოფლიოს თასი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**18:55** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS207. ვიკერსუნდი. ნორვეგია (LIVE).
**20:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვალენსია (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბარსელონა (LIVE).

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

**12:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პატაია. ტაილანდი (LIVE).
**15:55** მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-სიბირიაკი (LIVE).
**18:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ჰამბურგი (LIVE).
**20:40** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ლარვიკი-დინამო (LIVE).
**23:40** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმარი-ეინდჰოვენი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

**21:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლანსი (LIVE).

### НТВ-პლუსი (კლასიკა)

**14:55** ჰოკეი. ევროტური. ფინეთი-ჩეხეთი. შვედეთი (LIVE).
**18:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ლევერკუზენი (LIVE).
**20:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-პარმა (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-ლიონი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**22:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. კოშტა დუ საუპე. ბრაზილია (LIVE).

### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

**13:55** რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-ხიმკი (LIVE).
**04:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი (LIVE).

### SPORT+

**18:50** ჰოკეი. ევროტური. შვედეთი-რუსეთი. შვედეთი (LIVE).
**20:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი (LIVE).
**00:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-სევილია (LIVE).

### EUROSPORT

**12:30** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ორადგილიანი. I ცდა. პარამონოვო. რუსეთი (LIVE).
**13:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. სწრაფდაშვება. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**15:30** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ორადგილიანი. II ცდა. პარამონოვო. რუსეთი (LIVE).
**16:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. სწრაფდაშვება. ვარჯიში. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**18:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. ფორტ კენტი. აშშ (LIVE).
**19:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS207. ვიკერსუნდი. ნორვეგია (LIVE).
**20:45** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. ფორტ კენტი. აშშ (LIVE).
**23:30** ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. კალგარი. კანადა (LIVE).

### EUROSPORT-2

**11:15** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ორადგილიანი. I ცდა. პარამონოვო. რუსეთი (LIVE).
**13:45** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. I ცდა. პარამონოვო. რუსეთი (LIVE).
**17:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვილნიუსი. ლიტვა (LIVE).
**18:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**20:00** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. აკრობატიკა. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**23:00** ექსტრემალური სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ზამთრის სახეობები. I დღე. სნოუბეისინი. აშშ (LIVE).
**01:45** ფეხბურთი. კოპა ამერიკა (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პერუ (LIVE).

## 13 თებერვალი. კვირა

### GMG-ფეხბურთი

**15:30** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა (LIVE).
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ბოლონია (LIVE).
**20:30** გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰანოვერი (LIVE).
**23:45** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ინტერი (LIVE).

### GMG-სპორტი

**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-რეალი (LIVE).

### მზე

**13:00** იმედის ფსონი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**15:25** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა (LIVE).
**17:55** იტალიის ჩემპიონატი. ბრეშა-ლაციო (LIVE).
**19:55** ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-ოსასუნა (LIVE).
**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ვილიარეალი (LIVE).
**23:55** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ტულუზა (LIVE).

### НТВ-პლუსი (სპორტი)

**14:45** შორტ-ტრეკი. მსოფლიოს თასი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**18:55** ჰოკეი. ევროტური. შვედეთი-ფინეთი. შვედეთი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

**12:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. პატაია. ტაილანდი (LIVE).
**17:45** მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი - FLANDERS INDOOR. ბელგია (LIVE).
**20:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰანოვერი (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-რეალი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

**21:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლანსი (LIVE).

### НТВ-პლუსი (კლასიკა)

**18:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-მაინცი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. კოშტა დუ საუპე. ბრაზილია (LIVE).

### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

**05:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. გოლდენ სტეიტი-ოკლაჰომა (LIVE).

### SPORT+

**14:50** ჰოკეი. ევროტური. ჩეხეთი-რუსეთი. შვედეთი (LIVE).
**17:25** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. როდა-აიაქსი (LIVE).
**23:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ინტერი (LIVE).

### EUROSPORT

**11:30** ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. I ცდა. პარამონოვო. რუსეთი (LIVE).
**13:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. სწრაფდაშვება. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**13:15** ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. II ცდა. პარამონოვო. რუსეთი (LIVE).
**14:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. სწრაფდაშვება. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**16:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS207. ვიკერსუნდი. ნორვეგია (LIVE).
**19:00** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მას-სტარტი. კაცები. ფორტ კენტი. აშშ (LIVE).
**19:45** მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. კარლსრუე. გერმანია (LIVE).
**21:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მას-სტარტი. ქალები. ფორტ კენტი. აშშ (LIVE).
**23:30** ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. კალგარი. კანადა (LIVE).

### EUROSPORT-2

**17:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**21:15** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. დიორი (უნგრეთი)-ლაიპციგი (გერმანია) (LIVE).
**22:45** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)-ლუბლიანა (სლოვენია) (LIVE).
**00:00** ექსტრემალური სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ზამთრის სახეობები. II დღე. სნოუბეისინი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კვირის ბოლოს



მოთელვა

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

● კრივი

# კომპლიმენტების საღამო

გუშინ ლოს ანჯელესში პირველი ოფიციალური პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც 7 მაისს დანიშნულ ბრძოლას მიეძღვნა. ამ დღეს რინგზე ერთმანეთის პირისპირ დადგებიან ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონი, ფილიპინელი **მენი პაკიაო** და სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **შეინ მოზლი**.

ეს არ ყოფილა დიდი ბრძოლებისთვის დამახასიათებელი პრესკონფერენცია, როცა მოკრივეები ათასგვარი ფრაზებით ცდილობენ ერთმანეთის დამცირებასა და წყობიდან გამოყვანას. ამჯერად პაკიაომ და მოზლიმ კომპლიმენტები მიუძღვნეს ერთმანეთს.

32 წლის პაკიომ განაცხადა, რომ არ აპირებს მეტოქის შესაძლებლობების შეუფასებლობას: *„მოხარული ვარ, რომ ამ ბრძოლას* Showtime *და* CBS *გადასცემს - შეხვედრას კრივის უფრო მეტი მოყვარული იხილავს. ბევრი უნდა ვივარჯიშო იმისთვის, რომ არ გავანბილო ჩემი გულშემატკივარი. მოზლი კარგი მოკრივეა, ყოფილი ჩემპიონი, ამიტომაც არ ვაპირებ მის შეუფასებლობას. შევეცდებით ეს შეხვედრა წლის ბრძოლად ვაქციოთ, ამიტომაც ორივენი კარგად მოვემზადებით“.*

39 წლის მოზლი თავის შანსს იმაში ხედავს, რომ მისი სტილი კარგად ერგება მეტოქის ბრძოლის მანერას. *„მენი - კარგი ბიჭია. მე მასში ნამდვილ სპორტსმენს ვხედავ, რომელიც მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს. მას უყვარს კრივი, - ამბობს მოზლი. - ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ბრძოლას სტილები ქმნიან. მენის შეტევა და რისკი უყვარს და ეს დამეხმარება. რინგზე ერთმანეთს შეხვდებიან მოკრივეები, რომლებსაც ღია ბრძოლა იზიდავთ. ვფიქრობ, საკმარისად მოხერხებული ვარ იმისთვის, რომ ისტორიული გამარჯვება მოვიპოვო“.*

*„არ ვიცი, რა ფსონებია ამ ბრძოლაზე. ეს არ მაინტერესებს. აუტსაიდერი ნამდვილად არ ვიქნები. წესით, ფსონი თანაბარი უნდა იყოს. მენი ხშირად იქნევს მუშტებს, სამაგიეროდ, ჩემი დარტყმა უფრო ძლიერია. არ ვიცი, რამდენი რაუნდი გაგრძელდება ბრძოლა, მაგრამ მე-12 რაუნდამდე საქმე არ მივა. როგორც წესი, ასეთი ბრძოლები მსაჯის გადაწყვეტილებით არ მთავრდება“,* - დაამატა ამერიკელმა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**





ვინ აჯობებს?

● ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# დელ პოტრო დაბრუნდა?

როტერდამის ტურნირს კინალამ გამოეთიშა მოქმედი ჩემპიონი და პირველი ნომერი **რობინ სიოდერლინგი**. შვედს მატჩბოლის მოგერიებამ მოუწია გერმანელ **ფილიპ კოლშრაიბერთან** შეხვედრაში, რომელიც ორ საათსა და 23 წუთს გაგრძელდა. სიოდერლინგმა ეისებში აჯობა მეტოქეს (16:12), მაგრამ ბრეიკპოინტების რეალიზაციაში მოიკოჭლებდა (რვიდან სამი შანსი გამოიყენა) და ამიტომაც მოუწია მესამე სეტის ტაიბრეიკზე ნერვიულობამ.

ასევე კარგად აწვდიდნენ **მარკოს ბაღდატისი** და **ფელისიანო ლოპესი** (ჯამში 21 ეისი). მათ შეხვედრაში სულ ორი ბრეიკ-პოინტი დაფიქსირდა. ორივე კვიპროსელ ჩოგბურთელს ჰქონდა, რომელთაგანაც ერთი გამოიყენა. გამარჯვებაც სწორედ კუნძულელს დარჩა.

**ივან ლუბიჩიჩმა** და **ტომაშ ბერდიხმა** კვალიფიკაციის გამარჯვებულები - **ბენუა პერი** და **დმიტრი ტურსუნოვი** დაამარცხეს. თუმცა ბერდიხს არ გაუმართლა. მან ტრავმა მიიღო და გუშინ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** წინააღმდეგ კორტზე გასვლა ვერ შეძლო. ასე გავიდა ფრანგი უბრძოლველად ნახევარფინალში.

გადავინაცვლოთ სან ხოსეში, სადაც ძალიან საინტერესო მეოთხედფინალია მოსალოდნელი **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და **ლეიტონ ჰიუიტს** შორის. არგენტინელმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველად მოიპოვა ATP-ის ტურნირის მეოთხედფინალში თამაშის უფლება. ამისთვის მან ორი სეტი იკმარა სლოვაკი **ლუკაშ ლაჩკოს** წინააღმდეგ. პირველ სეტში ამერიკის ღია პირველობის ყოფილმა ჩემპიონმა მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო მეტოქეს, მეორეში საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, იქ კი არგეტინელმა ისევ დიდი უპირატესობა მოიპოვა და „შემოკლებულ გეიმში“ 7:1 გაიმარჯვა.

რაც შეეხება ლეიტონ ჰიუიტს, მას უფრო რთული მატჩი ჰქონდა კიდევ ერთ არგენტინელ **ბრაიან დაბულთან**, რომელიც 106-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში. პირველი სეტის წაგების შემდეგ ჰიუიტს მეორე პარტიაშიც რთული ბრძოლის გადატანა მოუხდა და მხოლოდ ბოლოსკენ გატეხა სამხრეთამერიკელის წინააღმდეგობა, მესამეში კი ერთადერთი ბრეიკით გაიმარჯვა. დელ პოტროსა და ჰიუიტს აქამდე ორჯერ უთამაშიათ ერთმანეთში და ანგარიში 1:1 გახლავთ.

როტერდამისა და სან ხოსეს ტურნირებს ერთი ეტაპით უსწრებს ბრაზილიის კოშტა დო სოიპე, სადაც უკვე ნახევარფინალური წყვილები დაკომპლექტდა. აქ ოთხივე მეოთხედფინალში აშკარა იყო ერთი ჩოგბურთელის მეორეზე უპირატესობა. მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდა უკრაინელ **ალექსანდრ დოლგოპოლოვს** იტალიელი **პოტიტო სტარაჩესგან**, თუმცა ამ მატჩშიც ყველაფერი ორ სეტში გაირკვა.

არგენტინელ **ხუან-იგნასიო ჩელასთან** წააგო ადგილობრივი პუბლიკის მთავარმა იმედმა **ტომაშ ბელუჩიმ**, მაგრამ ნახევარფინალურ ეტაპს მაინც შემორჩა ერთი ბრაზილიელი ჩოგბურთელი. ეს არის **რიკარდო მელო**, ვინც 59 წუთში მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო ესპანელ **პაბლო ანდუხარს**. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელმა ხუთიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და ახლა ნახევარფინალში დოლგოპოლოვს შეხვდება.

### ATP

### ABN AMRO World Tennis

როტერდამი (ჰოლ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 150 000 ევრო

#### 1/8 ფინალი

**მარკო ბაღდატისი (კვიპ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 7:6(3), 6:3; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 7)**-ბენუა პერი (საფ) 6:0, 6:4; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 4)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:4, 4:6, 7:5; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 1)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:3, 5:7, 7:6(7); **მიხაილ იუჟნი (რუს, 6)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 6:4, 6:4.



დელ პოტრომაც გაიხარა

#### 1/4 ფინალი

სიოდერლინგი (1)-იუჟნი (6); ჩილიჩი-ტროიცკი; ცონგა (8)-ბერდიხი (4); ლუბიჩიჩი (7)-ბაღდატისი.

### SAP Open

სან ხოსე (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 531 000 დოლარი

#### 1/8 ფინალი

**დენის ისტომინი (უზბ, 5)**-მაიკ რასელი (აშშ) 7:6(7), 7:6(4); **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) 6:1, 7:6(1); **ტიმ შმიჩეკი (აშშ)**-კეი ნიშიკორი (იაპ, 8) 6:4, 3:6, 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 7)**-ბრაიან დაბული (არგ) 3:6, 7:5, 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 1)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 7:5, 7:5; **გაელ მონფილსი (საფ, 2)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:2, 5:7, 6:4.

#### 1/4 ფინალი

ვერდასკო (1)-ისტომინი (5); დელ პოტრო-ჰიუიტი (7); ბერანკისი-რაონიჩი; შმიჩეკი-მონფილსი (2).

### Brasil Open

კოშტა დო სოიპე (ბრაზილია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 442 500 დოლარი

#### 1/4 ფინალი

**ალესანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 4)**-პოტიტო სტარაჩე (იტა, 7) 6:3, 6:4; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 1)**-რუი მაშადო (პორ) 6:2, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 5)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა, 3) 6:1, 6:2; **რიკარდო მელო (ბრა)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:1, 6:0.

#### 1/2 ფინალი

ალმაგრო (1)-ჩელა (5); დოლგოპოლოვი (4)-მელო.

### WTA

### Open GDF Suez

პარიზი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 618 000 დოლარი

#### 1/8 ფინალი

**კაია კანეპი (ესტ, 3)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:3, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:4, 6:7(6), 7:6(9); **ელენა დოკიჩი (ავსტრა)**-ნადეჟდა პეტროვა (რუს, 5) 6:4, 7:6(4); **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 6)**-კრისტინა კუკოვა (სლოვაკ) 6:4, 6:2; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 7)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:1, 6:3; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-სტეფანი კოენ-ალორო (საფ) 7:5, 6:3.

#### 1/4 ფინალი

კლაისტერსი (1)-დოკიჩი; კანეპი (3)-ციბულკოვა (8); ვიკმაიერი (7)-კვიტოვა (4); პეტკოვიჩი (6)-მატეკი.

### PTT Pattaya Open

პატაია (ტაილანდი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

#### 1/8 ფინალი

**ვერა ზვონარევა (რუს, 1)**-ნუნადა ვანასუკი (ტაილ) 6:1, 7:5; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 4)**-კიმიკო დატე (იაპ) 7:6(3), 6:3; **სარა ერანი (იტა, 8)**-აიუმი მორიტა (იაპ) 2:6, 7:5, 6:2; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-ჩენელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:2, 6:4.

#### 1/4 ფინალი

ზვონარევა (1)-პენგი (6); ჰანტუხოვა (4)-ამანმურადოვა; ერანი (8)-ვოსკობოევა; ვინჩი-ივანოვიჩი (2).

● ფორმულა 1

# შუმის სწრაფი ყოფილა

ვალენსიას ტესტებზე არც ისე შთამბეჭდავი შედეგების შემდეგ, „მერსედეს გრან-პრიმ“ ხერესის ტესტების მეორე დღეს აჩვენა თავისი შესაძლებლობები. გუშინ წრეზე საუკეთესო დრო მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა **მიხაელ შუმახერმა** დააფიქსირა. საინტერესოა, რომ გერმანელმა ეს შედეგი 10-წრიანი სერიის პირველ წრეზე აჩვენა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ მომენტისთვის შუმის მანქანა ცარიელი ავზით არ ყოფილა. თუმცა უფრო გრძელ სერიებზე მიხაელი დაახლოებით წამით ჩამორჩებოდა „რედ ბულის“ ტემპს.

შუმახერის გარდა მხოლოდ წინა დღის ლიდერმა **ფელიპე მასამ** („ფერარი“) შეძლო წრის წუთსა და 21 წამზე ნაკლებ დროში გავლა. სადილის შემდეგ „ფერარი“ სავსე ავზებით მუშაობაზე გადავიდა და მასას დრო 1.27-ის ფარგლებში იყო. გუშინ ბრაზილიელმა „ხერეს-დე-ლა-ფრონტერაზე“ ყველაზე მეტი - 116 წრე გაიარა.

მესამე დროის ავტორი გახდა **ჯენსონ ბატონი**. დილით „მაკლარენი“ მანქანის სხვადასხვა სისტემისა და კვანძის შემოწმებით იყო დაკავებული, დღის მეორე ნახევარში კი ბატონი უფრო ხშირად ჩნდებოდა ტრასაზე, მაგრამ არც ერთ თავის სერიაში ექვს წრეზე მეტი არ გაუვლია. საბოლოო ოქმში მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონის გვერდითაა **ხაიმე ალგერსუარი** „ტორო როსოდან“. ესპანელმა ავარიაში მოხვედრაც მოასწრო - მეცხრე მოსახვევში გადავარდა ტრასიდან.

მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა **მარკ უებერი**, თუმცა „რედ ბულს“ ეტყობოდა, რომ სულაც არ დასდევდა სწრაფ წამებს. ჩემპიონი გუნდი გრძელ სერიებზე იყო ორიენტირებული. ამ მხრივ კი ავსტრალიელი პილოტი საუკეთესო იყო. ასე მაგალითად, 19-წრიანი სერიისას „რედ ბულის“ პილოტის საშუალო დრო 1.24 წამი იყო - არც ერთ სხვა პილოტს ასეთი სტაბილურობისთვის არ მიუღწევია.

გუშინდელი სატესტო დღე რამდენჯერმე შეწყდა წითელი დროშებით. ალგერსუარის გარდა, ამის მიზეზი გახდა **სერხიო პერესი**, რომელმაც თავის „ზაუბერს“ წინა ნაწილი დაუზიანა. ტესტების დასრულებამდე ერთი საათით ადრე **პასტორ მალდონადომ** დაამტვრია თავისი „უილიამსი“. და კიდევ, ზედიზედ მეორედ მოუცურდა მანქანა „ლოტუს-რენოს“ რუს პილოტ **ვიტალი პეტროვს**.

### მეორე დღის შედეგები

| | |
|---|---|
| 1. შუმახერი (მერსედესი) | 1:20.352 (112) |
| 2. მასა (ფერარი) | + 0.061 (116) |
| 3. ბატონი (მაკლარენი) | +0.657 (69) |
| 4. ალგერსუარი (ტორო როსო) | +0.862 (72) |
| 5. უებერი (რედ ბული) | +1.261 (113) |
| 6. სუტილი (ფორს ინდია) | +1.428 (73) |
| 7. პერესი (ზაუბერი) | +1.505 (56) |
| 8. გლოკი (ვირჯინი) | +1.856 (57) |
| 9. პეტროვი (რენო) | +2.141 (65) |
| 10. მალდონადო (უილიამსი) | +2.239 (38) |
| 11. ტრული (ლოტუსი) | +2.864 (40) |





მიხაელ შუმახერი